# მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 26 მაისი, 2022 წ., № 1-2 (39-40)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი




## ქართული საგალობელი

არ ამოვიკრავთ პირს ვინაიდან
წილად გვარგუნე ღმერთების ენა,
გიგალობთ რადგან დასაბამიდან
ყოველი არსი გიგალობს შენა.

სიმღერის მადლი მოგვდგამს მას იქით,
როგორც გულის ხმა დაუძლეველი,
ყველა ქართველში შენი მუსიკის
ანთია წმინდა საკურთხეველი.

შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.

მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,
გავუადვილო წუთისოფელი,
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი, ქართული საგალობელი.

უნდა ევნოო მისი გულისთვის,
უნდა იწვოდე მისი სახმილით,
აჰა, მამულო, შენი გულისთქმა,
შენი სიმღერა და მოძახილი.

მერაბ კოსტავა




სიცოცხლემისჯილი ...

# ინტერვიუ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების“ ერთ-ერთ ლიდერთან - ბატონ ნუკრი ბაღდავაძესთან

## გაგრძელება – ნაწილი III

(დასაწყისი იხილეთ ჟურნალი „მატიანე“, № 1-2 (35-36), 7 აპრილი, 2021 წელი,
გაგრძელება - ჟურნალი „მატიანე“, № 3-4 (37-38), 22 დეკემბერი, 2021 წელი )



ინტერვიუს უძღვება
„საქართველოს ჰელსინკის
კავშირი –
- ეროვნული აღორძინების“
ახალგაზრდული
ორგანიზაციის გამგეობის
თავმჯდომარის მოადგილე,
ჟურნალ „მატიანეს
რედკოლეგიის წევრი და
პრესცენტრის
ხელმძღვანელის მოადგილე
ქალბატონი თამარ (თამუნა) რაზმაძე



22. *ბატონო ნუკრი, რა ხდება უკრაინაში, რას წარმოადგენს რუსეთის მიერ ლათინური ანბანის ბოლო ასოს - Z-ის სიმბოლიკის გამოყენება, უკრაინაში მიმდინარე ომის მხარდასაჭერად და როგორ შეიძლება შევაფასოთ რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები?*

რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომი მესამე თვეში გადავიდა, მაგრამ ამ დრომდე ოკუპანტებმა ვერ მოახერხეს ვერცერთი მნიშვნელოვანი ქალაქის დაკავება. უკვე ცხადია, რომ კრემლის თავდაპირველი გეგმა, სწრაფ გამარჯვებასთან დაკავშირებით ჩავარდნილია. რუსეთის მარცხი კიდევ უფრო თვალსაჩინოა საინფორმაციო ფრონტზე, რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის მოუმზადებლობის ფონზე, უკრაინულმა მხარემ სრულად აიღო ინიციატივა და არ დატოვა ადგილი რუსული პროპაგანდისთვის. ეს მოუმზადებლობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ომის პირველივე დღეებიდან. რუსული სახელმწიფო ტელევიზიებისგან ძირითადად ვერ მოისმენდით მწყობრ, ერთიან „ნარატივს" და კარგად გათვლილ გზავნილებს ომთან დაკავშირებით. ჩეჩნეთის მეორე და 2008 წლის აგვისტოს ომის მსგავსად, კრემლმა ამჯერადაც აკრძალა სიტყვა ომის გამოყენება უკრაინაში მიმდინარე ომის აღსაწერად. თუ კი ჩეჩნეთის მეორე ომის ოფიციალური სახელწოდებას *კონტრ-ტერორისტულ ოპერაციას* ატარებდა, ხოლო აგვისტოს ომს *საქართველოს მშვიდობისკენ იძულების* ოპერაციას უწოდებდა, უკრაინაზე თავდასხმას კრემლმა *სპეციალური სამხედრო ოპერაცია* უწოდა.

ამჯერად სიტყვა ომის შიში რუსეთის ხელისუფლებაში უფრო მეტად გავრცელდა - ამ კანონის დამრღვევებს ახალი კანონმდებლობით 15 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

რუსულ პროპაგანდას გამოცოცხლების ნიშნები ომის მეორე კვირის დასაწყისში შეეტყო - სწორედ ამ დროს რუსმა პროპაგანდისტულმა საშუალებებმა აქტიურად დაიწყეს ლათინური ანბანის ბოლო ასოს, Z-ის გამოყენება, უკრაინაში მიმდინარე ომის მხარდასაჭერად.

პირველად ამ სიმბოლოს გამოყენებით ფლეშმობის ჩაშვების იდეა პროპაგანდისტული RT-ის მთავარი რედაქტორისგან, აწ უკვე დასავლური სანქციების ქვეშ მყოფი მარგარიტა სიმონიანისგან წამოვიდა. მალევე მარგარიტა სიმონიანმა საკუთარი ტელევიზიის ბრენდირებულ ონლაინ მაღაზიებში ამ სიმბოლოს გამოსახულებიანი ტანსაცმელიც განათავსა.

აღნიშნული სიმბოლოს ნახვა შესაძლებელია არამხოლოდ სოციალურ ქსელებში, არამედ რუსეთის სხვადასხვა ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე, ადმინისტრაციული შენობების ფასადებზე, მუზეუმებზე, თვითონ რუსებზე, ტანსაცმელზე, ავტომობილებზე და ა.შ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მცირე გამონაკლისის გარდა რუსული პროპანდის მიერ მოფიქრებული სიმბოლო მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის ე. წ. „სვასტიკასთან" ასოცირდება. თავად ამ სიმბოლოს პოპულიზატორების თქმით, Z რუსული არმიის მხარდაჭერის სიმბოლოა, რომელიც ოფიციალური ვერსიით „უკრაინაში დაბუდებულ ნეონაცისტებს" ებრძვის. აღნიშნული სიმბოლო რუსეთის მიერ უკრაინისთვის ომის გამოცხადებამდე თებერვლის შუა რიცხვებში გამოჩნდა. სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ფოტოებზე ჩანდა უკრაინის საზღვართან მობილიზებული რუსული სამხედრო ტექნიკა, რომელსაც Z და V ასოები „ამშვენებდა". განსაკუთრებით ხშირი იყო სიმბოლო Z და სწორედ ამიტომაც ეს ასო რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერის „მარკერად" გადაიქცა. მალევე რუსეთში პეტებურგიდან სურგუტამდე გაიმართა ფლეშმობები, რომლის ფარგლებშიც ავტომობილები, ანთებული ფარებით სწორედ ამ ფორმით დამწკრივდნენ. კუზბასში ამ ფლეშმობს სატვირთო
კამაზებიც შეუერთდნენ. ამ პროპაგანდისტული აგონიის განსაკუთრებით შემზარავ ეტაპს წარმოადგენდა ყაზანში მომხდარი ინციდენტი, როდესაც სიმსივინით დაავადებული ბავშვთა ჰოსპისის ბენეფიციარები დაწესებულების ხელმძღვანელებმა ასო Z-ის ფორმით დაამწკრივეს და ამ ფლეშმობის ფოტოები სოციალურ ქსელში ატვირთეს. მალევე ამ სიმბოლოს გამოსახულებიანი ტანსაცმელით დაიტვირთა რუსეთის უმსხვილესი ტანსაცმლის ონლაინ მაღაზიები.

ამ სიმბოლოს გამოსახულებიანი ტექნიკით გამოჩდნენ წამყვანი რუსი პროპაგანდისტებიც. პროპაგანდისტული აგონიის გაღვივების გარდა ეს სიმბოლო ომის მოწინააღმდეგეების შესაშინებლადაც გამოიყენება. სწორედ ეს სიმბოლო მიახატეს ომის მოწინააღმდეგე ორი საჯარო პირის, კინოკრიტიკოსს, ანტონ დოლინის და Pussy Riot-ის ერთ-ერთი წევრის რიტა ფლორესის სახლის კარზეც.

გრაფიკული თვალსაზრისით Z უფრო მეტად ჰგავს ნაცისტურ სვასტიკას, ვიდრე ნებისმიერ ცნობილ საბჭოთა სიმბოლოს, მათ შორის ხუთქიმიან ვარსკვლავს, ან ნამგალსა და უროს. სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში Z ახალი რუსული ტოტალიტარიზმის სიმბოლო გახდა. მალევე ეს სიმბოლო სოციალურ ქსელებში რუსეთის სახელმწიფო უწყებების ოფიციალურ ანგარიშების, პროსახელისუფლებო ცნობადი სახეების და ჩინოვნიკების ავატარებზეც გამოჩნდა. სოციალურ ქსელებში პოპულარულია გარჩევები ამ სიმბოლოს მნიშვნელობასა და წარმომავლობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ვერსიით აღნიშნული სიმბოლო ძალიან ჰგავს რუნების *ვოლფსანგელს,* რაც მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთის რამდენიმე ოლქში მებრძოლი ნაცისტური სს-ის --შუცშტაფელის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ამის მიუხედავად, მისაღებია ასევე ვარაუდი, რომ ეს სიმბოლო კრემლის პოლიტ-ტექნოლოგების კრეატივის შედეგია და მათი სურვილია ეს იდეა ქვევიდან, „უბრალო ხალხისგან" წამოსულ სენტიმენტად შეფუთონ.

ამ სიმბოლოს უმეტესად ისედაც პროსახელისუფლებო, ან სხვა სახით ანგაჟირებული ორგანიზაციები, თუ ფიზიკური პირები იყენებენ. ექსპერტის თქმით, ჯერჯერობით არ არსებობს იმის ნიშანი, რომ ამ სიმბოლოთი მართლაც შეაღწიეს კოლექტიურ ცნობიერებაში. საქმე ის არის, რომ ამ სიმბოლოს და ომის მომხრეებმაც ჯერჯერობით ვერ ახსნეს და თავადაც არ იციან რას ნიშნავს ეს ასოები.

ამ სიმბოლოების ერთადერთი ოფიციალური განმარტება რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თავის „ინსტაგრამ" გვერდზე შემოგვთავაზა.

უწყების ინტერპრეტაციით Z უნდა გაგვეგო როგორც "Za победу" - (გამარჯვებისთვის), ხოლო V კი, როგორც "Сила в праVде" - (ძალა სიმართლეშია).

მოგვიანებით ამ ვერსიებს დაემატა სხვებიც - "Za мир" (მშვიდობისთვის), "Za пацаноV (ბიჭებისთვის), "Когда Россия поZвала" (როცა რუსეთმა დაგვიძახა) და სხვა.

სამხედრო-ანალიტიკური ორგანიზაცია Conflict Intelligence Team-ის ვერსიით Z და V შესაბამისი სამხედრო ოლქებსაც (Запад и Восток) აღნიშნავს.

განსხვავებული ახსნა აქვს უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბს, რომელთა მიხედვითაც ასოები რუსულ სამხედრო ტექნიკის მუდმივი დისლოცირების წერტილების აღმნიშვნელია. ასე მაგალითად Z სიმბოლო აღმოსავლეთ სამხედრო ნაწილების, O - ბელარუსში განლაგებული რუსული სამხედრო ნაწილების, ხოლო V რუსეთის საზღვაო ქვეითების დანაყოფებს აღნიშნავს.

რუსულ პროპანდისტულ არხებზე გავრცელდა ვერსიაც, რომლის თანახმადაც ეს ასოები ვოლოდიმირ ოლექსანდრეს ძე ზელენსკის ინიციალებს წარმოადგენს - V.Z.O.

„ეს სიმბოლოები ოპერატიული დაჯგუფებების აღმნიშვნელია და ეს ასოები ყოველგვარი დამატებითი დატვირთვის გარეშე უბრალოდ აირჩიეს" - ამბობს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ანალიზის ცენტრში, რუსეთის პროგრამის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი წამყვანი სამხედრო ექსპერტი, მაიკლ კოფმანი.

ზოგადად, მე ვეთანხმები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირის - ეროვნული აღორძინების" ერთობლივ შეფასება-დადგენილებას უკრაინაში მიმდინარე ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით:

„ა/წ 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინაში მიმდინარე მოვლენები წინა წლების დარად, იგივე შინაარსის მოვლენებთან ერთად, შეიძლება შეფასდეს:

როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ მეზობელი ქვეყნის მიმართ აგრესიის განხორციელება;

მისი შემდგომი ოკუპაცია-ანექსიის გზით სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა;

დანაშაულებრივი ომის წარმოება, უკრაინაში მცხოვრები მოსახლეობის სასტიკი გენოციდი, კვლავ, ორპოლუსიანი, ანტიდემოკრატიული სისტემის ჩასახვა-განვითარებით ჩრდილოელი აგრესორის მიერ მსოფლიოს დაშანტაჟება.

მეორეს მხრივ, უკრაინის სახელმწიფომ არნახული სიმამაცითა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებით მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მოძალადე მტერს მისთვის სამამულო ომში. მისი მთავარი და შეუვალი მიზანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სუვერენული, დამოუკიდებელი, თავისუფალი, ევროპული ყაიდის სახელმწიფოს შექმნა და უკრაინის სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვა.

კაცობრიობა დადგა ახალი, მესამე მსოფლიო ომის საშიშროების წინაშე, რაც განაპირობებს სიტუაციისადმი განსაკუთრებული სიფრთხილითა და ამავდროულად, კარგად გააზრებული, მშვიდობის შენარჩუნების სურვილით განპირობებული ქმედებების აუცილებლობას და უნდა იძლეოდეს მსოფლიოში სრული ლეგიტიმური წესრიგის დამყარების წინაპირობას.

სამწუხაროდ, თუ ვერ მოხერხდა ამდაგვარი დადებითი ნაბიჯების გადადგმა და სამყარო კვლავ ძველი გარიგებების, დაშინებებისა და ძალადობრივი ქმედებების ამარა დარჩა მსოფლიო, კვლავ მრაავალნააცადი ე. წ. პოლიტიკური „ვირუსული“ დაავადებიდან ისევ „ბნელი და ხანგრძლივი ღამეების" კომაზოტურ უძრაობაში ჩაიძირება.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ მსოფლიოს მოწინავე, დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკოსებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, უპრიანი იქნებოდა, საფუძვლიანად გასცნობოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივ მიმართვას მათდამი, რათა ერთობლივად მოხერხდეს მსოფლიო კატასტროფის თავიდან აცილება.

23. *თუ შეიძლება ერთხელ კიდევ გვითხარით საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივი მიმართვის შესახებ, რა არის ამ მიმართვის მთავარი მიზანი და თუ არის საწყისი გამოხმაურებები მასზე?*

მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანია და ურიგო როდი იქნება გავიმეოროთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ერთობლივი მიმართვა მსოფლიო თანამეგობრობას.

მიმართვაში ნათქვამია:

როგორც მოგეხსენებათ, 1991-1993 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარმა შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს, დაამკვიდრა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი. პუტჩისტთა სამართალმემკვიდრენი არიან დღემდე არსებული ფაქტობრივი ხელისუფალნიც, რომელნიც იძულებულნი იყვნენ, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ცარიელი დეკლარაციებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მაქინაციების სახით მხოლოდ სიტყვიერად ეღიარებინათ 1991-1993 წლებში მომხდარი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. ასე რომ, ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და მავანთ არ სურთ და არ ძალუძთ მისი დაბრუნება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საყოველთაოდ აღიარებული უნდა იქნეს, რომ საქართველოში ქვეყნის შიდა და გარე ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა მოაწყვეს შეთქმულება, აგრესია და განახორციელეს პუტჩი.

დღეს საქართველო კვლავ ქვეყნის არაკანონიერ ხელისუფალთა შეცვლა-ჩანაცვლების არასამართლებრივ და არალეგიტიმურ პროცესშია. ქვეყანა კვლავაც სახელმწიფო გადატრიალებების და ვითომ სახალხო ჯანყი-ბრძოლებში დაღვრილ სისხლიან გზაზე დგას. გრძელდება შემოთავაზებული, მოჩვენებითი, ყალბი სამართლებრივ-კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული ე.წ. „დემოკრატიულ არჩევნებში" მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები. მხოლოდ სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა მათგან იზოლირებულად, განყენებულად.

ამ ახალ ეტაპზე, კანონიერი კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კანონიერი უფლებამოსილება და ვალდებულება ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმართულ ბრძოლას, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად წარმოადგენს როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ფაქტობრივ არალეგიტიმურ გარემოში ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა, ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით. დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც რეალურად შესაძლებელია მისი ერთიანი, კანონიერი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ბაზის ფაქტობრივი მოქმედება.

როგორც მოგეხსენებათ, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს. ასევე ცნობილია დევნილი ხელისუფლების – მთავრობის – საკუთრივ სამშობლოში თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

მიგვაჩნია, რომ კანონიერი ხელისუფლების სამართალ-მემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის და ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც. ცხადია, ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიული ბაზა, საჭიროებისამებრ, უნდა შექმნას მსოფლიო თანამეგობრობამ, თუნდაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული სახელმწიფოების არსებობას. მათ ტერიტორიულ-

სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სამართლებრივი და კონსტიტუციური სტატუსითა და ეგიდით, ქვეყნისთვის მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების ნაკლებად სარისკო უალტერნატივო გზაა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა, მისი თანამედროვე დროში გასათვალისწინებელი ყველა სამართლებრივი ნიშნით, მცირე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, სამართლებრივი, ლეგიტიმური, კანონიერი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, ანგაჟირებულად და დესტრუქციულ მხარეებად დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება და რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება. ეს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დააყენების ერთადერთი მექანიზმია. ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არაკეთილმოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების მსურველ ძალებს აწყობს. საჭიროა, კანონიერი და ფიქტიურ-ფაქტობრივი ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში ან საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი პოლიტიკური ზეწოლით, ფაქტობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო გადატრიალების დღიდან დღემდე პერიოდი გამოცხადდეს უკანონოდ, დაინიშნოს მრავალპარტიული, დემოკრატიული ცენტრალური საარჩევნო კომისია, შეთანხმებული საარჩევნო კანონის მიხედვით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოველივე ეს განხორციელდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილი ნებისა და თანხმობის პირობებში.

აქედან ნათლად ჩანს, რომ აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, რის შემდეგაც ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. სწორედაც კანონიერი ხელისუფლების (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის) მიერ დანიშნულმა დემოკრატიულმა, მრავალპარტიულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე, უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელოს სამართლებრივი ბაზით. ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ–კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინება და აღმშენებლობა.

თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა. ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს. რამეთუ დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების დროს – 1990-1991 წლებში მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა სახელმწიფომ ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ. დამოუკიდებლობის მოპოვება ურთულესი პროცესია. ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნობილია ტერმინი – შიში დამოუკიდებლობისადმი. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებულ ფაქტობრივ ხელისუფალთ სწორედ ეს შიში სჭირდათ და სჭირთ, რაც უკან გვხევს თავისუფლებისკენ სავალ გზაზე. ამით კი, საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი

ღირებულებაა. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ხელისუფლება აქამდე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებას“ აქვს ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის განვითარების კონკრეტული სამართლებრივი გზა, რომელსაც პოსტულატებად წარმოგიდგენთ:

1. აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმური, სამართლებრივი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი და აუცილებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების რეალურად შექმნა. ჩვენი მიზანი არ არის თანამდებობის დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის პირობებში კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განჭვრეტა და წარმართვა.

ამ გზით საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შეძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა;

2. გეოგრაფიიდან ვიცით, რომ ევროპა და აზია ერთი კონტინენტის – ევრაზიის ნაწილებია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ კონტინენტებად განიხილება, რადგან ევროპისა და აზიის მოსახლეობა, მათი ისტორია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ევროპის კავშირი, როგორც ცნობილია, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე. მისი ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე, ანუ ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა, იურისპრუდენციული კანონმდებლობისა და ამ მიმართულებით საერთო პოლიტიკის შენარჩუნება რეგიონულ განვითარებაში. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო, ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შეჯერებული საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

სწორედაც რომ, სრულიად სხვაა კავკასია. იბერიულ-კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ კავკასია პოლიტიკურად და გეოგრაფიულადაც კონტინენტია. კავკასიის კონტინენტის საზღვრები, გაჰყვება წყალგამყოფ და წყლის გამყოფ ზოლებს. პირველი უფრო საიმედოა, არ იცვლის მიმართულებას, მეორე კი, რთულად განსასაზღვრია მთაგორების რთული რელიეფის გამო.

კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის შიდა მოწესრიგების პრინციპი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ და მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს. ეს კი საქართველოს, იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით, განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივე მხრივ უნდა წარიმართოს. მიგვაჩნია, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა – კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა;

3. ამასთან, უკვე ახალ საუკუნეში მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების გამარტივებულად მიღებისა და მათი დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს – ახალ მსოფლიოს ერთა ანსამბლეას, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ამდაგვარ ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც. ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა. ეს კი აღმოფხვრის ამა თუ იმ ქვეყნის მიერ ინიცირებულ ეთნიკურ კონფლიქტებს. სასურველია, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოების, ერების კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა“, რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს, ეზიაროს ჭეშმარიტად საღვთო საქმეს და განახორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროებს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე, სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად, მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი პოლიტიკური წყობა, დაფუძნებული თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებზე.

მოწინავე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემის საყოველთაო მნიშვნელობას, რაც აუცილებელია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით. მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ ხდება;

4. ამასთან, აუცილებელი თუ არა, სასურველია, დადგეს 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულების დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ საკითხის მოგვარება ხელს შეუწყობს ასევე ჩვენნაირ ქვეყნებში რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა-თავისუფლების დამკვიდრებისა და ამ გზით მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის განვითარების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" მიაჩნია დაისვას შემდეგი საკითხები:

ა) 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი, მსოფლიოს ხალხებისა და ერების თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფის, ანუ ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობების ვექტორით მოცემული გარანტიების აღსრულების საქმეში;

ბ) საკითხი, საქართველოს, როგორც კავკასიის პოლიტიკური რეგიონის, ცენტრისა და ევრაზიული გზაჯვარედინი ქვეყნის საერთაშორისო მისიის შექმნისას და ამასთან მისი ორგანიზაციული დაფუძნებისას, საკუთარი წვლილის გაღებისათვის მსოფლიოში სამშვიდობო ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში.

ეს საკითხები სიღრმისეულად არის დაკავშირებული მსოფლიო წესრიგის ახალ მსოფლმხედველობასთან, მის პრინციპებთან და დღეს, უმწვავესი საჭიროებით, ჰაერივით სჭირდება დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, თავად მსოფლიოს ხალხებსა და კაცობრიობის მომავალს. ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს ქვეყნის და კავკასიის მოწყობის მისეული ხედვა. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების, ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცების რეალური გეგმა. ამ გზით მოხდება საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე. დაცული იქნება ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის იდეალები და გატარდება საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებული პოლიტიკა. საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანაა ახალი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა და მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყავართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

ბოლოს, თქვენის ნებართვით ერთსაც დავამატებ, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივი მიმართვის შესახებ. მიმართვის ტექსტი პერიოდულად იხვეწება და ეგზავნება სხვადასხვა ქვეყნების ხელმძღვანელ ორგანოებსა და მათ ხელმძღვანელ პირებს, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და შესაბამისი საკითხით დაინტერესებული მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებსა და მათ გაერთიანებესა.

საბედნიეროდ, უკვე არის საწყისი გამოხმაურებები ჩვენს მიმართვაზე და ძირითადად შეინიშნება საკმაო დაინტერესებები.

**24.** ბატონო ნუკრი, მოდით კვლავ გავაგრძელოთ საუბარი ბოლო ორასი წლის მანძილზე ჩვენი სახელმწიფოს არსებობის პერიოდში საკმაოდ ბევრი პოლიტიკური შავი ხვრელების შესახებ. ერთ-ერთი მათგანი იყო ე. წ. „ყარსის ხელშეკრულება“, რომლის შესახებაც გვიყვებოდით ინტერვიუს წინა ნომერში. რას გვეტყოდით ამის შესახებ? ამოიწურა ეს პრობლემა, კვლავ დარჩა, თუ დაემატა ახალი მსგავსი პრობლემები?

**როგორც ადრე უკვე ვისაუბრეთ, ე. წ. ყარსის ხელშეკრულება - 100 წლის წინ იმპერიათა მიერ დაშვებული არალეგიტიმური ფარატინა აქტი იყო, ასეთადაც დარჩა, მას ვადა ამოეწურა, თუმცა მანვე შვა ახალი, ასევე არალეგიტიმური აქტის მსგავსი შესაძლოდ უარესი მომავალი აქტის განახლებული ბევრად უარესი აქტის მოსალოდნელი შესაძლებლობის პერსპექტიულობა. წარმოდგენილი პროცესი მოსალოდნელია ახალი პოლიტიკური მცირე სამკუთხედის: რუსეთი - თურქეთი - ირანის არეალში. ამის შესახებ ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ ვწერდი და რომელიც თავისთავად დიდი პოლიტიკური სამკუთხედის: აშშ - რუსეთი - ჩინეთის არეალში იშვა და მზადაა თავიანთი მცირე იმპერიული ზრღახვები მოქმედებაში გამოიყენოს თავიანთ სასარგებლოდ.**

**როგორც ადრე ავღნიშნეთ, მიმდინარე სწრაფი გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე რთულია იწინასწარმეტყველო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების შესაძლო განვითარების სცენარები. თუმცა არსებული რეალობით, მაინც შესაძლებელია გარკვეული ხარისხით მომავლის გაანალიზება.**

**ამ უახლოეს ახალ გეოპოლიტიკური პროექტების წარმოჩენისას,მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანია ანალიტიკურ მსჯელობებს, სამომავლო გეგმების გაცნობას და გამოხმაურობებს საერთაშორისო სივრციდან მოეყაროს თავი, ჩაუტარდეს საფუძვლიანი ანალიტიკა ჩვენს ხელთ არსებული ფორმულების, პრინციპებისა და ღრმა გეოპოლიტიკური ცოდნის საფუძველზე და საბოლოოდ დაიდოს უტყუარი დასკვნები.**

**ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, როცა ჯერ კიდევ ბევრად ადრე, მანამ, სანამ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გაახმოვანებდა კავკასიის რეგიონის მიმართ ახალ გეოპოლიტიკურ გეგმას (მორგებულს უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესებზე), რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც ერთგვაროვნად გამოეხმაურა და რომელმაც მოუწონა მის თურქ კოლეგას იდეა (რომელიც სავარაუდოდ ასევე მათ რუს და აზერბაიჯანელ კოლეგებთანაც იქნება წინასწარ უკვე შეთანხმებული და ისინიც ცხადია მოიწონებენ) - მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ მიერ, პირველად იქნა გაჟღერებული და წარმოდგენილი საზოგადოებისთვის, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვანი ახლებური ხედვა და სამოქმედო სტრატეგია ჩვენს რეგიონში, კავკასიაში მოსალოდნელ გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან და ამ ყოველივეში - საქართველოს სამომავლო გეოპოლიტიკურ ფუნქციასთან დაკავშირებით. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იმდენად გავეშებულნი გახლდათ „წინასაარჩევნო ფერხულში“ ჩაბმული საქართველოს „პოლიტიკური სპექტრი“ და ასევე საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომ მათ ამაზე საფიქრელად ვერც დრო გამონახეს და დიდად არც ამის სურვილი არ გაუმჟღავნებიათ. ასე, რომ ეხლა როდესაც ამ საკითხს უკვე აშკარად საერთაშორისო ფორმატი ეძლევა, ქართული „პოლიტიკური სპექტრის“ ზოგიერთი წარმომადგენლებისგან აუცილებლად კვლავ ვიხილავთ გამალებულ სურვილს „სხვის დაკრულზე თავმომწონე ცეკვისა“.**

**ათასჯერ გაცხადებულს ათასმეერთედაც გავიმეორებთ: კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის, შიგა მოწესრიგების პრინციპი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შავი ზღვის ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.**

ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივემხრივ უნდა წარიმართოს.

მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ იცვლება, რამეთუ ცვალებადობას მხოლოდ სუბიექტივიზმი განსაზღვრავს მნიშვნელოვნად. ასე, რომ იდეალიზმთან მიახლოებული რეალობა ობიექტურ, თეორიულ და ემპირიულ განსაზღვრებაში შეიძლება ისტორიულად განსაზღვრულ მუდმივად მივიჩნიოთ. მორალური პრინციპების განხორციელება კი შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოში და თავად ერში, არამედ საყოველთაოდ და ყველგან.

სახელმწიფოს დანიშნულება ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. თვითდამკვიდრების ურთულეს გზაზე ყოველი ერი ესწრაფვის თავისი სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ველის გაფართოვებას. სწორედ ამაში ვლინდება ერის სიძლიერე და სიცოცხლის უნარიანობა. დემოკრატიის გარეშე კი შეუძლებელია რაიმე სახის სულიერების გავრცელება.

კვლავ ვიმეორებ ზემოთნათქვამებს: ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ხელი უნდა შეეწყოს რელიგიური თვითმყოფადობის დაცვასაც. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე საშური შეიქმნება, რადგან უაღრესად გამძაფრებული პოლიტიკური, ეთნიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ შესაძლოა კატასტროფა მოაახლოოს. ჩვენ აუცილებლად უნდა ავიცილოთ იგი.

აქედან გამომდინარე, კვლავაც ვასკვნით, რომ მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

დროებითია ჩვენი ასეთი ყოფა. ქართული გენი ცოცხალია და კვლავ იარსებებს მარად.

ამრიგად, საქართველოს და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მთავარი მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა კავკასიისა და ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება

სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანაა ყველა სფეროში ჩვენი ერისა და მსოფლიოს ახალი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერთა თვითმყოფადობის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა.

სწორედ ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფოც დაეფუძვნება. ქართული სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

სრულიად საპირიპიროს გვთავაზობენ როგორც გარე ძალები, ასევე მათ ინტერესებზე მორგებული მარიონეტული ჩვენი ხელისუფალნი.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი საკმაოდ ინტენსიურად საუბრობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. როგორც თავად განაცხადა, იგი მოსკოვში, ერევანში, თბილისსა და ანკარაში ე. წ. „3+3“ ფორმატის შესახებ ისაუბრებს და „შეეცდება, რომ აღნიშნული ფორმატი რეალობად აქციოს, რადგან, მათი აზრით, რეგიონალური თანამშრომლობა რეგიონის ყველა ქვეყნის ინტერესებში შედის და რასაც ეს ფორმატი პასუხობს“.

კავკასიურ ექვსეულში მონაწილეობის მიღება, სადაც რუსეთის ფედერაციაც მოიაზრება, მკაფიოდ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, საგარეო პოლიტიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებას“.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი რეგიონალური ვიზიტების ფარგლებში, საქართველოში ჩამოსვლამდე, იმყოფებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში. ასევე, მოსკოვში შეხვდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ და სატელეფონო საუბარი გამართა თურქ კოლეგასთანაც.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა რეგიონში ექვსმხრივი თანამშრომლობის არსებობის მნიშვნელობას. „ის მიესალმება ექვსმხრივი რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივას, რომელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერაცაა შემოთავაზებული. მინისტრმა გამოხატა ირანის მზადყოფნა რეგიონალური მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და მხარდასაჭერად“, – ნათქვამია ირანის საგარეო უწყების ოფიციალურ განცხადებაში. ბაქოში ვიზიტის დროს მან ასევე დააფიქსირა ირანის მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებში, რაც ძირითადად გულისხმობს ტექნიკური და საინჟინრო მასალებისა ექსპორტსა და მომსახურებების გაწევას, მაგრამ ასევე მოიაზრებს თანამშრომლობას ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ისტორიული ძეგლების აღდგენისა და ნაღმებისგან ტერიტორიების გაწმენდის სამუშაოებში მხარდაჭერას.

თავის მხრივ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა „გამოხატა თავისი აღფრთოვანება ირანის მიერ ექვსმხრივი რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმის მხარდაჭერის გამო“. მისი განცხადებით, „ინიციატივა სასარგებლო იქნება რეგიონალური მშვიდობისა და საერთო ინტერესებისთვის“. მხარეები ასევე შეთანხმდნენ თეირანი-მოსკოვი-ბაქოსა და თეირანი-ბაქო-ანკარის სამომავლო თანამშრომლობისა და შეხვედრების შესახებ.

ბაქოს შემდეგ, ირანელი დიპლომატი მოსკოვს ეწვია, სადაც სერგეი ლავროვმა უმასპინძლა. მოსკოვში ირანელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა რუსეთისა და კონკრეტულად ვლადიმერ პუტინის როლს რეგიონში სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის საკითხში და კიდევ ერთხელ დააფიქსირა ირანის მზაობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური განვითარების პროექტებში ჩართვის შესახებ.

გარდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებისა, რაც ორი დიმპლომატის შეხვედრის მთავარი თემა იყო, მათ ასევე ისაუბრეს ირანისთვის რუსული ვაქცინის მიწოდების საკითხზე, ირანის ბირთვულ პროგრამაზე, კასპიის ზღვის თანამშრომლობაზე და ლიბიის, იემენის, სირიის, ლიბანისა და ავღანეთის შესახებ.

მოსკოვის შემდეგ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ერევანს ესტუმრა. მსგავსად ბაქოსა და მოსკოვის ვიზიტებისა, ირანის პირველმა დიპლომატმა ერევანშიც სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას დააფიქსირა ისლამური რესპუბლიკის მზაობა, რომ ჩაერთოს რეგიონის ეკონომიკურ თანამშრომლობასა და განვითარებაში. „თეირანი მზადაა, რათა იმუშაოს ერევანთან და სხვა მეზობლებთან ერთად რეგიონში ეკონომიკის განვითარებისთვის, რაც არსებული შესაძლებლობებისა გამოყენებითა და რეგიონალური სახელმწიფოების საერთო ინტერესების გათვალისწინებითაა შესაძლებელი“. გარდა ამისა, მან მხარი დაუჭირა სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე, როგორც ყველა სხვა რეგიონალური ქვეყნის შემთხვევაში.

და მაინც რას გვთავაზობენ, რას ნიშნავს ექვსმხრივი [3+3] თანამშრომლობა

თურქეთის პრეზიდენტმა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ვიზიტისას განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასიაში ის ხედავს „ექვსეულის პლატფორმის“ შექმნის შესაძლებლობას, რაც რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება. ერდოღანის იდეას მხარი დაუჭირა ილჰამ ალიევმაც.

ერდოღანის აზრითაც რეგიონალური თანამშრომლობა აერთიანებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის 3 წევრ სახელმწიფოს: საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, და რეგიონის გარეთ მყოფ, თუმცა მასზე გავლენის მქონე სამ სახელმწიფოს, მათ შორის: ირანის ისლამურ რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთს.

გარდა აღნიშნული თანამშრომლობის ფორმატისა, არსებობს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რუსეთის შუამავლობით მიღწეული ომის დასრულების 9-10 ნოემბრის შეთანხმება, რომლის მე-9 პუნქტიც გულისხმობს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, შემდეგ კი მთლიან რეგიონში ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის აღდგენას.

ა/წ 11 იანვარს ნიკოლ ფაშინიანისა და ილჰამ ალიევის მოსკოვში ვიზიტის დროს, მხარეებმა ხელი მოაწერეს კიდევ ერთ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც შეიქმება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს რეგიონში სავაჭრო და სატრანსპორტო კავშირების აღდგენის პროექტებს, რომლებსაც, მოგვიანებით სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის მთავრობებს წარუდგენს დასამტკიცებლად. შეხვედრის შემდეგ ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ აღნიშნული შეთანხმება „შესაძლებელს ხდის სომხეთის აზერბაიჯანის გავლით რუსეთის ფედერაციასთან და ირანთან დაკავშირებას, ხოლო აზერბაიჯანი ნახიჩევანის კორიდორით დაუკავშირდება თურქეთს. ასევე ერთმანეთს დაუკავშირდებიან რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის სარკინიგზო ხაზები“.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 2020 წლის 21 დეკემბერს, „ელჩების კონფერენცია 2020“-ისადმი ონლაინ მიმართვაში გამოეხმაურა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს, როგორც წლის ერთ-ერთ გამოწვევას ჩვენს რეგიონში. ზურაბიშვილმა სამწუხარო უწოდა საქართველოს პასიურობას რეგიონში მშვიდობის აღდგენის პროცესში და თქვა, რომ „საქართველო ვერ იქნება პასიური კავკასიური პლატფორმის ინიციატივის მიმართ“.

პრეზიდენტის ამ ინიციატივას ოპოზიციურ და დიპლომატიურ წრეებში კრიტიკა და შეშფოთება მოჰყვა, რადგან შესაძლოა ეს აღქმული ყოფილიყო, როგორც რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ინიციატივის მხარდაჭერა.

მოგვიანებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გააკეთა განმარტება, რომ პრეზიდენტის ინიციატივა არ იყო სხვა ქვეყნის ლიდერის ინიციატივის გამოხმაურება.

წარმოდგენილი კავკასიური პლატფორმის ეს იდეა არ არის ახალი. ეს მანამდე 2008 წელსაც გავრცელდა თურქული მხარის მიერ, თუმცა მაშინ ირანი ამ ფორმატის ნაწილი არ გახლდათ, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თეირანში. მოხდა ისე, რომ 2008 წლის იდეა მკვდრადშობილი აღმოჩნდა უპირველესად დასავლეთის რეაქციისა და საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაპირისპირების გამო, მაგრამ ერდოღანმა ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ კიდევ ერთხელ წამოაყენა ასეთი პლატფორმის იდეა, ამ შემთვევაში ირანის მონაწილეობით, რაც თეირანისთვის, რა თქმა უნდა მისაღები გახდა. აღნიშნული პლატფორმის არსებობა, მიუხედავად იმისა, რამდენად რეალისტურია მისი მოქმედება, ირანის ინტერესებს სრულად შეესაბამება და პასუხობს სამ ძირითად მიზანს, მათ შორის:

- *კავკასიის რეგიონში ირანის გავლენების გააქტიურება;*

ირანი აღნიშნულ პლატფორმას გამოიყენებს რეგიონში გააქტიურებისათვის. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ირანი ისედაც შეზღუდული იყო საკუთარ მოქმედებებში სამხრეთ კავკასიაში, რადგან საქართველო პროდასავლური ორიენტაციის კავკასიური სახელმწიფოა, სომხეთი რუსეთის გავლენის ქვეშაა, ხოლო აზერბაიჯანი თურქეთის], ეს კი არის გარკვეულწილად, მათ შორის ეკონომიკური გააქტიურების მცდელობა”.

ირანის როლი დიპლომატიური კუთხითაც აქტიურდება. „ირანს აქამდე არანაირი შანსი არ ქონია, რომ რეგიონალურ ურთიერთობებში ჩართულიყო. იგი არ იყო ეუთოს მინსკის ჯგუფის წევრიც, რაც უკმაყოფილებას იწვევდა თეირანში”, თუმცა თეირანი სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით, კვალვ პრაგმატულ ნეიტრალურ პოლიტიკას შეინარჩუნებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ აღსანიშნავია, ირანის ისლამური რესპუბლიკა წლების განმავლობაში კონფლიქტში ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა. ერთი მხრივ იგი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ კი, ჩამოყალიბდა სომხეთის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორად რუსეთის ფედერაციის შემდეგ.

- *ომის შედეგების დაბალანსება.*

რეგიონში ირანის მიერ საკუთარი როლის გააქტიურების მცდელობა, მათ შორის ეკონომიკური კუთხით, ომის გეოპოლიტიკური შედეგების, შედარებით დაბალანსების მცდელობითაა გამოწვეული.

მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი „დიდი გამარჯვებულია”, რუსეთი და თურქეთი „მცირე გამარჯვებულები” არიან, სომხეთი დამარხებული, ირანიც შეგვიძლია „მცირე დამარცხებულად” მოვიაზროთ, რადგან ირანის ინტერესებში არანაირად არ შედის ძლიერი, გამარჯვებული აზერბაიჯანი.

- *ამერიკის სახელისუფლებო ცვლილებების ფონზე, ახალი საგარეო პოლიტიკისთვის მზადების მცდელობა*

ეს შეიძლება განვიხილოთ, პოსტ-ტრამპული ეპოქისთვის მზადებად, იმ თვალსაზრისით, რომ ჯერ უცნობია ახალი ადმინისტრაციის მკაფიო პოლიტიკა ირანთან მიმართებაში, თუ რა პოზიცია ექნებათ სანქციების მიმართულებით, ან ბირთვული პროგრამის კუთხით, მაგრამ არ არის გამორიცხული მნიშვნელოვანი ცვლილებები ვიხილოთ (ამერიკის საგარეო პოლიტიკაში), და აი, ამ ცვლილებებისთვის მზადების პროცესში უნდა დავინახოთ ირანის გააქტიურებაც.

საქართველო ირანისთვის მიმზიდველია, როგორც რეგიონში ყველაზე პროდასავლური სახელმწიფო და მას განიხილავს დასავლეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისა და მოლაპარაკებების ფორმატში (ერთგვარი შუამავალი დასავლეთსა და ირანს შორის).

მე მაინც სკეპტიკურადა ვარ განწყობილი კავკასიაში ექვსმხრივი ფორმატის შექმნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ეს პლატფორმა მაინც მკვდრადშობილია, რადგან შეუძლებელია საქართველო მიუერთდეს ისეთ ფორმატს, სადაც დომინანტი რუსეთი იქნება. ეს ნაკლებადაა მიმზიდველი სომხეთისთვისაც. ასევე, არ მგონია, რომ პოსტ-ტრამპულ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალოს ამერიკის პოზიციები ირანის მიმართ და იგი განსხვავდებოდეს მაგალითად 2008 წლის პოზიციებისგან.

საქართველოს ადგილი რეგიონალური თანამშრომლობის მოდელში შემდეგია: ერთი რამ ცხადია, რთულად წარმოსადგენია საქართველოს მონაწილეობა ისეთ ფორმატებში, სადაც მასთან ერთად რუსეთის ფედერაციაც იქნება. საქართველო, მისი გეოგრაფიული როლის გათვალისწინებით, ბუნებრივი მონაწილეა იმ თანამშრომლობითი პროექტების, რაც რეგიონში ხორციელდება და შესაძლოა განხორციელდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით უცნობია რა სახეს მიიღებს შემოთავაზებული თანამშრომლობის ფორმატი, რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობების გათვალისწინებით, რთულად წარმოსადგენია საქართველოს მოაზრება თანამშრომლობის ისეთ ინსტიტუციონალიზებულ ფორმატში (თუ შემოთავაზებული ფორმატი ასეთი იქნება) სადაც რუსეთი წამყვან როლს თამაშობს და სადაც დასავლეთი არ არის წარმოდგენილი”. ვფიქრობ, თანამშრომლობის ასეთი ფორმატები საქართველოს ინტერესებისადმი საზიანოა.

თანამშრომლობის ფორმატებში საქართველოს ფორმალიზებული მონაწილეობა როგორც სიმბოლურად, ისე პრაქტიკულად საქართველოს ინტერესების საწინააღდეგო იქნება. სიმბოლურად, საქართველო მოექცევა ისეთი ქვეყნების გარემოცვაში რომლებიც არ იზიარებენ მის საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებებს, დემოკრატიზაციასა და დასავლურ ინტეგრაციას, მით უმეტეს იგი შორსაა ჩვენეული „კავკასიური სახლის" მშენებლობისაგან. პრაქტიკულად, რეგიონში რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური როლის ზრდა რუსეთზე საქართველოს დამოკიდებულებას გაზრდის, რაც საქართველოს სუვერენიტეტსა და საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელებას საფრთხის ქვეშ დააყენებს. ახალი ექვსმხრივი პლატფორმის შექმნა რეგიონიდან დასავლეთის გაძევებას მოემსახურება. თუ სატრანსპორტო და სხვა ტიპის ეკონომიკური კორიდორები ამუშავდა ისე, რომ მასში არ იქნება ჩართული დასავლეთი, რა თქმა უნდა, მაშინ მათი გავლენა რეგიონში შემცირდება. მით უმეტეს, რომ ამის ტენდენცია ისედაც არსებობს ყარაბაღის ომის მოვლენებისას დასავლეთის მინიმალური ჩართულობის გათვალისწინებით.

საქართველო ამ ტიპის ურთიერთობებში საკუთარ სტრატეგიულ პარტნიორთან შეთანხმების გარეშე და მითუმეტეს „კავკასიური სახლის" მშენებლობისათვის არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. მითუმეტეს, დამაზუსტებელ შეკითხვაზე, მაშინ, როდესაც აღნიშნული ექვსმხრივი ფორმატის ერთ-ერთი მთავარი დომინანტი სახელმწიფო არის რუსეთი, საქართველომ არ უნდა მიიღოს ასეთ კავშირებში მონაწილეობა. რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა, ასევე არანაკლებ პრობლემურია ირანისა და თურქეთის ურთიერთობები ჩვენს მიზნებთან. არის ჩვენი პრობლემებიც და ამ ქვეყნების პრობლემებიც ჩვენს პარტნიორებთან, რაც საფრთხეებს ზრდის.

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ რეგიონში მშვიდობას და სტაბილურობას, რაც კავკასიის ქვეყნების მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, საქართველო მხარს უნდა უჭერდეს მთლიანად კავკასიის, როგორც ახალი პოლიტიკური რეგიონის იმ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის და რეგიონის უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისით, სამშვიდობო პლატფორმები მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენს კავკასიურ რეგიონში მსგავსი პლატფორმების ჩამოყალიბება, პირველ რიგში, უნდა მოხდეს სრულიად კავკასიის დიალოგისა და თანამშრომლობის გზით, რაც ბევრად მნიშვნელოვანი კავკასიის რეგიონული პროექტებისა და თანამშრომლობის განვითარების საწინდარია.

აღსანიშნავია, ირანის ისლამური რესპუბლიკა წლების განმავლობაში კონფლიქტში ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა. ერთი მხრივ იგი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ კი, ჩამოყალიბდა სომხეთის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორად რუსეთის ფედერაციის შემდეგ.

დროა ქართველებო გამოფხიზლების, დროა გავამაგროთ საქართველოს სამომავლო საძირკველი!

დროა

„ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი...
უნდა გავთიბოთ, უნდა ვიმკათ, უნდა გავლეწოთ,
გადავარჩინოთ საფიცარი თეთრი გელათი.
ო, საქართველოვ, ოქროსფერი ხარ საოცრება,
ამ საოცრებას გვეცილება მტერი ვერაგი...
ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი!“

(თინათინ მღვდლიაშვილი)

საქმე იმედით უნდა ვაკეთოთ, ზედმეტად არ ვინერვიულოთ, გავითვალისწინოთ ცუდიც და აუცილებლად მივიღებთ კარგს. ისე მოქნილები მოქნილები უნდა გავხდეთ, რომ ნემსის ყუნწშიც კი თავისუფლად გავიაროთ სამშობლოსათვის მიზნის მისაღწევად. მოვინდომოთ და მშრალი ფუნჯებითაც წყალწაღებულიც კი დავხატავთ საქართველოს ნათელ მომავალს.

ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ უნდა ჩამოვუშვათ ხელები.

საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

სიცოცხლემისჯილი სამშობლო გევედრებათ ღვთის გულისათვის
იმედებს მაინც ნუ გავიფანტავთ! ...

25. *ბატონო ნუკრი, რას გვეტყოდით მომავალ თაობაზე, მათ დამოკიდებულებაზე მშობლებთან და წინა თაობის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში? ასევე, თქვენ, როგორც პოლიტიკუსებს გყავთ თუ არა იდეის გამზიარებლები და პოლიტიკური კურსის გამაგრძელებლები?*

დიდებული კითხვებია! შევეცდები, თქვენის ნებართვით, შედარებით ვრცლად ვუპასუხო.

თავდაპირველად მინდა გიპასუხოთ, რომ რა თქმა უნდა, მპმავალი თაობისათვის ვიბრძვით, ვცხოვრობთ და ვიბრძვით მათი ბედნიერი მომავლისათვის და კეთილდღეობისათვის, როგორც მშობლები, წინა თაობის წარმომადგენლები, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსებს საგანგებო მისია გაგვაჩნია - აღუზარდოთ სამშობლოს მისი მოყვარული, მებრძოლი თაობა, აღუზარდოთ სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის ღირსეული ცვლა, ამისათვის, ამდაგვარი იდეის გამზიარებლები და პოლიტიკური კურსის გამაგრძელებლები.

მოგეხსენებათ, მოზარდი იზრდება, იზრდება და რთულდება მისი პრობლემებიც. გარდატეხის ასაკის პრობლემა ბევრ მშობელს ფანტაზიის ნაყოფი, ან თითიდან გამოწოვილი ჰგონია, სანამ თავად არ დადგება უცნაური ცვლილებების პირისპირ. ხშირად, საყვარელი, დამჯერე, მშვიდი, თავაზიანი შვილი, რომელთანაც ზედმეტი საზრუნავი და საფიქრალი არასდროს ჰქონია, უცებ აგრესიული და სრულიად უმართავი ხდება. ან პირიქით – გახსნილი, მხიარული

ხასიათის უცებ გულჩათხრობილი, მორცხვი, ეჭვიანია და არავის ენდობა. ასევეა, მათი პოლიტიკური აღზრდისას, რის გამოც ახალგაზრდები პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაურთველად, ან ჩართვისას ხშირად პოლიტიკისაგან უგზო-უკვლოდ იკარგებიან.

რა უნდა ქნან მშობლებმა, როცა არ არსებობს იმის საშუალება მოზარდის ყოველ, ნაბიჯს კვალში ჩაუდგე, ცხოვრებაშიც და პოლიტიკურ ბრძოლაში საწესდებო აკრძალვებსა და სასჯელებს ძალა დაუკარგავთ და მხოლოდ ნეგატიურ შედეგს გაძლევენ. ამ დროს მათ თუ ზურგს ვაქცევთ, ან მოიშორებთ გარკვეული სიტყვებით, ისინი აუცილებლად ჯერ ჩაიკეტებიან, შემდეგ პოლიტიკურ მოღვაწეობას ნელ-ნელა ჩამოცილდებიან და ბოლოს, როგორც იტყვიან: „გადიან მომსახურეობის ზონიდან".

მათთან გულითადი საუბარი სულაც არ არის ისეთი რთული, როგორც ჩანს. თეორიის გარდა, პირადი მაგალითის ჩვენებით, უნდა ვასწავლოთ პრაქტიკული მოღვაწეობაც. ეს ყველაფერი ნდობას და მადლიერებას გააღვიძებს მასში. უნდა ვესაუბროთ მათ ისე, რომ სულში არ ჩავუძვრეთ, არ უნდა გავაწამოთ ზედმეტი კითხვებით და ჩაძიებით. ამდაგვარად თვითონაც მოინდომებს აზრის, დარდის, თუ სიხარულის გაზიარებას.

ერთი სიტყვით, მათ მეგობარი და თანამებრძოლი უნდა გავხდეთ, მხოლოდ ასე შევძლებთ მის დახმარებასა და სწორ აღზრდას. დავეხმარებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის აზრს სხვები არ გაიზიარებენ, დავიცავთ არასწორი ნაბიჯებისგან, მოვლენების ეპიცენტრში ვაგრძნობინებთ თავს, არ გავრიყავთ მათ, ტყუილ-უბრალო ეჭვებით და ნერვიულობით თავს არ დავატანჯნებთ.

თუ ასე მოხდა, გარდატეხა ჩვენთვისაც და ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვისაც მსუბუქად ჩაივლის და სამუდამოდ დაღს არ დაასვამს მათ, როგორც ადამიანს. მთავარია, მოზარდ თაობას გარდატეხის ასაკის კომპლექსებთან გამკლავებაში და ინდივიდუალობის შენარჩუნებაში დავეხმაროთ, დავიცვათ შეცდომებისგან და ამასთან არ დაკარგოთ მათი ნდობა.

ამავდროულად, გასათვალისწინებელი და თვალსაჩინო გახდა ის გამოწვევები, რის წინაშეც ახალგაზრდები დგანან პირადი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების კუთხით. საქართველოში, ახალგაზრდები ერთმანეთისაგან გამოყოფენ პირად ცხოვრებას, საჯარო/პოლიტიკური ცხოვრებისაგან და უმეტესად კონცენტრირდებიან პირად ცხოვრებაზე. ახალგაზრდებს შორის ხშირია პოლიტიკური ინდიფერენტულობა და პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობის კუთხით პასიურობა. პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა დაბალია და გავრცელებულია შეხედულება, რომ სახელმწიფო ხშირად ადექვატურად არ აღიქვამს ამ ჯგუფის ინტერესებს. ახალგაზრდები აქტიურად უნდა იყვნენ გატაცებული ქართული კულტურის შენარჩუნებისა და ტრადიციული ფასეულობების აღდგენის იდეით. ეკლესია, რომელიც ამ ღირებულებებს ასახავს, ასევე, ყველაზე სანდო ინსტიტუტად უნდა ითვლებოდეს. ამავე დროს, საკმაოდ დაბალია ტოლერანტობის დონე და მრავალფეროვნების მიმღებლობა.

ახალგაზრდობა ქვეყნის ყველაზე დიდი რესურსია, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს სამშობლოსადმი სიყვარულის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამასთან, ახალგაზრდები უნდა იყვნენ და არიან კიდეც ცვლილებისა და ინიციატივების მოტივატორები სხვადასხვა სფეროში. ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკა, როგორიცაა ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკა, ერთობლივად, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, თვითონ ახალგაზრდების ჩართულობით და კერძო სექტორის დახმარებით უნდა აწესრიგებდნენ უამრავ საკითხს, რომლებიც დაკავშირებული არიან ახალგაზრდების განვითარებასთან. ახალგაზრდებისთვის დასაფასებელია მჭიდრო ადამიანური ურთიერთობები.

სამწუხაროდ, საქართველოში ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებული პოლიტიკით. გარდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლები ჩართულობისა, ასევე დაბალია სამოქალაქო ჩართულობაც, არადა ახალგაზრდები საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენენ, არა მხოლოდ მომავალი განვითარების თვალსაზრისით, არამედ რაოდენობრივადაც და ესეც მნიშვნელოვნად ფასათვალისწინებელია. ახალგაზრდების მიდგომები, ხედვები და მათი ქცევები აყალიბებს იმ საზოგადოების მომავალს, რომელიშიც ეს ახალგაზრდები ცხოვრობენ. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური გარემო.

სოციალური ტრანსფორმაცია, როგორც წესი, იწვევს ღირებულებათა ცვლილების პროცესს, რაც ასევე აისახება ახალგაზრდების ღირებულებებში - იმ თაობის ღირებულებებში, რომელიც შეცვლილ გარემოში გამოვიდა ასპარეზზე.

საქართველოში ახალგაზრდები უფრო სწრაფად ხდებიან ზრდასრულები, ვიდრე დასავლეთის საზოგადოებებში, ამიტომაც, იმის გათვალისწინებით, რომ უფროს და უმცროს თაობებს შორის შეიძლება იყოს გარკვეული დისტანცია, მნიშვნელოვანია უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ ახალგაზრდების სოციო-ეკონომიკურ თავისებურებებს. იმ კონტექსტის განსაზღვირსთვის, რომელშიც ახალგაზრდები ცხოვრობენ, უფრო კონკრეტულად უნდა გავაანალიზოთ მათი კულტურული კაპიტალი, ოჯახური და საცხოვრებელი გარემო, ასევე მათი ფინანსური დამოუკიდებლობა.

კვლავაც აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდობა, არ არის დაინტერესებული პოლიტიკით და პოლიტიკოსების და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ძირითადად ნეგატიური დამოკიდებულებებით გამოირჩევა. მათი შეხედულებით პოლიტიკა ბინძური საქმეა და სჯერათ, რომ პოლიტიკაში ჩართული ხალხი მხოლოდ პირად ინტერესებზე ზრუნავს და არა ქვეყნის პრობლემების მოგვარებაზე. გარდა დაბალი პოლიტიკური ჩართულობისა, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობაც ძალიან უმნიშვნელოა.

ახალგაზრდების დაბალი ჩართულობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მოტივაციის ნაკლებობაა. მოტივაცია კომპლექსური კონსტრუქციაა და რამდენიმე პირობას მოიცავს. ზოგადი შეთანხმებით, მონაწილეობის სურვილი, დროის ქონა, ხელშემწყობი გარემოს არსებობა და მონაწილეობისთვის მოწვევა ის პირობებია, რომლებიც ხელს უწყობს ზოგად და ასევე პოლიტიკურ ჩართულობას.

პოლიტიკის სწორი და მართებული მიზანი უნდა იყოს გააუმჯობესოს ყველა ის ასპექტი, რომელიც შესაძლო ბარიერს შეიძლება წარმოადგენდეს ახალგაზრდების პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში ჩართულობისთვის.

სასიხარულო და მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს აქვს მყარად ჩამოყალიბებული თავიანთი მოსაზრებები იმ პრინციპებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც უნდა იცხოვროს ადამიანმა. მათ მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია იცხოვრო და მოიქცე პასუხისმგებლობით, იყო შრომისმოყვარე და კეთილად ამბიციური, დაეხმარო სოციალურად დაუცველ და გარიყულ ჯგუფებს. აღნიშნული მოსაზრების მხარდასაჭერად, ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია საკუთარი საჭიროებების სხვაზე წინ დაყენება. ახალგაზრდები ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯანსაღი ცხოვრების წესს. ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს წარსულის პატივისცემა. ახალგაზრდების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია ამაყობდე საქართველოს ისტორიით. თუმცა საგულისხმოა ის, რომ

ახალგაზრდების არც თუ ისე დიდი ნაწილი მიიჩნევს მნიშვნელოვნად ძველი ტრადიციების შენარჩუნებას. აღნიშნული მიგნების მიხედვით შეიძლება ითქვას რომ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისათვის მნიშვნელოვანია წარსული, თუმცა მათთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვეობისათვის ფეხის აწყობა. ღირებულებათა გლობალურ რუკაზე საქართველო უფრო მეტად გადახრილია და უნდა იყოს კიდეც ტრადიციული და გადარჩენის ღირებულებების პოლუსისაკენ.

ამრიგად, მე მაქვს უდიდესი იმედი მომავალი თაობისა. კარგი თაობა მოდის. ცუდი ყოველთვის იყო და ის დაილექება. მე მწამს, რომ ჩვენ ყველანი ერთად შევძლებთ ბრძოლას სამშობლოსა და ჩვენი მომავალი თაობების საკეთილდღეოდ!

26. *ძალიან საინტერესოდ მოგვიყევით მომავალი თაობის შესახებ, თუ რამდენად აქტუალურია მათი როლი სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლისათვის. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: სადაა ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც თავის დროზე მოიაზრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, როგორც კანონიერი ხელისუფლების უმაღლესი პირის - ბატონი ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებად? რა ძალებით და რა გზებით ვაპირებთ მიზნის მიღწევას?*

ძალიან საინტერესო კითხვაა! აუცილებელია მასზე ამომწურავი პასუხის გაცემა! ვეცდები დავიწყო თანმიმდევრულად.

როგორც ცნობილია, ისტორიულად, დამპყრობლებისა და მტრების შემოსევების ყველა ეტაპს, საქართველოში თან ახლდა ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული ცნობიერებისა და სარწმუნოების დევნა., გარეშე თუ შიგა მტრების მიერ ყოველთვის გააფთრებული თავდასხმები და აგრესია ხორციელდებოდა ქართული ეროვნული იდეოლოგიის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ. ეს აგრესია განსაკუთრებით გამძაფრდა და გაძლიერდა ჯერ ანტიეროვნული, სამხედრო-კრიმინალური, სახელმწიფო გადატრიალებისა და შემდგომ ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორული რეჟიმის ზეობისას.

ამას ქართველი ხალხი, სამშობლოსა და ქართველი ერის გადასარჩენად, ქვეყანაში ეროვნულ- განმანთავისუფლებელ მოძრაობის დაწყებით პასუხობდა და იმარჯვებდა.

ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული ცნობიერების, ქართველთა მოდგმის დასაცავად -- მისი აპოლოგიისათვის ყოველთვის იბრძოდა და იბრძვის saqarTvelos erovnul-ganmaTavisuflebeli moZraobis ძალები, რომელთაც არსებითად ხელეწიფებათ იდეოლოგიური შებრძოლება.

ასეა დღესაც. ქვეყანაში შექმნილი ვითარება კრიტიკულ ზღვარს გადასცდა. საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ დაწყება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო არ განმტკიცდება თავის თავისუფლებაში ყველა — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ასპექტით. შესაბამისად უწყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო და ამ დროში მის მიერ დატოვებული კვალიც, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

აი, სწორედ ამისთვის აღსდგა და ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიღებულ იქნა და გამოქვეყნდა მისი მანიფესტი, მემორანდუმი, ქარტია, დეკლარაცია, მიმართვები და განცხადებები, რომელთა

საშუალებით არაერთხელ განცხადებულა, რომ უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის, ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკითხები. აქედან გამომდინარე კი, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ ერთ-ერთ მიზანს, ეროვნულად მოაზროვნე ძალების გადარჩენა, კონსოლიდაცია და საქართველოს გადარსაჩენად დარაზმვა წარმოადგენს.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ `ლეგიტიმაციის აღდგენის გარეშე ქართული სახელმწიფოს გადარჩენა და აღორძინება შეუძლებელია, რამეთუ, `ხელისუფლება" ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა ღვთისაგან“ (ზვიად გამსახურდია).

ასევე, საქართველოს ეროვნულ-გამანთავისულებელი მოძრაობის მიზანია დაამკვიდროს ქვეყანაში მშვიდობა, ურთიერთგაგება, მონანიებისა და მიტევების გზით ხელი შევუწყოთ ეროვნული თანხმობისა და შერიგების პროცესს. მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით მიღწეული სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის და ეს ბრძოლა გავაგრძელოთ მანამ, სანამ ქართველ ხალხს არ ეყოლება ერის ნების გამომხატველი სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება და მიგვაჩნია, რომ სხვა გზა არის გათიშულობის, დაპირისპირების და კონფრონტაციის გზა.

აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმირებული, სამართლებრივი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა რეალური და უცილობელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს.

დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს, გამარჯვების გარანტი კი საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

შეიძლება დღეს ფანტასტიკურად სჩანდეს, მაგრამ როცა ჩვენ მთელი ერის ძალას შევკრებთ და ფაქტობრივ ხელისუფლებას ვაიძულებთ თავიანთი უცხოელი „უფროსების" ნებართვის გარეშე, ან თუნდაც ნებართვით დასხდნენ მოლაპარაკებაზე ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან საქართველოს საკეთილდღეოდ, ეს ყოველივე რეალობად იქცევა. სწორედ ამ მხრივ წარვმართავთ ჩვენს ძალისხმევას და სხვასაც იმავეს მოვუწოდებთ.

გვსურს, აგრეთვე ყველას ვამცნოთ, რომ ჩვენი მიზანი არ არის თანამდებობის დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის, კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა. ეს ყოველივე კი გამომდინარეობს კანონიერების აღდგენის სტრატეგიიდან და ეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტის _ ზვიად გამსახურდიას მოსაზრებებს კანონიერი ხელისუფლების მოქმედების პრინციპების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივმა რეჟიმმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული გამოძიება ჯერ კიდევ 2004 წელს წამოიწყო. ამ გამოძიებაში ათობით გამომძიებელმა დაკითხა ასობით მოწმე და ჩაატარა ასობით საგამოძიებო პროცედურა, დაწერა ათასობით გვერდი მასალა, მაგრამ უშედეგოდ.

ასევე სავარაუდოდ უშედეგოდ დამთავრდა ე. წ. `საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის'' მუშაობაც, რამეთუ მასში ნაკლებადაა სამართლებრივი, იურიდიული მსჯელობები, ფაქტორები და ასპექტები, რომლითაც უნდა გამოირჩეოდეს ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანოს დოკუმენტები, თუმცა ამ არალეგიტიმური კომისიის „მუშაობა“ ასეთიც უნდა იყოს, მისი მიზანი ხომ პიარია და სხვა არაფერი.

რაც შეეხება კანონიერი ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - უზენაეს საბჭოს, მისი მოწვევის მექანიზმები კარგა ხანია მოიშალა. რატომ?! სადაა უზენაესი საბჭოს დეპუტატები? სად ბინადრობენ ამჟამად ცოცხლად გადარჩენილები?

თუ გადავხედავთ საკანონმდებლო აქტებს, ადვილად გავერკვევით, რომ საქართველოს კანონი `სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ'' და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება (#46/ნ 2006 წლის 10 თებერვალი ქ. თბილისი) `სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების¨დამტკიცების თაობაზე'', სადაც ვკითხულობთ: „ . . . 1990 წელს არჩეულ *ყოფილი* უზენაესი საბჭოს წევრებს კომპენსაცია ენიშნებათ 65 წლის ასაკის მიღწევის, ან 25 წლის შრომის საერთო სტაჟის შემთხვევაში, მიუხედავად მათი სადეპუტატო უფლებამოსილების ვადისა''; ` . . . *ყოფილი* პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) წევრს, რომელსაც შეუსრულდა 65 წლის ასაკი. ან აქვს 25 წლის შრომის საერთო სტაჟი და იგი ეწევა საჯარო საქმიანობას, მისი საშუალო თვიური ანაზღაურების შევსება მოხდება კანონით დადგენილ კომპენსაციის მაქსიმალურ ზღვრამდე''; ` . . . აღნიშნული პირობებით კომპენსაცია ენიშნებათ 1990 წელს კომუნისტური პარტიიდან მაჟორიტარული ან პროპორციული წესით არჩეულ *ყოფილ* უზენაესი საბჭოს წევრებს, თუ მათ სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდათ კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო, ან კანონის დარღვევით დეპუტატის სტატუსთან მისი საქმიანობის შეუთავსებლობის გამო. (2.11.2007 №306/ნ); „ . . . საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლები და ოდენობა განისაზღვრება `საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად''; „ . . . საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლები და ოდენობა განისაზღვრება `საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად''; ` . . . კომპენსაციას და სტიპენდიას, შესაბამისი განცხადების საფუძველზე ნიშნავს სააგენტო. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი. (27.06.2007 №193/ნ), პარლამენტის წევრზე *(ყოფილ წევრზე)* კომპენსაციის დანიშვნისათვის _ განცხადება, პირადობის მოწმობა, პარლამენტის წევრობის (*ყოფილი* უზენაესი საბჭოს წევრებმა უზენაესი საბჭოს წევრობის) დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო 65 წლის ასაკის შესრულებამდე, შრომის საერთო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა პარლამენტის წევრის ხელფასის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ იგი ეწევა საჯარო საქმიანობას და ამავე დროს აკმაყოფილებს კომპენსაციის დანიშვნის პირობებს ცნობა ხელფასის შესახებ, *ცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ*''; „. . . კომპენსაციის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მასზე რიცხული კომპენსაციის/სტიპენდიის თანხების გაცემა ხდება მის მემკიდრეებზე, თუ მათი მომართვა განხორციელდა ერთი წლის განმავლობაში, ასევე, მიუღებელი თანხები

მემკვიდრეებს შორის გადანაწილდება კანონმდებლობით დადგენილი წესით''; „. . . კომპენსაციის/სტიპენდიის გაცემის შეწყვეტა: კანონის თანახმად კომპენსაციის/სტიპენდიის შეწყვეტის საფუძვლებს შეიძლება წარმოადგენდეს შემდეგი გარემოებები: ა) კომპენსაციის/სტიპენდიის მიმღები პირის გარდაცვალება; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელება *(გარდა ყოფილი პარლამენტის (უზენაესი საბჭოს)* წევრის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელებისა, რომლის დროსაც კომპენსაცია გაიცემა მისი საშუალო თვიური ანაზღაურების პარლამენტის (უზენასი საბჭოს) წევრისათვის კანონით განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობამდე შევსების პრინციპით)", ` . . . პირადი განცხადება. *(თავი IV. კომპენსაცია/სტიპენდია ნამსახურობის ვადის ამოწურვის ან ასაკის მიღწევის გამო; თავი VI. მუხლი 15. კომპენსაციის/სტიპენდიის დასანიშნად მიმართვა და საჭირო ძოკუმენტები; გარდამავალი და დასკვნითი დებულებები, დანართები).*ზემოთხსენებული დოკუმენტური მასალები ცალსახად ადასტურებენ ე. წ. „ლეგიტიმური ხელისუფლების" მაღალჩინოსანთა ფაქტობრივ რეჟიმთან კოლაბორაციონისტობას და მეტიც, ადასტურებენ, რომ ყოველივე მათი სრული გაბითურებითა და ლეგიტიმურობის იდეის კიდევ ერთი დისკრედიტაციით დასრულდა.

ჯერ კიდევ წინა ფაქტობრივი რეჟიმიდან დაწყებული და ხელშეწყობით, როგორც ანტიეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ მომუშავე, ძირგამომთხრელი და მადისკრედიტებელი პარალელური ინსტიტუციების შექმნით, აქტიურად იყო და ეხლაც არის მცდელობები საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ინსტიტუციების მსხვრევისა და განადგურებისა.

ისინი საქართველოს ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორულ რეჟიმთან ბრძოლის ნაცვლად პირადი ამბიციების, საჭიროებებისა და პირადი ეკონომიკურ-სამეურნეო ინტერესების მოგვარებით არიან უპირატესად დასაქმებულები.

იმათ შორის კი დიდი უმეტესობაც, ვინც თვალთმაქცურად ვითომ იცავს ეროვნულ იდეალებს, შეფარული მტრები, შემრყვნელები და გამყალბებლებია. ისინი ცდილობენ დააშორონ ერთმანეთს, გამიჯნონ ეროვნულობის შემადგენელი ცნებები, ეროვნულობას ჩამოაშორონ სარწმუნოებრივი შემადგენელი, სავსებით უგულველყონ მოდგმითი, გენეტიკური შემადგენელი და ეროვნულობა მხოლოდ კულტურის თვისებად წარმოაჩინონ.

ზოგ მათგანს შესაძლოა თავი ბედნიერიც კი ჰგონია ფაქტობრივი ხელისუფლებაის წყალობით მატერიალური კეთილდღეობის ფონზე და კმაყოფილებასაც ვერ მალავს. დღენიადაგ ზრუნავენ ფაქტობრივი ხელისუფლების გაკეთილშობილებაზე და სამართალს დამპყრობელთა სამეფო კარზე ეძიებენ, ქართველი ერი კი დავიწყებიათ, თუმცა სიტყვებით კანონიერებასა და სამართალს ახსენებენ ხოლმე.

ამჟამად ხომ,საქართველოში განმსაზღვრელია კომპრადორიატის უცხოურზეო რიენტირებული და მომართული ინტერესები და არა საქართველოს შინაგანი, ღვიძ ლი ინტერესები გამომდინარე შედეგებით.

მაგალითისათვის, აღნიშვნის ღირსია ასევე საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილება (#1104 - Iს), რომელშიც აღნიშნულია:

`საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას *სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში*''.

ამ დადგენილების შესაბამისად საქართველოს 1990 წლის პარლამენტის ლეგიტიმურობა აღიარებულია არჩევიდან 5 წლის განმავლობაში ანუ 1995 წლამდე, ხოლო 1991 წელს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ _ ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმურობა აღიარებულია 1996 წლამდე, ანუ სათანადო კანონებით დადგენილი ვადების შესაბამისად.

ამერიკის კონგრესის ორგანოს _ „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიის (`Commission on Security and Cooperation in Europe'', Monday, October 25, 1993, Washington, DC), რომელსაც ევროპაში ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე გადამწყვეტი გავლენა აქვს, უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტში _ "Briefing on Current Situation in Georgia and Implications for U.S. Policy'' (`თანამედროვე სიტუაცია საქართველოში და დასკვნები აშშ პოლიტიკისათვის"), სჩანს, რომ შევარდნაძის ძალების აფხაზეთში შეჭრა ფასდება, როგორც კრიმინალური ბანდების ყაჩაღური, მძარცველურ აქცია -- რამაც არსებითად გამოიწვია სასტიკი ომი.

ამერიკის კონგრესის ეს დებულება სავსებით ეთანხმება ზემოთაღნიშნულ 2005 წლის 11 მარტის დადგენილებას (გამომდინარე ამ დადგენილების სამართლებრივი არსიდან, 1992-1993 წლებში, როდესაც აფხაზეთში მიმდინარეობდა ომი შევრდნაძის ხუნტის შეიარაღებილ ბანდებსა (ე. წ. სამთავრობო ძალები) და აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებს შორის -- ეს ორივე მხარე არალეგიტიმური, უკანონო იყო -- ანუ სამართლის თვალსაზრისით წარმოადგენდა კრიმინალურ დაჯგუფებებს), რომ იმ პერიოდში ლეგიტიმური იყო მხოლოდ ზviad გამსახურდიას ხელისუფლება და მისი შეიარაღებული ძალები, ხოლო შევარდნაძის ე. წ. სამთავრობო ჯარები და ომში მონაწილე სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები კრიმინალური სტრუქტურები იყვნენ. ამ ომის ეს კრიმინალური ხასიათი შევარდნაძის მიერ კონტროლირებადი საქართველოს მხრიდან უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი გარემო შეიქნა იმისთვის, რომ აფხაზეთი საქართველოსათვის ჩამოეშორებინათ.

სამწუხაროდ -- ქართული საზოგადოებრიობაში აფხაზეთში ომის ეს სამართლებრივი საკითხი და პრობლემა სავსებით მიჩქმალულია და პრაქტიკულად არაა ინფორმაციულ მიმოქცევაში. ამავე დროს, აფხაზეთის შემოერთების ნებისმიერ პრაქტიკულ მცდელობები ვერაფრით ვერ აუვლის გვერდს, ვერ აიცილებს თავიდან ამ სამართლებრივ ასპექტს.

აქედან სამართლებრივი დასკვნა:

აფხაზეთის დაკარგვის უმთავრესი მიზეზი იყო მისი სამართლებრივი დაუცველობა!

მეორეს მხრივ კი პარადოქსია, როცა დე-ფაქტო ხელისუფლებამ, ზემოხსენებული დადგენილებით, უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა 5 წლით განსაზღვრა, ხოლო მისმა წევრებმა, ამ განცხადებით, საკუთარი ლეგიტიმურობა შეიკვეცეს 1991 წლის ბოლომდე. ე. ი. გამოდის, რომ სამხედრო პუტჩის შემდეგ `არჩეული" ედუარდ შევარდნაძის პარლამენტი ლეგიტიმური ყოფილა და არავითარ ორხელისუფლებიანობას არ ჰქონია ადგილი საქართველოში! არც კანონიერება არ აღმდგარა დასავლეთ საქართველოში 1993 წელს და საერთოდ, თუ ხვდებიან ისინი, ვინც ამას მოაწერეს ხელი, მაშინ რას შეეწირა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ათასობით კანონიერი ხელისუფლების დამცველი!?

გარკვეული, თუ გაურკვეველი მიზეზებით, კანონიერ ხელისუფლებას ჩამოშორებული წევრები, რომელთაც ცხოვრების მიზნად აირჩიეს მედროვეობა და კოლაბორაციონიზმი, არ არიან ღირსნი თავიანთი ყოფილი სტატუსებისა და საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყოფნისა.

თითქმის ანალოგიურ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი კანონიერი ხელისუფლების აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების წევრებმა.

საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც კანონიერების აღდგენას არ მოითხოვენ, თავის თავს ამ მოძრაობის გარეთ აყენებენ!

თუ ვინმეს ნამდვილი მონანიება სურს კეთილი ინებოს და უწინარეს ყოვლისა საჯაროდ მისცეს აღსარება ქართველ ერს, ვისგან ფინანსდებოდნენ და იღებდნენ სხვადასხვაგვარ დახმარებას ფაქტობრივი ხელისუფლებისაგან.

მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი მათ სანდოობაზე საუბარი და თუ ვინმეს მართლა გააჩნია პრეტენზია ეროვნულობაზე დიდი სიამოვნებით დავიყენებთ გვერდით.

კანონიერი ხელისუფლების ერთადერთმა შემორჩენილმა ორგანიზაციამ მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულმა აღორძინებამ", როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთმა ფლაგმანმა და მისმა წევრებმა, შეინარჩუნეს ლეგიტიმურობა, კანონიერი კონსტიტუციის თანახმად დევნილობაში შექმნეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც თავის თავში მოიცავს კანონიერი ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების ყველა შტოს და განაგრძობენ სამართალმემკვიდრეობის აღდგენას. მათ მომზადებული აქვთ ასევე ძირითადი საკანონმდებლო აქტები, სტრატეგიული და ტაქტიკური სამოქმედო გეგმები კანონიერების ფაქტობრივად აღსადგენად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მისი პოლიტიკური ორგანო მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულმა აღორძინება" კვლავ მიმართავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნულ ინსტიტუციებს _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მინისტრთა კაბინეტსა და უზენაეს სასამართლოს, ასევე კანონიერი ხელისუფლების ყველა განშტოებებს, პრესისა და მასმედიის საშუალებებს, ა/წ წლის ბოლომდე ორგანიზაციულად, შესაბამისი დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით გამოხატონ თავიანთი ნება და მზადყოფნა თავიანთი უფლება–მოსილებისა და საქმიანობის გაგრძელების შესახებ, რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის განსაზღვრავს უპირველესი პრობლემის გადაჭრას: საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის, ლეგიტიმურობის, ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი, კანონიერი და რეალური საფუძვლის აღდგენა–მოწესრიგება.

მოვუხმოთ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, რათა მოხდეს ყველა _ ადამიანური, ორგანიზაციული, საინფორმაციო, ფინანსური და სხვა რესურსების გაერთიანება, თანხმობა-შერიგების გზით არჩეულ იქნეს მიზანმიმართული, შეურიგებელი და თავგანწირული პოლიტიკური ბრძოლის ფორმები და მექანიზმები, რათა ერთად ვიხსნათ სამშობლო.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მამულიშვილთა ნებითა და დასტურით, მომავალი სამართლებრივი, ლეგიტიმური და საყოველთაო არჩევნებით ეროვნული ძალების ხელისუფლებაში კვლავ მოსვლამდე, მზადაა, ისევ წარუძღვეს ერსა და ქვეყანას თავის მიერვე გამარჯვებით დაწყებული, სამართლებრივად, ლეგიტიმურად და კანონიერად მიღებული, კონსტიტუციურად გამართლებულ-გამყარებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე გარდამავალ-გარდამსახველი ეტაპის საბოლოოდ გამარჯვებით დასრულებისათვის.

შედეგად, ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ ვიტყვი:

ვინაიდან, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა და იგი გრძელდება, მანამ, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით, შესაბამისად უწყვეტია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას როლი, მის მიერ დატოვებული კვალი ამ დროში გრძელდება მომავალშიც.

ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება რისთვისაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმური მმართველობის აღდგენისა და სიტუაციის სასწრაფოდ გამოსწორებისა და სამართლებრივად გამართული ვექტორით სვლა, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების ლეგიტიმური და კონსტიტუციური ურთიერთდამოკიდებულების აღდგენა-აღორძინება.

ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა პირველ რიგში და საფუძველში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი ეროვნული-სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების, ინსტრუმენტების აღდგენა-აღორძინებას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისა და მითუმეტეს განზრახ სტაგნაცია-დაშლის მიმართულებით სვლას.

კვლავ ხაზს ვუსვამთ, რომ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას და არა ერთი პიროვნების მიერ ხელისუფლების უზურპაციას. მითუმეტეს, როცა მის მიერ ხდებოდა ყოველგვარი ეროვნულობის ანულირება. არადა, უდაოა, ლეგიტიმურობა და კანონიერება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სრულად ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე.

ამდენად, სამართლებრივად ცალსახაა, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები - პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ--სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ ემსახურება.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება. მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ - სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა და გზა სამარლიანობისა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამდენადაც ხალხის კანონიერი ინტერესების დასაცავად, სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად საჭირო და აუცილებელია ლეგიტიმური და კონსტიტუციური წარმომადგენლობითი ორგანოებისა და სახელისუფლო პირთა ლეგიტიმური პრინციპების დაცვა და ამრიგად არსებობა, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, უნდა დაიცვან მათი შელახული უფლებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ასეთი ორგანოები კი უნდა იყვნენ სამართლებრივი და კანონიერი კონსტიტუციის სახელმწიფოებრივი სტატუსის მატარებელნი. ისინი უნდა გახდნენ ქმედითუნარიანი, მოქმედი, ახალი ძალებითა და საზოგადოებისაგან უფლებამოსილების მატარებელი ადამიანებისაგან დაკომპლექტებული. მხოლოდ ამრიგად, სამართლებრივად, კანონიერად და კონსტიტუციურად თანდათანობით უნდა აღსდგეს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ყველა დონის ხელმძღვანელ პირთა ფუნქციებიც, რამდენადაც, ყოველივეს ხელს უნდა უწყობდეს ლეგიტიმური, სამართალმემკვიდრე, ხელისუფლების კანონიერი, კონსტიტუციური და სამართლებრივი ერთ მუშტად შეკრული ეროვნულ თანამოაზრე-თანამებრძოლთა წარმომადგენლობა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციები, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, სხვა ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს. ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს უკანონოდ შეწყვეტილი გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი. გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაში უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები. საქართველოში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს (კონსტ. მუხლი 2). ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა), რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ;

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით თანაბრად მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და სახელმწიფო საქმეთა მართვაში. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო აქტებისა და თავისი წესდების შესაბამისად (კონსტ. მუხლი 6-7). პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს. მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მათი უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მოვალეობაა (კონსტ. მუხლი 55). უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია იცავდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს (კონსტ. მუხლი 57);

*საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე). საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე)* მიერ უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სრულად გადადგება (კონსტ. მუხლი 124). საქართველოს მინისტრთა კაბინეტი თავისი მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს *(დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას). საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივით (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას) საქართველოს*

*რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თუ მისი ცალკეული წევრისათვის უნდობლობის გამოცხადებას მხარი უნდა დაუჭიროს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ორმა მესამედმა მაინც;*

*საქართველოს რესპუბლიკის ყოველი თანამდებობის პირი შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას* (კონსტ. მუხლი 87);

საქართველოს სახელმწიფოს საქართველოს რესპუბლიკის მეთაურია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურად შეიძლება არჩეულ იქნეს დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ოცდათხუთმეტიდან სამოცდახუთ წლამდე ასაკისა (კონსტ. მუხლი 121).

რადგანაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსიფლმხედველობისა და იდეოლოგიის მატარებელი ძალა, არ არის მხოლოდ ადამიანთა გულანთებული, პატრიოტული ერთობა და ის გაერთიანებულია საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური მმართველი ძალის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ გარშემო, იქმნება აუცილებლობა, რომ ამ იდეის მატარებელ ლეგიტიმურ სახელისუფლებო ძალას გარდამავალი პერიოდის დროში, რომელიც დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ მოღვაწეობით, სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების სრულ აღდგენამდე მიეცეს სრული პოლიტიკური იარაღის ტარების უფლება და იმოქმედოს როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ასევე სახელმწიფოს უმაღლესი პირისა და მმართველი ორგანოს დირექტივებითა და დადგენილებებით. ეს პროცესი ვალდებულს ხდის თავის მხრივ ყველა ამ პოლიტიკური იარაღის მატარებელ პიროვნებას, გამოიყენოს იგი ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის სამსახურში და ამ იდეის მატარებელი კანონიერი მთავრობის ქვეყნის ფაქტიურ მმართველობაში დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

ყველა საჭირო საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ სამართალმემკვიდრეობის სრულ აღდგენამდე, მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის დადგენილებებში და არის ლეგიტიმური კონსტიტუციით გამყარებული.

27. *უღრმესი მადლობა ბატონო ნუკრი საინტერესო ინტერვიუსა და საუბრისათვის. უაღრესად პრინციპულ და პრობლემატურ საკითხებზე გვქონდა შეხება. ასეთ თემებზე განხილვები უთუოდ აუცილებელია. როგორ ფიქრობთ, ინტერვიუების სერიალი უნდა გაგრძელდეს? ვფიქრობ ეს ძალზეც საჭიროა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მიზნების მიღწევამდე მას დასასრული არც კი უნდა ჰქონდეს, მითუმეტეს ჩვენს გაუსაძლის ცხოვრებაში.*

პირველ რიგში, უღრმესი მადლობა მინდა გითხრათ, დრო რომ გამოძებნეთ და მომეცით საშუალება თქვენთან ერთად მესაუბრა ქვეყნის ავბედით ცხოვრებაზე, მის კეთილდღეობაზე, ამისათვის, ასევე აუცილებელ, ზნეობრივ, მორალურ და სა სარწმუნოებრივ საკითხებზე. ასევე წარმატებით ვიმსჯელეთ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

ვფიქრობ, დიალოგი პიროვნებებთან, საზოგადოებასთან და ზოგადად ხალხთან აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და ამისათვის ყველა შესაძლო ფორმა და

საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული, რაც საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სარწმუნოებრივი მიმართულებებით ასევე, სამართლებრივ ცოდნის დონის ამაღლებაშიც დაგვეხმარება.

შესაძლოა ინტერვიუს ფორმატი შევცვალოთ დიალოგის ფორმატით ორ, სამ, ან რამდენიმე პიროვნებასთან ერთად. ეს საშუალებას მოგვცემს საუბრებში მეტი პიროვნების ჩართვისას, მოვისმინოთ მეტი აზრი, რაც ეროვნული იდეოლოგიისა და ცნობიერების აპოლოგეტიკის აუცილებლობას მოითხოვს.

ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ -- უკვე საუკუნეზე მეტია, რაც გააფთრებული თავდასხმები და აგრესია ხორციელდება. ეს აგრესია განსაკუთრებით გამძაფრდა და გაძლიერდა საქართველოში ჯერ ანტიეროვნული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ და შემდგომ კი ფაქტობრივი ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორული რეჟიმების ზეობისას.

ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების -- „ენა, მამული, სარწმუნოება" წინააღმდეგ -- ამჟამად საქართველოში მუშაობენ გლობალიზმის მიერ მსუყედ დაფინანსებული ინსტიტუციები -- როგორც ე. წ. სამეცნიერო და არასამთავრობო, - აგრეთვე მას მედიის ყველა სახეობა. იმათ შორის კი, ვინც თვალთმაქცურად ვითომც იცავს ეროვნულ იდეალებს დიდი უმეტესობაც შეფარული მტრები, შემრყვნელები და გამყალბებლებია. არაერთი გამყალბებელი ცდილობს დააშოროს ერთმანეთს, გამიჯნოს ეროვნულობის შემადგენელი ცნებები -- მაგალითდად, ჩამოაშოროს ეროვნულობას სარწმენოებრივი შემადგენელი, ან -- სავსებით უგულველყოს მოდგმითი, გენეტიკური შემადგენელი და ეროვნულობა მხოლოდ-ღა კულტურის თვისებად წარმოაჩინოს.

მუდმივი, გააფთრებული, მასიური და კაპიტალური თავდასხმებია თვით ტერმინზე, ცნებაზე: „ეროვნული"... ამ ტერმინის, ცნების გაიაფებით, უადგილო გამოყენებითა და გაშარჟებით ცდოლობენ ეროვნულობის თვით ცნების საფუძვლების შერყევასა და შელახვას...

აი, ასეთ ვითარებაში, ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დასაცავად, ქართველთა მოდგმის დასავად -- მისი აპოლოგიისათვის -- მცდელობს და საქმიანობს სიმრავლით უმცირესი და მატერიალურად სუსტი არაფორმელური ძალები -- რომელთაც ხელეწიფებათ არსებითად მხოლოდ ინტერნეტის, ვების მეშვეობით იდეოლოგიური შებრძოლება.

ამავე დროს -- საჯაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ იმათი დიდი უმეტესობა -- ვინც 1990-იან წლებში ქართველმა ერმა ეროვნულობის დაცვის მიზნით სახელმწიფოს სამართლებრივი სადავეებისა და ორგანიზაციული სისტემით სამართავად აირჩია და დანიშნა (საკანონმდებლო, აღმასრულებელსა და სასამართლო სფეროებში) -- საკუთარ მოვალეობებს გაემიჯნენ, ხალხის არჩევანს უღალატეს, თითს თითზე არ აკარებენ რათა ეროვნულობის წინააღმდეგ ქართველი ერის მტრის გააფთრებული თავდასმებს შეეპასუხონ, დაიცვან ეროვნილი იდეალები -- მეტიც, ძალზე ხშირ შემთხვევაში ეს „ხალხის რჩეულები" შეერწყენ, შეეთვისენ ფაქტობრივ, მარიონეტულ ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორულ რეჟიმებს და მათთან აქტიურად თანამშრომლობენ-კოლაბორანტობენ.

ასეთ ვითარებაში, ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლება - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა კიდევ ერთხელ ამახვილებს მამულიშვილთა ყურადღებას ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე და მოუწოდებს მათ მჭიდროდ ითანამშრომლონ ამ მიმართულებით კანონიერ მთავრობასთან და მის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.

კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა თქვენ -ქალბატონო თამუნა და ჟურნალის აურაცხელ მკითხველებს!

სამართალი აღდგება, სიმართლე ყოვლისშემძლეა! უფალი ჩვენთანაა!

# საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივი შეფასება-დადგენილება უკრაინაში მიმდინარე ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით

ა/წ 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინაში მიმდინარე მოვლენები წინა წლების დარად, იგივე შინაარსის მოვლენებთან ერთად, შეიძლება შეფასდეს:

როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ მეზობელი ქვეყნის მიმართ აგრესიის განხორციელება;

მისი შემდგომი ოკუპაცია-ანექსიის გზით სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა;

დანაშაულებრივი ომის წარმოება, უკრაინაში მცხოვრები მოსახლეობის სასტიკი გენოციდი, კვლავ, ორპოლუსიანი, ანტიდემოკრატიული სისტემის ჩასახვა-განვითარებით ჩრდილოელი აგრესორის მიერ მსოფლიოს დაშანტაჟების გზით.

მეორეს მხრივ, უკრაინის სახელმწიფომ არნახული სიმამაცითა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებით მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მომხდურ მტერს მისთვის სამამულო ომში. მისი მთავარი და შეუვალი მიზანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სუვერენული, დამოუკიდებელი, თავისუფალი, ევროპული ყაიდის სახელმწიფოს შექმნა და უკრაინის სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვა.

კაცობრიობა დადგა ახალი, მესამე მსოფლიო ომის საშიშროების წინაშე, რაც განაპირობებს სიტუაციისადმი განსაკუთრებული სიფრთხილითა და ამავდროულად, კარგად გააზრებული, მშვიდობის შენარჩუნების სურვილით განპირობებული ქმედებების აუცილებლობას და უნდა იძლეოდეს მსოფლიოში სრული ლეგიტიმური წესრიგის დამყარების წინაპირობას.

სამწუხაროდ, თუ ვერ მოხერხდა ამდაგვარი დადებითი ნაბიჯების გადადგმა და სამყარო კვლავ ძველი გარიგებების, დაშინებებისა და ძალადობრივი ქმედებების ამარა დარჩა მსოფლიო, კვლავ მრაავალნააცადი ე. წ. პოლიტიკური „ვირუსული“ დაავადებიდან ისევ „ბნელი და ხანგრძლივი ღამეების" კომაზოტურ უქრაობაში ჩაიძირება.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ მსოფლიოს მოწინავე, დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკოსებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, უპრიანი იქნებოდა, საფუძვლიანად გასცნობონენ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივ მიმართვას მათდამი, რათა ერთობლივად მოხერხდეს მსოფლიო კატასტროფის თავიდან აცილება.

# უდიდებულესი დღეები საქართველოს ისტორიაში - 1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი

როგორც ვიცით, 1991 წლის 31 მარტი საქართველოს რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების დღეა!

„ყველა ჩვენგანის ხმა 31 მარტს შეიძლება ის ერთადერთი იყოს, რომელიც გადაწყვეტს ჩვენი სახელმწიფოს საქართველოს ბედს“ - ბრძანა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, თანამედროვე, დამოუკიდებელი, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებელმა და მისმა პრეზიდენტმა.

რეფერენდუმის ჩატარებას წინ უძღოდა შემდეგი უმნიშვნელოვანესი ფაქტი: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 1990 წლის გაზაფხულზე აიძულა საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლება მიეღო რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, კერძოდ, 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ ჩაწერა, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ქვეყნის ტერიტორიის დაკავება წარმოადგენდა ინტერვენციას, ოკუპაციასა და ანექსიას არსებული წყობილებისა და ხელისუფლების დამხობის მიზნით.

გამომდინარე აქედან, რეფერენდუმზე დასმული კითხვა გვამცნობდა: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

დღეს, კვლავაც აქტუალურია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის არსი. ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ რეფერენდუმის პარალელურად, ასევე 31 მარტს საქართველოში გაიმართა ადგილობრივი თვითმართველობითი ორგანოების პირველი არჩევნები. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ.

თარიღი - 1991 წლის 9 აპრილი, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთი ლეგიტიმური დღეა!

ამრიგად, 1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი და გახლავთ ის მტკიცე ფუნდამენტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, მისი მომავლის სამართლებრივი გარანტია.

როგორც მაშინ, ჩვენი სამშობლო დღესაც გზასაყარზეა. ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც დღეს მსოფლიოში და განსაკუთრებით ჩვენს გარშემოა შექმნილი, კვლავ წყდება ჩვენი სახელმწიფოს მომავლის საკითხი. შექმნილი ვითარება, თითოეული ჩვენგანისგან მოითხოვს, ძალიან დიდ დაფიქრებას, გამბედაობას და მზაობას თავგანწირული მოქმედებისთვის. დღეს, ისე როგორც არასდროს, მოგვეთხოვება ერთსულოვნება, ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის გარშემო გაერთიანება, რათა საქართველო დაუბრუნდეს თავისი ისტორიული განვითარების სამართლებრივ გზას.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და იმავე წლის 9 აპრილს, მის შედეგებზე დაყრდნობით გამოცხადებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი - გახლავთ ის სამართლებრივი უძლეველი ფარიც და იარაღიც, რომლის წინაშეც ყველანაირი სხვა იარაღი უძლურია. უნდა გვახსოვდეს, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე, ვერ გვექნება მშვიდობა, წინსვლა და განვითარება. ჭეშმარიტი ეროვნულ-სარწმუნოებრივი აღორძინების გარეშე, ვერ ვიქნებით სრულყოფილი ნაწილი ჰუმანისტური, ცივილიზირებული სამყაროსი, რომლის განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ საკუთარ თავს.

შეგახსენებთ ზვიად გამსახურდიას უერთგულესი მეგობრისა და თანამებრძოლის, მისი სულიერი ძმის - ბატონ მერაბ კოსტავას სიტყვებს: „კმარა, წელზე ფეხის დადგმით, თავის შენარჩუნებაზე ფიქრი. დროა, დიდ ერად ქცევაზე ოცნების ჟამმა დარეკოს. დაე, არწივის გაფრენას ედაროს ოცნება იგი, რათა ოცნება მიზნად იქცეს, მიზანი კი - საქმედ!“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, კერძოდ კი - გაეროში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში (რომლის დედანი ჯერჯერობით ვერა და ვერ იქნა მოპოვებული) სამწუხაროდ არსად არ იკითხება, ის სამართლებრივი საფუძვლები და დადგენილების სრული ჩანაწერი გაეროში გაწევრიანებაზე. რჩება საკმაოდ ბუნდოვანი და ორაზროვანი წარმოდგენა თუ რა სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით ეძლევა რეკომენდაცია საქართველოს სახელმწიფოს (არალეგიტიმურია სახელმწიფოს ფაქტობრივი სრული დასახელებაც) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. ეს საკითხი აუცილებლად არის გასარკვევი და სამართლებრივი ხარვეზი აუცილებლად უნდა იქნას გამოსწორებული.

უნდა გვახსოვსდეს, ჭეშმარიტი თავისუფლების და დამოუკიდებლობის გარეშე, ვერ გვექნება მშვიდობა, წინსვლა და განვითარება. ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინების გარეშე, ვერ ვიქნებით სრულყოფილი ნაწილი ჰუმანური ცივლიზირებული სამყაროსი, რომლის განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ საკუთარ თავს.

საქართველოსაც გვქონდა და გვაქვს ყველაზე ხანგრძლივი „ღამე“ - ჩვენი „ბუჩა“ ... შეიძლება უარესიც ... სწორედ აქედან დაიწყო დიდი ღამე საქართველოს ისტორიაში . . .

ქართულ კალენდარზე, აგერ უკვე 30 ათეულ წელზე მეტია თარიღი არ შეცვლილა . . . ეს პერიოდი შავი თარიღია საქართველოს ისტორიაში . . .

სამწუხაროდ, კვლავ ნერვიულად ადგილზე ტოკავს ენერგიაგამოცლილი საქართველოს ჟამიერი, გაჩერებული საათის წამების ისარი . . .

თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარებას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და ეკონომიკის აღმავლობას!

ჩვენ უნდა აღვადგინოთ თარიღთა კანონზომიერი ცვლა ქართულ ჟამთსაბრუნავში . . . ჩვენ უნდა ავაღორძინოთ დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმავალი სული. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საწყევრად არ დავუტოვოთ სახელი შთამომავლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი ერთადერთი მმართველი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივი მიმართვაც ამავდროულად უკავშირდება ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს თარიღებს: 1990 წლის 31 მარტს, დღეს, როდესაც ქართველმა ხალხმა რეფერენდუმის გზით დაადასტურა მისი განუხრელი სწრაფვა დამოუკიდებლობისა და თავისუფალი, დემოკრატიული სამყაროს წევრობისაკენ და 1991 წლის 9 აპრილს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
ეროვნული აღორძინების“ პრეზიდიუმი

2022 წლის 9 აპრილი

# გაიღვიძე ქართველო, ღვთის შიშით მაინც ფართოდ გაახილე თვალები! ...

უკვე მესამე საუკუნეა და განსაკუთრებით კი, 1920 წლიდან, დიდად აღშფოთებულია ,,გაველურებული" დასავლეთი ,,ველური" ჩრდილო-აღმოსავლეთისაგან და მზადაა კიდევ უფრო მეტად გამოხატოს „აღშფოთება" მომავალშიც!

არადა, საქართველოში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის საფუძველზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა კი, იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918 წელს არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იმ დროს არსებული ტერიტორიების ჩათვლით.

თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა მალულად ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაშლის შედეგად სამართალმემკვიდრე სახელმწიფო.

დღეს ზოგიერთნი ღაღადებენ, რომ საქართველომ სამართლებრივად დაკარგა 20%! შეხედეთ სამართლებრივ რუქას, ეს დანაკარგი 20%-ია?

სამართლებრივი დანაკარგი 50-60% -ზე მეტია!

ვინ ცდილობს ითამაშოს ამ ტყუილებით? ვინ ცდილობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო გადატრიალების შედეგად უკანონოდ ჩამოყალიბებული ვითომ სახელმწიფო „საქართველოს" „ვითომ პრეზიდენტების" რიგითობის თავისებურად, თანმიმდევრულად დალაგებას და ამით თავიანთი ჯამთამღრიცხველის დაკანონებას?






# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია: ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს“

## (I ნაწილი)

„უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი,

უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი“.

აკაკი წერეთელი

გადავწყვიტე, წერილობით მოგმართოთ, ვინაიდან მრავალი ჩვენს ურთიერთობაში გარკვევას საჭიროებს, როგორც ქართველი ხალხისათვის, ასევე მსოფლიოსათვის. ეს წერილი მიზნად არ ისახავს თქვენს განქიქებას, ან თქვენი როგორც პიროვნების შეურაცხყოფას. იგი ასახავს მხოლოდ ობიექტურ რეალობას.

მე ვთვლი, რომ ის რაც ხდებოდა თქვენი მმართველობის დროს საბჭოთა პერიოდში, სახეცვლილად გრძელდება დღესაც და ასახავს ურთიერთობას საქართველოსა და იმპერიულ ცენტრს შორის, რომელმაც იმთავითვე დაგაკისრათ ფუნქცია საქართველოს ჟანდარმისა. ამიტომ მსურს გაგახსენოთ ყველაფერი უმცირეს დეტალებში და მოგახსენოთ ჩემი დასკვნები. მზად ვარ აგრეთვე მოვისმინო თქვენი კონტრარგუმენტები, დანარჩენი კი ერმა და საზოგადოებრიობამ განსაჯოს.

მართალია, პიროვნულად ჯერ კიდავ 60-იანი წლებიდან გიცნობდით, მაგრამ ჩვენი პირველი საქმიანი შეხვედრა მოხდა 1970 წელს. იმხანად თქვენ შინაგან საქმეთა მინისტრი იყავით და მამაჩემის, კონსტანტინე გამსახურდიას მეგობრად და კეთილისმსურველად სახავდით თავს. ამან გამაბედინა თქვენთან მოსვლა, როდესაც მამაჩემმა საახალწლოდ მიიღო ანონიმური წერილი ვითომდაც ,,რუსი და სომეხი ნაცისტებისა”, კუთხოვანი ასოებით დაწერილი ქართულ ენეზე, რომელიც ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მამაჩემს და მთელ ქრთველ ერს. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ ქართველი ერი გადაგვარებისა და მოსპობის გზაზეა დამდგარი და რომ ამას დააჩქარებენ რუსი და სომეხი ,,ნაცისტები”. მათი თქმით, აღმოსავლეთ საქართველო უნდა გადასულიყო სომეხთა და აზერბაიჯანელთა ხელში, დასავლეთ საქართველო კი რუსეთის ხელში. კონსტანტინე გამსახურდია, როგორც ეროვნული მოღვაწე, ამ ,,ნაცისტებს” უმთავრეს დაბრკოლებად ესახებოდათ ამ მიზნის მიღწევის გზაზე და ემუქრებოდნენ სიკვდილით. წერილში იყო ასეთი ფრაზა: „მოველით იმ წუთს, როდესაც დავიწყებთ ქართველთა სისხლის დაღვრას, ხოცვას ახალგაზრდებიდან დავიწყებთ”.

დიდხანს ვცდილობდი თქვენთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ. თქვენი მისაღები ხან მპასუხობდა თათბირი აქვსო, ხანაც რაიონშიაო წასული. სჩანს წინდაწინ იცოდით თუ რა საკითხზე მსურდა თქვენთან დაკავშირება. ბოლოს, როგორც იქნა, მწერალთა კავშირიდან მთავრობის აპარატით დაგიკავშირდით და მიმიღეთ. თქვენ წაიკითხეთ წერილი, განცვიფრება გამოხატეთ და დაავალეთ გამოძიება შსს ერთ-ერთ გამომძიებელს. თანაც მითხარით ათიოდე დღეში გამოიარეთო. ამასთან რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, რომ თქვენ საუბარზე დაისწარით ქალაქის მილიციის

საგამომძიებლო განყოფილების ყოფილი უფროსი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), რომელმაც კინაღამ სიცოცხლეს გამოგვასალმა მე და მერაბ კოსტავა 1959 წელს საპატიმროში რეციდივისტი მკვლელების ხელით. აი, ასე გამეცით ,,სიმბოლური “ პასუხი ჩემს კანონიერ მოთხოვნაზე, რომ გამოგეძიებინათ იმ ანონიმური წერილის ავტორის ვინაობა და როგორც ჩანს, გამოხატეთ თქვენი პოზიცია. ცხადია, შემდგომში არც არაფერი გამოიძიეთ და მიაფუჩეჩეთ საქმე. მრავალი რამ ამ ,,ნაცისტების” მუქარიდან თანდათან რეალობად იქცა მომდევნო წლებში, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წელს (1992 წ-ს.), საქართველოში დატრიალებული სისხლიანი მოვლენების დროს, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ. ახლა კი, ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების სხვა მომენტებს დავუბრუნდები.

მჟავანაძისეული პერიოდის კორუფციისა და განუკითხაობის დროს ქართველი საზოგადოება გამოსავალს ეძებდა. თქვენ აცხადებდით, რომ იბრძოლებდით პატიოსნებისა და პრინციპულობისთვის, უშველიდით ქართულ კულტურას, მოუღებდით ბოლოს მაფიის თარეშს (ცხადია, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე ოცნებაც კი გამორიცხული იყო მაშინ). ამიტომ მრავალი მიესალმა თქვენს მოსვლას ხელისუფლების სათავეში 1972 წელს და მეც იმედი გამიჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი დისიდენტი და საბჭოთა სისტემის მტერი. ახლა ვხედავ, რომ ეს იყო ახალგაზრდული გამოუცდელობა და კომუნისტური დემაგოგიის ვერშეცნობა ჩემის მხრით. რა უნდოდა იმის დანახვას, რომ კორუფციასთან ბრძოლის დროშა ააფრიალა ყველაზე მეტად კორუმპირებული სამინისტროს ხელმძღვანელმა და რომ პოლიტბიურო მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ და შემოწმებულ კარიერისტ კოლაბორაციონისტებსა და რუსიფიკატორებს ნიშნავდა ნაციონალური რესპუბლიკების ხელმძღვანელებად? თურმე თვით მჟავანაძეც კი ,,ნაციონალისტად” მიაჩნდათ თქვენთან შედარებით, ვინაიდან მან (თავისი სისუსტით და არა პატრიოტიზმით) ვერ გამოუცხადა ომი საკუთარ ერს, მის ენასა და კულტურას, მის თვითმყოფადობას. ამიტომ იყო აღნიშნული პოლიტბიუროს ცნობილ დადგენილებაში მისი პერიოდის ,,ნაციონალისტური” გადახრები. ხელისუფლებლის სათავეში თქვენი მოსვლის შემდეგ მალე გაქარწყლდა ილუზია, რომ თქვენ კომუნისტური და რუსოფილური ნიღაბი გჭირდებოდათ მოსკოვის მისატყუებლად, რათა ეროვნული საქმისათვის მიგეხედათ. თქვენ დაიწყეთ რუსიფიკაციის კამპანია ისეთი მასშტაბით, როგორიც არ მოსწრებია ჩვენს მრავანტანჯულ საქართველოს თვით ცარიზმის შავბნელი რეაქციის წლებშიც კი. თქვენ განდევნეთ ქართული ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, რუსული ენა კი ფაქტიურად სახელმწიფო ენად აქციეთ. დაიწყეთ კამპანია ეროვნული სულის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. თვით ისტორიულ თემაზე წერასაც კი ,,ნაციონალიზმად” ნათლავდით, ხოლო თქვენი მწერლები და კინორეჟისორები აშკარად გადავიდნენ ისტორიის გაყალბებაზე, საქართველოს რუსეთთან შეერთების, როგორც უაღრესად პროგრესული მოვლენის აპოლოგიაზე, ,,საბჭოთა პატრიოტიზმის”, შერეული ქორწინებების პროპაგანდაზე.

,,ინტერნაციონალიზმის” დროშით დაიწყო ქართული მოსახლეობის არნახული შევიწროება, სოფლად თუ ქალაქად, არაქართველთა პრივილეგიების პარალელურად. დაიწყო ბრძოლა ,,მავნე ჩვეულებებისა და ტრადიციების (!)” წინააღმდეგ, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან ბრძოლასაც. პარალელურად კი ნერგავდით კომუნისტურ, საბჭოთა ,,დღესასწაულებს”, სადაც ღრეობისა და მუცელღმერთობის გარდა არაფერი ხდებოდა, ნერგავდით ,,ახალ რიტუალებს”, ე. ი. ახალ საბჭოთა, კომუნისტურ რელიგიას.

დღეს, კრიმინალურ – ტერორისტული ხუნტის მოწვევით საქართველოში ჩამოსულს თქვენ და თქვენისთანა პარტოკრატებს ხშირად გხედავენ ეკლესიებში, სადაც სანთლებს ანთებთ ხოლმე. შთამომავლობამ უნდა იცოდეს, თუ როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიასთან, როგორ მართავდა მას თქვენი რწმუნებული, როგორ ფიქრობდა მის გადაქცევს სუკ-ის ფილიალად, როგორ არბევდნენ თქვენი კომკავშირლები მორწმუნე ახალგაზრდობას, განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაულებზე. მათ, ეკლესიების გვერდით გახსნილ კომკავშირულ შტაბებში შეჰყავდათ ახალგაზრდები, რომლებიც აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიაში ბედავდნენ

მოსვლას. ამ შტაბებში ხდებოდა მათი ტერორიზება, ,,დამუშავება”, აღრიცხვაზე აყვანა, ხოლო შემდგ ამას მოსდევდა რეპრესიები, სასწავლებლებიდან გარიცხვა, ოჯახების დაწიოკება და სხვა. როგორ დაიწყეთ ეკლესია-მონასტრების გადაკეტება თეატრებად, საკონცერტო დარბაზებად, როგორ გააუქმეთ, მაგალითად, შიო-მღვიმის მონასტერი 1980 წელს, როგორ დაამწყვდიეთ მისი წინამძღვარი, მოხუცი კაცი ეკლესიის შენობაში, ზამთრის ყინვაში, რის შედეგადაც მას კინაღამ სული აღმოხდა, როგორ იმსხვერპლა სუკ-ის ტერორმა მრავალი სამღვდელო პირი და ეკლესიის მსახური, როგორ უწყობდით ხელს ,,ზაკვო”-ს სამხედროებს ჩვენი კულტურის უნიკალური ძეგლების, განსაკუთრებით დავით-გარეჯისა და გელათის განადგურებაში, რაც იმპერიის გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ თანდათანობით ზრდიდით რუსული ენის საათებს ქართულ სკოლებში ქართული ენის ხარჯზე; როგორ კრძალავდით საქართველოს ისტორიის სწავლებას, როგორ დააპირეთ 1976 წელს უმაღლესი სასწავლებლების რუსიფიკაცია, ძირითად საგნებში ლექციების რუსულ ენაზე კითხვის დაკანონება, რამაც გამოიწვია დიდი აღშფოთება შეგნებული ქართული საზოგადოებისა. ამავე წლებში ბრეჟნევისეულ გიგანტომანიას, გიგანტური ჰესებისა და საწარმოო ობიექტების მშენებლობას ყველაზე აქტიურად თქვენ დაუჭირეთ მხარი, რაც იყო გამოვლინება საქართველოს წინააღმდეგ ეკოლოგიური ომისა და საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გენოციდს. ეს აჩქარებდა აგრეთვე ქართველი ხალხის ასიმილაციას, ვინაიდან ასეთი მასშტაბების მშენებლობებს ეროვნული კადრებით არა თუ საქართველო, არამედ თვით უკრაინა და ყაზახეთიც ვერ აუდიოდა. თქვენ იყავით ერთ-ერთი ინიციატორი ავადსახსენებელი როკის გვირაბის გაყვანისა, რის შედეგადაც ახლა იმკის საქართველო და რამაც დაგვაკარგინა შიდა ქართლი და სამაჩაბლო.

თქვენ, ავადსახსენებელი სუსლოვის ინსტრუქციების შესაბამისად, ყველაფერი იღონეთ იმისათვის, რომ აფხაზეთში ყოველნაირად გაძლიერებულიყო სეპარატისტული მოძრაობა და მომზადებულიყო სისხლიანი ეთნოკონფლიქტი.

თქვენს მიერ გაჩაღებულმა კამპანიამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, კორუფციასთან მოჩვენებითობა ბრძოლამ, საშუალო და დაბალი ფენა დააზარალა, მსხვილ მექრთამეთა ,,ელიტა” კი ხელშეუხებლად დატოვა. იმ დროს, როდესაც ხაბეიშვილისა და მგელაძის კორუმპირებული მაფია მილიონებს ატრიალებდა, რომელსაც უხვად უგზავნიდით პოლიტბიუროს. თქვენ წონაში მოტყუებისა და უმცირესი სამეურნეო დანაშაულისათვის ციხეებში ყრიდით და აციმბირებდით ათასობით უბრალო ადამიანს. როგორც ერთმა პოეტმა შეგნიშნათ, თქვენს დროს აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ასამართლებდა, ხოლო თქვენ ამ აქლემის ქურდებს სხვადსხვა დიდი თანამდებობებით აჯილდოებდით, ციხეებში დანერგეთ არნახული სადისტური წამების მეთოდები, თქვენს მიერ შექმნილ სპეციალურ მეორე კორპუსში სადისტმა გამომძიებლებმა და აგენტმა პატიმრებმა დაასახიჩრეს და დახოცეს ასობით ადამიანი, ჩვენებისა და ფულის გამოძალვის მიზნით, გააუბედურეს ასობით ოჯახი (ცირეკიძე - უსუპიანის საქმე, ფროლოვის საქმე, ოპერის საქმე და სხვა). დღეს ბევრი მათგანი აღდგენილია და იმავე ადგილზე მუშაობს; ალბათ, ახალ დატვირთვებს მისცემთ მათაც. ,,ნეგატიურ მოვლენებთან” ბრძოლის პარალელურად თქვენ თავად ნერგავდით კრიმინალურ პრაქტიკას საწარმოო-სამეურნეო სფეროში. კახეთში თქვენს მიერ ღვინის ფალსიფიკაციის მიზნით შეტანილმა შაქარმა სახელი გაუტეხა ქართულ ღვინოსა და ქართველ მეღვინეს. სამაგიეროდ ამგვარმა ფალსიფიკაციამ და მიწერებმა მოგიტანათ გარდამავალი დროშები, სოციალისტური შრომის გმირის ორდენები და გზა გაგიკაფათ კრემლის დიდებისაკენ.

იმ წლებში საზოგადოების მორალური დეგრადაცია იმითაც დაჩქარდა, რომ თქვენ თანამდებობის მოპოვების თუ საზღვარგარეთ მივლინებით წასვლის მთავარ პირობად სუკ-ის აგენტობა აქციეთ, რის შედეგადაც სუკის აგენტურულ ქსელში ჩაითრიეთ ქართველი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის და სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი. საერთოდ, სუკ-ის აგენტების რაოდენობამ თქვენი მმართველობის პერიოდში რეკორდულ

ციფრს მიაღწია, რასაც თქვენ ,,პიროვნების სოციალიზაციას” უწოდებდით და როგორც ჩანს განზრახული გქონდათ უდიდესი ნაწილის ჩაბმა ამ შავბნელი ორგანიზაციის სამსახურში.

თქვენ აღმართეთ თბილისის ცენტრში მოღალატე ორჯონიკიძის უდიდესი ძეგლი, ხოლო ოზურგეთში ძეგლი დაუდგით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორს ფილიპე მახარაძეს, ყოველნაირად ნერგავდით კომუნისტი ძმათამკვლელებისა და რენეგატების კულტს, ლენინის ძეგლების რაოდენობით ხომ საქართველომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას გადააჭარბა. სტალინის კულტსაც ფარულად უწყობდით ხელს, ვინაიდან სტალინი ოფიციალურად დაგმობილი იყო. თქვენ არაერთხელ გითქვამთ ვიწრო წრეში, რომ სტალინი თქვენი მოძღვარი იყო, რასაც საქმით ამტკიცებთ ყოველ ნაბიჯზე. ამავე დროს საქართველოში ძეგლები არ ეღირსათ დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს და მრავალ დიდ საზოგადო მოღვაწეს.

საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში თქვენ სიტყვა ,,ქართველი” ხაზინის ქურდის, მექრთამის, სპეკულანტის სიმბოლოდ აქციეთ, იმ დროს როდესაც კორუფცია და სპეკულაცია იმპერიის სხვა რეგიონებში კიდევ უფრო მეტად ყვაოდა.

თქვენ ებრძოდით საქართველოში ჭეშმარიტ ეროვნულ მწერლობასა და მეცნიერებას, სამაგიეროდ ააყვავეთ „მურტალო-კუკარაჩებისა“ და „შემწვარი ნეკნების“ ცრუ ლიტერატურა და ანტიეროვნული მეცნიერება. თქვენ არნახული სისასტიკით სდევნიდით არა მარტო დისიდენტურ მოძრაობას, არამედ თვით უმცირეს მისწრაფებასაც თავისუფლებისადმი, რაზეც აქ განსაკუთრებით უნდა შევჩერდე.

1976 წელს თქვენ დახვრიტეთ ქართველი პატრიოტი ვლადიმერ ჟვანია, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, რომელმაც მოაწყო საპროტესტო აფეთქებები მთავრობის შენობის წინ თბილისში, ქუთაისში და სოხუმში; 1983 წელს თქვენი ბრძანებით წამებით მოკლეს ქ. თბილისის ფსიქიატრიულ სავადმყოფოში პირუთვნელი ჟურნალისტი ქალი ნაზი შამანაური, თქვენი მაფიის მხილებისათვის; 1983 წელს დაახვრეტინეთ ცნობილი „თვითმფრინავის საქმეზე“ დაპატიმრებული ახალგაზრდები, თუმცა სხვა რესპუბლიკებში მინიმალურ სასჯელს აძლევდნენ ასეთი დანაშაულისათვის; მათთან ერთად დახვრიტეთ უდანაშაულო მღვდელი თევდორე ჩიხლაძე, როგორც ვითომდაც მათი „იდეური ხელმძღვანელი“, სინამდვილეში კი იმის გამო, რომ არ ისურვა სუკ-ის აგენტობა.

საქართველოს სავალალო მდგომარეობამ, თქვენმა დრაკონულმა რეპრესიებმა, ანტიქართულმა და ანტიდემოკრატიულმა პოლიტიკამ გამოიწვია საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც მე და მერაბ კოსტავა ჩავუდექით სათავეში. ერთხანს ჩვენ ვცდილობდით იატაკქვეშა მოძრაობის პარალელურად გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები დაკეტილი იყო ჩვენთვის, გწერდით წერილებს, განცხადებებს, ქართული ენის, კულტურის ძეგლების, ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე.

მიღებაზე მუდამ უარს გვეუბნებოდით, განცხადებებზე კი არავითარი რეაქცია არ ჩანდა, გარდა იმისა რომ, თქვენს გამოსვლებში დაუსახელებლად ხშირად გვიწოდებდით ანტისაბჭოთა დემაგოგებს, სამშობლოს მოღალატეებს (ცხადია სოციალისტურ სამშობლოს გულისხმობდით, რადგანაც სხვა სამშობლო არასოდეს გწამდათ და არც გწამთ). ბოლოს მთლიანად გადავედით იატაკქვეშა ბრძოლაზე და დავუკავშირდით საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ მოძრაობას, ვინაიდან მაშინ ჩვენი ბრძოლა ერთ მიზანს ისახავდა. ამას მოჰყვა ჩვენი დევნა სუკ-ის მიერ, დაბარებები, გაჩხრეკები, დაკავებები, ბოლოს კი ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღდა უპრეცენდენტო ცილისმწამებლური კამპანია პრესითა და ტელევიზიით, ხოლო 1977 წელს დაგვაპატიმრეთ. სუკ-ის ჯურღმულები არ გვაკმარეთ და ფსიქიატრიულ ციხეებში გვიკარით თავი: მე მოსკოვში, სერბსკის ჯალათ-ფსიქიატრთა ,,ინსტიტუტში”, ხოლო მერაბ კოსტავას თბილისის ორთაჭალის ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. შეშლილებად გსურდათ ჩვენი გამოცხადება თქვენი დრაკონული რეჟიმისა და სიმართლის თქმისათვის. ბოლოს ჰონოლულუს ფსიქიატრთა მსოფლიო კონგრესზე საბჭოთა სადამსჯელო ფსიქიატრიის

დაგმობამ გვიშველა, აგრეთვე საფრანგეთის ფსიქიატრთა პროტესტმა, წინააღმდეგ შემთხვევაში დნეპროპეტროვსკის ფსიქიატრიულ ციხეში ამოგვხდიდნენ ორივეს სულს.

სუკ-ში პატიმრობისას წელიწადნახევრის მანძილზე მიწევდნენ შანტაჟს, მემუქრებოდნენ ამერიკის დაზვერვის აგენტად გამოცხადებით, სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებით, ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურებით, მოსალოდნელი ახალგაზრდული დემონსტრაციების გაჟლეტით, ხოლო მოსკოვში პატიმრობისას ავადსახსენებელი სუსლოვის ემისრები საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებითაც კი მემუქრებოდნენ, თუ არ მოვინანიებდი. ჩემი მეუღლე კი, ძუძუთა ბავშვის დედა, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი სამსახურიდან მოახსნევინეთ, რაც არც ჰიტლერს და არც სტალინს არ ჩაუდენიათ. დღეს თქვენი აგენტები აყალბებენ ჩემი ე. წ. ,,მონანიების” არსს, იყენებენ ამას ჩემი დისკრედიტაციისათვის, თითქოს არ იცოდნენ საქმის რეალური ვითარება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ განვმარტო ჩემი ტაქტიკური უკანდახევა სასამრთლოზე 1978 წელს.

ჩვენი დაპატიმრების შემდეგ ეროვნულ მოძრაობას განადგურების საფრთხე დაემუქრა. აღარავინ რჩებოდა გარეთ დასავლეთის ქვეყნებთან ხიდის გამდები, თვითგამოცემებისა და იატაკქვეშა მუშაობის ორგანიზატორი. ბოლოს მე და მერაბ კოსტავამ მოვილაპარაკეთ, რომ მე ,,მოვინანიებდი” ჩემს ზოგიერთ ქმედებას, გამოვიდოდი ციხიდან და გარეთ გავაგრძელებდი საქმიანობას, შევინარჩუნებდი თვითგამოცემას, შევინარჩუნებდი საინფორმაციო ხიდს დასავლეთთან, ხოლო მერაბ კოსტავამ თავად იტვირთა ციხეში დარჩენა, თანაც გააკეთა წერილობითი განცხადება, რომ ჩემი ე. წ. ,,მონანიება” აუცილებლობით იყო გამოწვეული ჩვენი საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. მე გამოვიტანე ეს განცხადება ციხიდან, მაგრამ არ გამომიქვეყნებია, ვშიშობდი რამე ზიანი არ მიმეყენებინა მეგობრისთვის. ბოლოს, განთავისუფლების შემდეგ მან თავად გამოაქვეყნა იგი 1987 წელს მოსკოვის ჟურნალ ,,გლასნოსტის” მეხუთე ნომერში (რედაქტორი ს. გრიგორიანცი). ამგვარი შინაარსის წერილი მისწერა მან ე. ბონერსაც სახაროვისათვის გადასაცემად ქსნის კოლონიიდან იმავე წელს. მაგრამ ჰოი, საოცრებავ, დღეს თქვენ და თქვენი დამქაშები ჩემს ამ ტაქტიკურ უკანდახევას ,,ღალატად” ნათლავთ, თითქოს მერაბ კოსტავაზე დიდი მორალური ავტორიტეტები იყოთ და ეროვნული მოძრაობის თავკაცები.

მაგრამ თქვენ სულ სხვა მიზეზის გამო არ გასვენებთ ჩემი ,,მონანიება”. საქმე ის გახლავთ, ჩემი ,,მონანიება” და ციხიდან გამოსვლა რომ არ მომხდარიყო, არ იქნებოდა არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, არც 9 აპრილი და არც იმპერიის ბატონობის დასარული 1990 წლის 28 ოქტომბრის თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების სახით, ამიტომაც ვერ მოგინელებიათ ჩემი ,,მონანიება” და კბილებს აღრჭიალებთ მისი გახსენებისას.

ბოლოს გადამასახლეთ ნოღაეთის ნახევარუდაბნოში, სადაც ქართველმა მწყემსებმა გადამარჩინეს შიმშილითა და სიცივით სიკვდილს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი თქვენმა დამქაშებმა გამივრცელეს ჭორი, თითქოს მე თქვენი აგენტი გავხდი, რაც ერთხანს ირწმუნა საზოგადოების ნაწილმა და რასაც დიდხანს იმეორებდნენ ჭანტურია და სხვა მოღალატენი, ვიდრე თავად არ გამოვლინდნენ, როგორც თქვენი აგენტები. თანაც საზოგადოებამ დაინახა, რომ ისევ მე ვიყავი ერთადერთი კაცი, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას ვაწვდიდი ინფორმაციას საქართველოს შესახებ, ვახერხებდი თვითგამოცემას, ვაწყობდი საპროტესტო აქციებს ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად. ბოლოს ის ახალგაზრდებიც ჩამომაშორეთ და მტრებად მიქციეთ ისინი სუკ-ის ჯოჯოხეთური მანქანის მეშვეობით. გარდა ამისა, ყველა ხედავდა, რომ სუკის ყველაზე დიდი დევნისა და მეთვალყურეობის ობიექტი ისევ მე ვიყავი, ხელახალ დაპატიმრებას კი ვეღარ ბედავდით, რადგანაც უცხოეთში ძალზე გახმაურდა ჩემი სახელი.

ჰო, მაგრამ, მეტყვიან თქვენი დამქაშები, თქვენ შევარდნაძის წარსულზე საუბრობთ, მაგრამ დღეს იგი აღარ არის ის, რაც იყო, შევარდნაძე გადემოკრატდა. იგი ხომ ,,პერესტროიკის” ერთ-ერთი ავტორია. მან თავისი წარსული შეცდომები დაგმო, კომპარტიიდან გავიდა, ნუღარ იხსენებთ მის წარსულს, მის აწმყოზე ილაპარაკეთ.

კეთილი და პატიოსანი. განვიხილოთ თქვენი მოღვაწეობა ,,პერესტროიკის” შემდეგ. მართალია, თქვენ და გორბაჩოვი იძულებული გახდით მსოფლიო საზოგადოებრიობის დაწოლით დაგეწყოთ შედარებითი ლიბერალიზაცია, მაგრამ მიუხედავად პოლიტპატიმრებისა და რუსი დისიდენტების რეაბილიტაციისა, გრძელდებოდა ქართველი დისიდენტების დევნა და საზოგადოებიდან იზოლაცია. ჩემს წინააღმდეგ ისევ მძვინვარებდა კამპანია 1987-89 წლების საბჭოთა პრესაში, მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა ეროვნული ძალების აზვირთება საქართველოში, რისი კულმინაციაც იყო 9 აპრილი, როდესაც თქვენ და გორბაჩოვმა უკანასკნელად სცადეთ სამხედრო ძალით გაგენადგურებინათ ეროვნული მოძრაობა საქართველოში. დამახასიათებელია ის, რომ თქვენ 9 აპრილს დამსჯელი ოპერაციის ერთ-ერთი ავტორი და დამგეგმავი, საქართველოში მოგავლინეს და მოგახსნევინეს კომენდანტის საათი (თუმც დღეს მოსკოვის მიერ მოწყობილი პუტჩის შემდეგ ისევ თქვენ დააწესეთ უსასრულო კომენდანტის საათი, რომლის მოხსნასაც აღარ აპირებთ).

ბოლოს საქართველოში გაიმარჯვა დემოკრატიამ, ჩატარდა თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც თქვენი და თქვენი პარტიისათვის კრახით დამთავრდა. იმ დღიდან თქვენ გულში ჩაიდეთ რევანში და ყველაფერი იღონეთ იმისთვის, რომ ეს მონაპოვარი გაგენადგურებინათ და მიაღწიეთ კიდეც ამას იმპერიული ძალების დახმარებით. ხალხისათვის თვალის ასახვევად თქვენ მომილოცეთ ტელეგრამით არჩევნებში გამარჯვება, მაგრამ რამდენად გულწრფელი იყო ეს მოლოცვა დაადასტურა შემდგომი დროის მოვლენებმა. თქვენ შექმენით მოსკოვში შტაბი, რომელშიც გააერთიანეთ საქართველოდან გაქცეული ყველა რენეგატი-პარტოკრატი და გააჩაღეთ უპრეცენდენტო კამპანია მთელს მსოფლიოში საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და პირადად ჩემს წინააღმდეგ. თქენს მიერ მოსყიდულ ყოფილ დისიდენტებთან და ეროვნული მოძრაობის მოღალატეებთან ერთად არწმუნებდით მსოფლიოს, რომ საქართველოში დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი, ფაშისტური დიქტატურა, რომლის დამხობაც აუცილებელია. რა დიქტატურაზე შეიძლებოდა საუბარი, როდესაც გამოდიოდა 20-ზე მეტი ოპოზიციური გაზეთი, ტელევიზიით იკრძალებოდა მხოლოდ ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება, თავისუფლად დათარეშობდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და პარტიები, დავაპატიმრეთ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სჩადიოდნენ კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულს, ბანდიტიზმს, ქუჩების გადახერგვას ბარიკადებით, ტელევიზიის აღების მცდელობას.

თქვენ იყენებდით საბჭოთა იმპერიასა და დასავლეთს შორის დამყარებულ ალიანსს საკუთარი ქვეყნის გასანადგურებლად, მისი ლიბანიზაციის დასაჩქარებლად, სისხლიანი პუტჩისა და გადატრიალების მოსაწყობად. თქვენი მეცადინეობით ჩვენს წინააღდეგ ამოქმედდა კრემლის უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა, რომლის პირისპირ ჩვენი საინფორმაციო საშუალებები უძლური აღმოჩნდა. პარალელურად კრემლი აძლიერებდა საქართველოში თავის მიერ შექმნილ შეიარაღებულ ,,ოპოზიციას” და მის მოკავშირე კრიმინალურ ბანდებს, რომელთაც აიარაღებდნენ საოცარი ინტენსივობით. ხოლო როდესაც ჩვენ კანონი ავამოქმედეთ, დასცეს განგაში პოლიტიკური რეპრესიების შესახებ.

ამასთან თქვენ და გორბაჩოვი ყოველნაირად უჭერდით მხარს ოს სეპარატისტებს, რაც ხელს უწყობდა შიდა ქართლის კონფლიქტის გაღვივებას და საუკეთესო საშუალება იყო ჯარის შემოყვანისა და საქართველოს ხელახალი ანექსიისა. ამასთან ყოველნაირად ინიღბებოდით და მალავდით კავშირს ამ მოვლენებთან. თქვენ თითიც არ გაანძრიეთ იმისათვის, რომ ეს საფრთხე აშორებოდა საქართველოს. შეგახსენებთ ერთადერთ სატელეფონო საუბარს, რომელიც შედგა ჩვენს შორის 1991 წლის გაზაფხულზე, როდესაც გორბაჩოვმა დააპირა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შიდა ქართლის მთელს ტერიტორიაზე, რაც საქართველოს ხელახალ ოკუპაციას მოასწავებდა. მაშინ ჯერ კიდევ ვფიქრობდი რომ შეგებრალებოდათ თქვენი ქვეყანა და სწორ ინფორმაციას მაინც მივიღებდი თქვენგან ამ საშინელი საფრთხის შესახებ. როდესაც ტელეფონით დაგიკავშირდით, თქვენ მითხარით, რომ მე უნდა დამერეკა გორბაჩოვისადმი და მეთხოვა შეეჩერებინა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. ეს იმას მოასწავებდა, რომ

გორბაჩოვი სანაცვლოდ მომთხოვდა საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, ამიტომ ცხადია, აღარ დავურეკე მას. შემდეგ მე მოვითხოვე თქვენგან დაგვხმარებოდით საქართველოს გამოყოფაში სსრ კავშირიდან, თანაც შეგახსენეთ, რომ თქვენ თქვენი სამშობლოს მეტი არაფერი დაგრჩენოდათ და უნდა გეფიქრათ მის კეთილდღეობაზე. ,,დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც შემიძლია”– ასეთი იყო თქვენი პასუხი; მე გკითხეთ აგრეთვე, მიეცით თუ არა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას 31 მარტის რეფერენდუმზე, რაზედაც თქვენ დუმილით მიპასუხეთ. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ მხოლოდ 17 მარტის ე. წ. საკავშირო რეფერენდუმში მიიღეთ მონაწილეობა და ხმა მიეცით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ხოლო 31 მარტს საქართველო და მისი დამოუკიდებლობა არც გაგხსენებიათ.

მაგრამ თქვენი ყველაზე დიდი დანაშაული მაინც არის საქართველოში კრიმინალური რევოლუციის შემზადება და განხორციელება, რასაც პრეცენდენტი არ გააჩნია მსოფლიო ისტორიაში. თქვენ, ერთდროს დამნაშავეობასთან ვითომდაც მებრძოლი, დაუკავშირდით დამნაშავეთა სამყაროს და მისი მეშვეობით მოახდინეთ გადატრიალება საქართველოში. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები _ ჯ. იოსელიანი თავისი ,,მხედრიონით” და თ. კიტოვანი თავისი კრიმინალური „გვარდიით“, რომელმაც უღალატა კანონიერ ხელისუფლებას, თქვენი დასაყრდენი არიან დღესაც. თქვენს მიერ შექმნილმა კრიმინალურმა ხუნტამ, საქართველოში „ზაკვო“-ს ჯარების დახმარებით, დაატრიალა იგივე რასაც სჩადიოდნენ მურვან-ყრუს, ჯალალედინის, თემურ-ლენგის, შაჰაბასისა და აღა-მაჰმად ხანის ურდოები. ხუნტაში დამნაშავე სამყაროსთან ერთად გაერთიანდენენ მაფიოზი პარტოკრატები და თქვენს მიერ პრივილეგირებული კომუნისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები, ის ინტელიგენტები, რომელთა მიერ იარაღის ხელში აღებას თქვენ მიესალმეთ თვითმფრინავის ტრაპიდანვე საქართველოში ჩამოსვლისას. აი, ის სოციალური ფენები, რომელთაც თქვენ ეყრდნობით დღეს და რომელთა ხელითაც აპირებთ საქართველოს მომავლის „აშენებას“.

საქართველოს ციხეებიდან და კოლონიებიდან თქვენი ,,ამნისტიით” გამოშვებული 4 ათასამდე კრიმინალის დიქტატის ქვეშ არის დღეს მილიცია და პროკურატურა, მთელი სამართალდამცავი ორგანოები, რომელნიც ხელს უწყობენ მათ ახალ-ახალი სისხლიანი დანაშაულების ჩადენაში. თქვენი და ამ კრიმინალების დავალებით შეთითხნა პროკურატურამ ,,საქმეები” ჩემს წინააღმდეგ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და სხვა თანამდებობის პირების წინააღმდეგ, ხოლო ნამდვილ დამნაშავეთა საქმეები გააუქმა და მათი რეაბილიტაცია მოახდინა. პატიმრობიდან გაათავისუფლა ქართველი ხალხის მოსისხლე მტერი, ბოროტმოქმედი ტ. ყულუმბეგოვი, რამაც ახალი აღმავლობა გამოიწვია ე. წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ-ტერორისტული მოძრაობისა და საბოლოოდ დაგვაკარგვინა შიდა ქართლი.

## (II ნაწილი)

თქვენი ხუნტა პირველი დღეებიდან არბევდა და არბევს მშვიდობიან საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციებს. საქართველოში იანვარ-თებერვალში ,,გვარდიისა” და ,,მხედრიონის” კრიმინალებმა დახოცეს და დაჭრეს ასობით დემონსტრანტი, ხოლო შემდეგ დამალეს მათ მიერ დაღვრილი სისხლი, აუკრძალეს რა ჯანმრთელობის სამინისტროს გარდაცვლილთა გვარების გახმაურება. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ეს გვარები ყველასათვის ცნობილია და ადრე თუ გვიან მათი მხეცური მკვლელობისათვის მოგეთხოვებათ პასუხი ყველას.

თქვენმა ხუნტამ საქართველოში გააჩაღა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი და, რაც ყველაზე საგანგაშოა, არნახულად გააღვივა კუთხური შუღლი. ფოთის, სენაკის და ზუგდიდის ,,დასალაშქრავად” თქვენ გურულებს, იმერლებს და კახელებს აგზავნით,

თითქოს უცხო ქვეყანას იპყრობდეთ, ძარცვავთ, არბევთ და აწიოკებთ მოსახლეობას, ხოლო როდესაც ზუგდიდის მოსახლეობა აჯანყდა და ქალაქი გაათავისუფლა ,,მხედრიონის" და ,,გვარდიის" ბანდებისაგან, თანაც ტყვედ აიყვანა მრავალი მათგანი, ამის საპასუხოდ თქვენ თბილისში დააწვევინეთ კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, თითქოს იგი მარტო სამეგრელოს კუთვნილება ყოფილიყოს. როდესაც ზუგდიდის მკვიდრი 50-მდე შვილმკვდარი დედა დემონსტრაციაზე გამოვიდა დაღუპული შვილების პორტრეტებით ხელში, თქვენმა ,,შეიარაღებულმა" ძალებმა ისინი დაარბიეს, სასტიკად სცემეს და შვილების პორტრეტები თავზე დაამტვრიეს. აი თქვენი ,,ჰუმანიზმის", ,,პატრიოტიზმისა" და ,,დემოკრატიის" დამადასტურებელი ნიშნები.

დღეს მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებით ხდება თქვენი რეკლამირება, როგორც პოლიტიკოსისა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ თქვენ დაიწყეთ ,,გარდაქმნა", გაანთავისუფლეთ აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიისპირეთი, გააერთიანეთ გერმანია, განუზომლად გადაჭარბებული შეფასებაა თქვენი პიროვნული როლისა. ეგ ყველაფერი რონალდ რეიგანის, ,,სოი"-ს და დასავლეთის პოლიტიკის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის დისიდენტური მოძრაობის დიდი გამარჯვებაა უწინარეს ყოვლისა, რამაც აიძულა გორბაჩოვის მთავრობა წასულიყო უდიდეს დათმობებზე. თქვენ და გორბაჩოვმა, ფაქტობრივად მხოლოდ უკან დაიხიეთ ძალის წინაშე და ხელი მოაწერეთ ფაქტობრივ კაპიტულაციაზე, რაც დიდ დიპლომატიურ გამარჯვებაზე ვერ მეტყველებს. სასაცილოა თქვენს მიერ დღეს იმის გაცხადება, რომ ეგ ყოველივე თქვენ გააკეთეთ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიეღწია. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გდომოდათ, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას ესოდენ თავგამოდებით არ იბრძოლებდით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისათვის, ნებაყოფლობით არ დაბრუნდებოდით შემდგომში ისევ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე და არ განაცხადებდით, რომ საჭიროა სამშობლოს (ე. ი. სსრკ-ს) ხსნა. საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე რომ ყოფილიყავით, მონაწილეობას მიიღებდით 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმში. ამასთან, დასავლეთის ქვეყნებში დიპლომატიური მისიით მოგზაურობისას ერთხელ მაინც განაცხადებდით, რომ ეროვნებით ქართველი ხართ და რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა და იბრძვის დამოუკიდებლობისათვის; მაგრამ თქვენ ქართველად არასოდეს ჩაგითვლიათ თავი, ვინაიდან მუდამ იყავით ნამდვილი ,,ჰომო სოვეტიკუსი", რაც თქვენ თავად აღიარეთ იტალიური გაზეთის ,,კორიერე და ლა სერასათვის" მიცემულ ინტერვიუში.

სასაცილოა აგრეთვე იმის მტკიცება, რომ თურმე გენშერის მიერ ჩამოტანილი 10 მილიონი მარკის ოდენობით კრედიტი მოხმარდება ,,დემოკრატიული ინსტიტუტების" განმტკიცებას, რაც თქვენმა მოკავშირემ, ოსტანკინოს დეზინფორმატორმა გვამცნო. ყველასათვის ცნობილია, თუ რა ,,ინსტიტუტებია" ,,მხედრიონი", ,,გვარდია", ,,სამხედრო საბჭო", ანუ ხუნტა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს დემოკრატიას საქართველოში, ძარცვავს და არბევს მოსახლეობას, რამაც საქართველო მსოფლიოში ეკონომიურად ყველაზე გაღატაკებულ ქვეყნად აქცია, სადაც ყოველდღიურად უკვე მრავალი ადამიანი იღუპება შიმშილით (საქართველოს რადიოს ცნობა). რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს უკანონო რეჟიმის ცნობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ, ეს იმპერიის მხარდაჭერისა და თქვენი დემაგოგიისა და დეზინფორმაციის ხელოვნების შედეგია. მაგრამ გახსოვდეთ: ჯერ საკუთარმა ხალხმა უნდა გცნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი ფასი არ აქვს უცხო ქვეყნების მხრივ ცნობას.

სანუგეშოა, რომ ის ქვეყნები, რომელთაც გადატრიალებამდე სცნეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, აღარ აპირებენ თქვენი უკანონო რეჟიმის ცნობას, საკუთარი ხალხი კი თქვენ არ გცნობთ არასოდეს.

ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს საქართველოში თქვენს მიერ მოხდა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ლეგალიზაცია. ნარკომანია ღია, ლამის ოფიციალურ პრაქტიკად იქცა, ვინაიდან თქვენი ძირითადი დასაყრდენი ძალების, ,,მხედრიონისა" და ,,გვარდიის" წევრთა უმრავლესობა ნარკომანები არიან; თითოეულ მათგანს სჭირდება

დღეში რამდენიმე ათასი მანეთი მაინც ნარკოტიკული ნივთიერებებისათვის, რის შედეგადაც მათ მიერ იძარცვება საქართველოს მოსახლეობა, იტაცებენ ათასობით კერძო და სახელმწიფო მანქანებს და ყიდიან საქართველოს ფარგლებს გარეთ სრულიად ლეგალურად. ასე გაძარცვეს თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი და სხვა ქალაქები, ახლა კი ქართული მოსახლეობის გაძარცვის შემდეგ, არაქართველ მოსახლეობაზე გადავიდნენ, რაც გვიქადის ახალ ეთნოკონფლიქტებს. დაბა ყაზბეგი, ჩვენი დიდი ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლო, გადაქცეულია ნარკობიზნესის ცენტრად, მეორე ჰონკონგად, აზიისა და ევროპის ნარკობიზნესის ხიდად. ამის შედეგად იძარცვება სახელმწიფო ხაზინაც, რის გამოც ვეღარ არიგებთ ჯამაგირებს, პენსიებს, ჰონორარებს, თუმც პუტჩისტები მაინც ღებულობენ პრემიებს თავიანთი სისხლიანი დანაშაულობებისათვის, როგორც ,,დემოკრატისათვის მებრძოლნი”. აი თქვენი ,,დემოკრატიის” დიდი მიღწევები.

თქვენ ხედავთ, რომ საქართველოს მხოლოდ ,,მხედრიონისა” და ,,გვარდიის” ხელით ვერ იმორჩილებთ და ამიტომ, ფართოდ ჩააბით სამხედრო ოპერაციაში სნგ-ს ჯარები, რომლებიც დღეს ხუნტის ჯარებთან ერთად დაბანაკებულნი არიან სოფ. რუხთან და ლამობენ აფხაზეთში შეჭრას, რათა იქ გააჩაღონ ახალი ეთნოკონფლიქტი. 23 მარტს (1992წ), სამტრედიის სადგურზე ეშელონიდან გადმოტვირთეს თქვენი ,,გვარდიის” ჯავშანტრანსპორტიორები, რუსი ჯარისკაცებით სავსე, რომელნიც გაემართნენ ცხენისწყლის ხიდისკენ სადამსჯელო ოპერაციის ჩასატარებლად. სნგ-ს სამხედრო ვერტმფრენები თავს დასტრიალებენ წალენჯიხასა და ცელავენ ყველას, ვინც საეჭვოდ მიაჩნიათ. მათ მიერ განადგურებულია მშვენიერი კურორტი სქური. ასე, რომ თქვენ საქართველოში იწყებთ მეორე ავღანეთის ომს და ნუ გგონიათ, მსოფლიო ბრმა იყოს და ვერ ხედავდეს ამას.

დემოკრატიული „ინსტიტუტების“ ჩამოყალიბების პარალელურად თქვენ საქართველოში მასობრივი ტერორი და 37 წლის დარი რეპრესიები გსურთ აღორძინოთ. გრძელდება დაპატიმრებები შეთითხნილი ბრალდებებით, რაც თქვენი ხელწერაა. ყალბი ბრალდებებით არიან დაპატიმრებული უზენაესი საბჭოს საბიუჯეტო კომიის თავმჯდომარე ტარიელ გელანტია, პუტჩისტების 6 ტყვიით დაჭრილი, მომაკვდავი კაცი, ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, უზენაესი საბჭოს სადეპუტატო ეთიკის კომიისის თავმჯდომარე ბიძინა დანგაძე, დიდხანს ტანჯეს ციხეში ქუთაისის დეპუტატი ფირუზ დიაკონიძე, ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი, დეპუტატი ვახტანგ ჭითავა და სხვანი. ახლა შემოიღეთ მიტინგებზე სასიკვდილოდ ცემა და დანით დაჭრა უდანაშაულო ადამიანებისა, რასაც განსაკუთრებით ეფექტურად ნერგავთ უკანასკნელ ხანებში. თქვენი ხელქვეითი კრიმინალები განსაკუთრებით არაადამიანურად ექცევიან ქალებსა და მოხუცებს, მთელი ქალთა სქესი ლამის მტრად გამოაცხადოთ პირუთვნელობისა და შეუპოვრობისათვის.

თქვენ, ,,გარდაქმნისა” და ,,საჯაროობის” მედაფდაფემ საქართველოში მოსპეთ ყოველგვარი საჯაროობა, დააწესეთ უსასტიკესი ცენზურა პრესაში და ტელევიზიაში, აკრძალეთ ყველა თავისუფალი გამოცემა. ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთის, ,,იბერია-სპექტრის” რედაქტორს, პრინციპულ და მოუსყიდავ ჟურნალისტს, ირაკლი გოცირიძეს მოუკალით შვილი, შესანიშნავი მხატვარი გიორგი გოცირიძე და ახლა მეორე შვილზე ემუქრებით, ჟურნალისტური სინდისის ერთგულებისათვის. ა. წ. 30 მარტს, როდესაც მოსკოვის ტელევიზიით უნდა გადმოცემულიყო ჩემი ინტერვიუ, საერთოდ გააუქმეთ მოსკოვის პირველი არხი. ნუთუ ეს არის თქვენი დემოკრატია და საჯაროობა? რატომ არ უჩვენებთ ტელევიზიით ყოველივე იმას, რაც ხდებოდა და ხდება საქართველოში უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე? რატომ არ უჩვენებთ თბილისის დანგრევასა და დაწვას თქვენი ზარბაზნებითა და რაკეტებით, მიტინგების დარბევას, უდანაშაულო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას თქვენი ბანდების მიერ, დასავლეთ საქართველოს აწიოკებას, ხალხის ძარცვა-გლეჯას? რატომ არ აძლევთ სიტყვას თქვენს ოპონენტებს, ან იქნებ ფიქრობთ, რომ ამ გზით ჩაახშობთ სიმართლის ხმას?

ახლა ვნახოთ რას წარმოადგენს საქართველოში თქვენი „მოღვაწეობა“ სამართლებრივი თვალსაზრისით, ხელისუფლების უზურპაცია. თქვენს მიერ, კომპარტიის

ცკ–ს მსგავსი უკანონო ორგანოს, ე. წ. სახელმწიფო საბჭოს შექმნა და საკუთარი თავის დანიშვნა მის თავმჯდომარედ, არის უდიდესი უკანონობა და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევა, ვინაიდან ქვეყანას ჰყავს კანონიერი ხელისუფლება, ხალხის მიერ არჩეული, ხოლო თქვენ არავის აურჩევიხართ და არც დაუნიშნიხართ ამ თანამდებობაზე. თქვენ აცხადებთ, რომ საქართველოში უახლოეს ხანში ჩატარდება ვითომდაც თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი არჩევნები საქართველოში უკვე ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ჰყავს კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი, რომელთა გარეშეც არავის აქვს უფლება ახალი არჩევნების დანიშვნისა, ასე რომ თქვენი „არჩევნები“ იქნება ყალბი და უკანონო. ხოლო ახალ საარჩევნო კანონს, თქვენს მიერ შექმნილს, არ ექნება არავითარი იურიდიული უფლებამოსილება. ამგვარ „არჩევნებს“ ხალხი ბოიკოტით შეხვდება, ვინაიდან მან ერთხელ უკვე გამოხატა თავისი ნება. გარდა ამისა, ისეთ პირობებში, როდესაც თითქმის მთელს საქართველოში საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათია, არავითარ არჩევნებზე არ შეიძლება ფიქრიც კი, თუნდაც იგივე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით. ასე რომ, უზურპატორთა ხუნტის მიერ „არჩევნების“ დანიშვნა საგანგებო მდგომარეობის პირობებში არცერთ მსოფლიო სტანდარტს არ შეესაბამება.

თქვენმა ხუნტამ გამოაცხადა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რომლითაც იგი ვითომდაც ხელმძღვანელობს თავის პოლიტიკაში. თქვენ რომ გესმოდეთ, თუ რას ნიშნავს ამ კონსტიტუციის აღდგენა, იმ დღესვე გადადგებოდით და გამოაცხადებდით თვითლიკვიდაციას, ვინაიდან დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანას უნდა მართავდეს არჩევითი ხელისუფლება და არა უკანონო ხუნტა.

ახლა ვნახოთ როგორ გესმით თქვენ რუსეთ–საქართველოს დღევანდელი ურთიერთობა. როგორც აღვნიშნე, თქვენ გაქვთ პრეტენზია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობის რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელს თქვენს ძალებს მუდამ ახმარდით საბჭოთა იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებას, ხოლო ამჟამად, როდესაც დაიმსხვრა ეს თიხისფეხებიანი კერპი, იბრძვით მომაკვდავი რუსეთის იმპერიის შესანარჩუნებლად, რომლის დაშლაც გარდაუვალია, როგორც ყველა იმპერიისა. თქვენ კი ყოველნაირად ცდილობთ, საქართველო კვლავ აქციოთ რუსეთის კოლონიად. რატომ არ სცნობს დღევანდელი რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას და არ ამყარებს მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას? იმის გამო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აღარ სურს იყოს რუსეთის კოლონია და სამხედრო პლაცდარმი. ამასთან რუსეთს მიაჩნია, რომ საქართველომ რუსეთის ფედერაციის ნაწილებად უნდა სცნოს შიდა ქართლი და აფხაზეთი. ,,თქვენ წახვალთ, ოღონდ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე” გვეუბნებოდა გორბაჩოვის მთავრობა. დღევანდელი რუსეთის პოზიციაც ბევრით არაფრით განსხვავდება წინამორბედთაგან.

თქვენ განაცხადეთ, რომ რუსეთ–საქართველოს ურთიერთობა დიპლომატიურზე უფრო მეტია. დიპლომატიურზე ,,მეტი” ურთიერთობა საერთაშორისო პრაქტიკამ და სამართალმა არ იცის. რა უნდა ვიგულისხმოთ ამგვარ ურთიერთობაში, კოლონიალური მონობა ხომ არა? მაგრამ გახსოვდეთ, რომ რუსეთის იმპერია განწირულია, ისევე როგორც თქვენი ცდები საქართველოში რუსოფილური ნეოკომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისა. საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ერთგული დარჩება თავის არჩევანისა (სხვათაშორის წელს ეს თარიღი ოფიციალურად არც კი აღნიშნეთ). აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ცინიზმი და მკრეხელობაა თქვენის მხრით სამფეროვანი დროშისა და მერაბ კოსტავას სურათის ფონზე ჯდომა. იმ დროშისა, რომლის ეთგულებისათვის მრავალი ადამიანი გაგიგზავნიათ ციხეში. იმ მერაბ კოსტავასი, რომელიც 10 წლის განმავლობაში აწამეთ გულაგის საპყრობილეებში და რომელსაც თქვენმა აგენტებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ახლა ვნახოთ ვით ემთხვევა ურთიერთს თქვენი სიტყვა და საქმე საოკუპაციო ჯარებთან დაკავშირებით. თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა გაიმართოს მოლაპარაკება ჯარების გაყვანის თაობაზე და საქართველო არასოდეს გახდება სნგ-ს წევრი. ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს, იმ დროს, როდესაც ამ თანამეგობრობის სხვა წევრები თავისი ტერიტორიებიდან აძევებენ საოკუპაციო ჯარებს, ან თავის იურისდიქციას უმორჩილებენ, თქვენ დღითი დღე უმატებთ მათ რაოდენობას საქართველოში; გაირკვა, რომ თქვენი ჩამოსვლის პირველსავე დღეებში დაგირეკიათ მოსკოვში და გითხოვიათ ამ ჯარების საქართველოში დატოვება, რაც თავისი დაუფიქრებლობით მოსკოვის ტელევიზიით გამოაცხადა თქვენმა მეგობარმა ,,დემოკრატმა" გ. პოპოვმა. თქვენი ხუნტის დასტურით შემოიყვანეს ყარაბაღიდან გამოძევებული 366 მოტომსროლელი პოლკი. ამჟამად, როგორც სჩანს, გენშერთან გარიგების საფუძველზე გეგმავთ გერმანიიდან დემობილიზებული რუსი სამხედროებისათვის ბინების მშენებლობას. ბუნებრივია, ის ვისაც არ გააჩნია საკუთარი ხალხის მხარდაჭერა, დასაყრდენს ეძებს მტრის საოკუპაციო ჯარებში. ასე ყოფილა ოდითგან ჩვენს ავბედით ისტორიაში, ასე იყო ,,საბჭოთა" პერიოდში, ასე იქნება მანამ, სანამ საქართველოში იქნება სნგ-ს, ანუ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი თქვენი ხუნტის სახით.

არ შემიძლია არ ვახსენო ჩვენი ახალგაზრდობის სავალალო მდგომარეობა საქართველოში შექმნილი ვითარების შედეგად. თქვენ და თქვენი „წითელი“ პროფესორები დღენიადაგ ნერგავთ ახალგაზრდობაში კრიმინალების, ნარკომანების, „კანონიერი ქურდების“ მგლურ ჰეროიკას, შეაძულეთ ახალგაზრდებს წიგნი და შეაყვარეთ ნარკოტიკული ნივთიერებები, ავტომატი, ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა. ბოლოს, მრავალი მათგანი დამნაშავე რეჟიმის პატარა მონსტრებად აქციეთ, რომელნიც დღეს შეუბრალებლად არბევენ მშვიდობიან მიტინგებს, მხეცურად უსწორდებიან დიდსა და პატარას, ქალსა და ბავშვს, სიმართლის საქმისათვის. მაგრამ, გახსოვდეთ, სიმართლეს ვერავითარი ციხე, ვერავითარი ტყვია და კოცონი ვერ დაამარცხებს. საბედნიეროდ კარგი ახალგაზრდობაც გვყავს, რომელნიც თქვენ პასუხს გაგებინებენ ყველაფრისათვის. ,,უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი, უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი", როგორც იტყოდა დიდი აკაკი.

ახლა საბოლოოდ უნდა დაგისვათ მთავარი შეკითხვა: ვინ მოგიხმოთ ჩვენ წინამძღვრად? ვინ მოგიწვიათ საქართველოში, სად არიან ის მშრომელები, ის ახალგაზრდები, რომელნიც თურმე მოსკოვში მოსვენებას არ გაძლევდნენ განცხადებებითა და პეტიციებით, არიქა ჩამოდით საქართველოში და გვიშველეთო? სად არის ეს დოკუმენტები? მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში მოგიწვიათ ერთადერთმა კაცმა, კრიმინალმა და რეციდივისტმა, ავადსახსენებელმა ჯაბა იოსელიანმა, რომელსაც საკუთარი ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი და რომლის სახელსაც შეაჩვენებს ქართველი ხალხი თქვენს სახელთან ერთად. დიახ, მისმა ემისრებმა ჩამოგიყვანეს თქვენ თბილისში და აეროპორტში დაგხვდათ მოღალატეთა და კრიმინალთა მცირე ჯგუფი. სამაგიეროდ ქართველმა ხალხმა შეგარქვათ იუდა და ამ სახელის სკანდირება არ შეწყდება სანამ თქვენ მის მიწა-წყალზე დააბიჯებთ.

რატომ გეშინიათ სიმართლისა, რატომ არ პასუხობთ სტუდენტთა და ჟურნალისტთა შეკითხვებზე, რომლებიც გაზეთშიც კი გამოგიქვეყნეს? რატომ არ ღებულობთ ჟურნალისტებს? ან იქნებ გგონიათ, რომ დღეს შუა საუკუნეებია და თქვენი ბნელი საქმეები საბოლოოდ მიჩქმალული დარჩება? მერწმუნეთ მალე შეიტყობს დასავლეთი, თუ ვის შეუქმნა დემოკრატის იმიჯი და ვისი ხელით ცდილობს თავისი კავკასიური პოლიტიკის განხორციელებას. თქვენ კი აუცილებლად დამარცხდებით საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში, როგორც დამარცხდენ ნაჯიბულა და ბაბრაქ ქარმალი. ასეთივე დამარცხება გელით კავკასიის ხალხების წინააღმდეგ ომში, რომელსაც გეგმავთ იმპერიულ ძალებთან ერთად.

ამრიგად, თქვენი ,,გადემოკრატება” მარტოოდენ ფასადის შეცვლა ყოფილა, არსით კი თქვენ იგივე დარჩით, რაც იყავით, ტოტალიტარიზმის, სახელმწიფო ტერორიზმის ერთგული, სულით კომუნისტი, რაც მტკიცდება საქართველოში თქვენი ამჟამინდელი საქმიანობით, სადაც ააღორძინეთ პარტოკრატია და რეპრესიული, ტოტალიტარული რეჟიმი.

მახსენდება კანტის ცნობილი სენტენცია: ,,გადაფხიკეთ გერმანელი ფილოსოფოსი და თქვენ თეოლოგს აღმოაჩენთ მასში”. რასაც მე ასე მივუსადაგებდი ჩვენს სინამდვილეს: ,,გადაფხიკეთ ,,პერესტროიკის” ნებისმიერი დემოკრატი და თქვენ კომუნისტ-პარტოკრატს აღმოაჩენთ მასში”.

ვით ვირწმუნო თქვენი გარდაქმნა, როდესაც თქვენ, ნაცვლად იმისა, რომ შეინანოთ ერის წინაშე თქვენი უმძიმესი დანაშაულები, კვლავ ცოდვას ცოდვაზე უმატებთ და ყოველივეს ძველებურად განაგრძობთ? თქვენ იმპერიამ მოგავლინათ თავისი შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად, ეს იცის ყველამ საქართველოში და ამის გამო დაგიხვდათ მტრულად მთელი ერი. გახსოვდეთ, ქართველი ერი პოლიტბიურო არ არის, მარკებითა და დოლარებით რომ შეიძლებოდეს მისი მოსყიდვა.

ახლა დავუბრუნდეთ იმ ანონიმურ წერილს, რომელიც დასაწყისში ვახსენე. ახლა ვრწმუნდები, რომ ეს არავითარი რუსი და სომეხი ,,ნაცისტების” წერილი არ ყოფილა. ეს იყო იმპერიული სუკ-ისა და თქვენი წერილი, სადაც მოკლედ იყო ჩამოყალიბებული გეგმა საქართველოს განადგურებისა. ბევრი რამ შესრულდა ამ გეგმიდან, დაიწყო ქართველი ერის გენოციდი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, მაგრამ ამასთან ერთი იმპერია დაიშალა, ხოლო მეორე დაშლის პირას დგას. ასე, რომ თქვენს გეგმებს ასრულება არ უწერია. ქართველმა ერმა გამოიღვიძა და ამიერიდან მას ვერავინ მოახვევს მონობის უღელს. იმპერია მოისპობა, ხოლო საქართველო იარსებებს სამარადჟამოდ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მე თქვენ ბრალს გდებთ:

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სისტემატურ დევნასა და ჩახშობაში უსასტიკესი რეპრესიების გზით, მის დისკრედიტაციაში შინ და გარეთ. ქართველი პატრიოტების და ადამიანის უფლებათა დამცველების დევნა-დაპატიმრებაში, ქართველი პატრიოტის ვ. ჟვანიას დახვრეტაში, „თვითმფრინავის საქმეზე“ დაპატიმრებული ახალგაზრდების და მათთან ერთად ცრუ ბრალდებით დაპატიმრებული უდანაშაულო მღვდელის, თევდორე ჩიხლაძის დახვრეტაში, ჟურნალისტ ნაზი შამანაურის მკვლელობაში 1983 წელს ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში;

2. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების მოწყობაში, უპრეცენდენტო ცილისწამებლური კამპანიის ორგანიზებაში მსოფლიოს მასშტაბით;

3. დასავლეთის ქვეყნების დეზინფორმირებასა და დეზორიენტირებაში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;

4. საქართველოში კრიმინალური რევოლუციისა და სამხედრო გადატრიალების მოწყობაში, უკანონო, დანაშაულებრივი ხუნტის შექმნაში, ხელისუფლების უზურპაციაში, ქ. თბილისის ცენტრის დანგრევასა და დაწვაში;

5. საქართველოში დემოკრატიის ნაცვლად კლეპტოკრატიის დამყარებაში, დამნაშავეთა სამყაროსადმი სამართალდამცავი ორგანოების დაქვემდებარებაში, კრიმინალებისათვის ხელისუფლების გადაცემაში;

6. საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრისა და 1991 წლის 26 მაისის დემოკრატიული არჩევნების მიღწევების განადგურებაში, კანონიერი პარლამენტისა და პრეზიდენტის დევნაში;

7. საქართველოში რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარების ყოფნის დაკანონებაში, მათთვის საოკუპაციო ჯარების სტატუსის მოხსნაში, საქართველოში ამგვარი ჯარების ახალი კონტინგენტის შემოყვანაში ყარაბაღის 366 მოტომსროლელი პოლკის სახით, გერმანიიდან დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი სახლების მშენებლობის დაგეგმვაში ჩვენს ტერიტორიაზე;

8. საქართველოში კომუნისტური პარტოკრატიისა და მაფიის კვლავ აღორძინებაში;

9. იმპერიული სუკ-ის აგენტობაში და მის თავდადებულ სამსახურში წლების მანძილზე;

10. იმპერიული სუკ-ის აგენტურულ ქსელში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩათრევაში;

11. სახელმწიფო ტერორიზმში, 1992 წლის იანვარ-თებერვლის მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების დარბევა-დახვრეტაში კრიმინალების ხელით;

12. დასავლეთ საქართველოს დალაშქვრა-დარბევაში, მოსახლეობის ძარცვასა და გენოციდში, კუთხური შუღლისა და სეპარატიზმის არნახულ გაღვივებაში;

13. საქართველოში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ლეგალიზაციასა და წახალისებაში, თბილისის ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნარკომანებად, კრიმინალებად ქცევაში;

14. პიროვნულად ჩემი და ჩემი ოჯახის, თვით მცირეწლოვანი ბავშვების, დევნაში 20 წლის მანძილზე;

15. კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური სახლ-მუზეუმების გაძარცვასა და დაწვაში (ქ. თბილისი და დაბა ბიჭვინთა);

16. კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მასობრივ რეპრესიებსა და ტერორიზებაში;

17. გერმანიასთან საძრახის გარიგებაში საქართველოს ინტერესების ხარჯზე;

18. იმპერიის ცენტრის დავალებით ქართველი ერის გენოციდში;

19. სამშობლოს ღალატში.

ყოველივე ზემოთ თქმულთან დაკავშირებით, მოვითხოვ თქვენგან დაუყოვნებლივ წერილობით პასუხს და ახსნა-განმარტებას. გიწვევთ ტელედებატებში (როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს და არა როგორც არარსებული სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს), თქვენი საყვარელი მოსკოვის ტელევიზიით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებს თქვენს მიმართ სოლიდარობას, თანადგომასა და მიკერძოებას. ტელედებატებს ექნება ტელეხიდის ხასიათი.

მზად ვარ უკან წავიღო ჩემი სიტყვები, თუ დამტკიცდება ჩემს ნათქვამში უმცირესი გაყალბება, უზუსტობა ან გადაჭარბება.

<u>მინაწერი:</u>

თქვენდამი ღია წერილი უკვე დასრულებული მქონდა, როდესაც ხელში ჩამივარდა თქვენი ინტერვიუ ,,შპიგელისადმი”, სადაც ირკვევა, რომ თქვენ ყველაფერთან ერთად უწიგნურიც ყოფილხართ. კერძოდ, თქვენ, გერმანიის საქმეების ესოდენ დიდმა ,,ექსპერტმა” ,,შპიგელის” კორესპოდენტის განსაცვიფრებლად განაცხადეთ, რომ თურმე ჰიტლერიც დემოკრატიულად ყოფილა არჩეული, ისევე როგორც გამსახურდია. მან ზრდილობიანად შეგნიშნათ, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ სხვა გვერდზე ფრჩხილებში ჩასვა ეს თქვენი ,,აღმოჩენა” და გაგამასხარავათ (,,შპიგელი”, 14 აპრილი, 1992 წ).

არ ვიცი სკოლაში რა ნიშანი გქონდათ ისტორიაში, მაგრამ ასეთი რამ დღეს საშუალო სკოლის მოსწავლესაც არ ეპატიება. ცნობილია, რომ ჰიტლერი დანიშნა გერმანიის რაიხსკანცლერად პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა, ისევე, როგორც ერთ დროს თქვენ დაგნიშნათ ბრეჟნევმა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველ მდივნად, ამაშია თქვენი სულიერი ნათესაობა, ხოლო ჰიტლერის პარტიამ ისევე ვერ შესძლო რაიხსტაგში უმრავლესობის მოპოვება, როგორც თქვენმა პარტიამ საქართველოში, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში. ასე, რომ ანალოგიები უფრო სხვაგან უნდა ეძიოთ. საერთოდ, გირჩევთ ხშირად ჩაიხედოთ პოპულარულ სახელმძღვანელოებში და ენციკლოპედიებში, მსოფლიო მნიშვნელობის ინტერვიუს მიცემამადე.

1992 წელი 19 აპრილი

[გაზ. „ქართული აზრი“, აპრილი, 1992 წ.].

# ზვიად გამსახურდია : 1993 წლის 29 თებერვლის მიმართვა სტუდენტი ახალგაზრდობისადმი

ყველა მოწინავე და ცივილიზებულ ქვეყანაში სტუდენტი ახალგაზრდობა ბარომეტრია ერის პოლიტიკური ცხოვრებისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანას უჭირს. საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაო- ბა ახალგაზრდული მოძრაობა იყო, სტუდენტი ახალგაზრდობა ძირითადი საყრდენი იყო ჩვენთვის საბჭოთა პერიოდში, შევარდნაძის კომუნისტურ, რუსიფიკატორულ, ტოტალიტა- რულ რეჟიმთან ბრძოლაში. თუმც, იმპერიის აგენტურა საქართველოში ყოველნაირად ცდილობდა ეროვნული მოძრაობისათვისდა საერთოდ, ეროვნული იდეოლოგიისათვის ჩამოეშორებინა სტუდენტი ახალგაზრდობა, დაენერგა მასში პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, ეროვნული ნიჰილიზმი, ყალბად გაგებული კოსმოპოლიტიზმი, ხოლო ახალგაზრდობის ნაკლებად მოაზროვნე ნაწილში-კრიმინალური იდეოლოგია.

ეროვნული იდეალების ერთგულება ახალგაზრდობის ამ ცრუ მოძღვრებმა პროვინცალიზმად და ჩამორჩენილობად მონათლეს, რწმენის ერთგულება-ფანატიზმად, ნერგავდნენ დასავლეთის ფსევდოკულტურას, ფსევდომონდიალიზმს, უინტელექტო პროვინციალებს უწოდებდნენ ეროვნული მოძრაობის თავკაცებს, თავად პროვინციელები. ისინი ახალგაზრდობას უმალავდნენ, ან შესაძლოა, თავადაც არ უწყოდნენ, რომ ყოველ დროში თვით უნივერსალური, კოსმოპოლიტიურად მოაზროვნე გენიოსები ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, თუ პოლიტიკის დარგში, თავისი ერის გულმხურვალე პატრიოტები იყვნენ მუდამ და რომ კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ურთიერთგამომრიცხავი არ გახლავთ, როგორც ეს შესანიშნავად აღნიშნა ჩვენმა დიდმა ვაჟა-ფშაველამ.

მიუხედავად ამისა, კრემლის ზემოთხსენებული ემისრები განაგრძობდნენ თავის ბნელ საქმიანობას და ერთხანს მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს იმით, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორეს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და, უფრო მეტიც, ეროვნული ხელისუფლებისადმი მტრულად განაწყეს და ფსევდოოპოზიციურ საქმიანობაში ჩაითრიეს.

ეს ყოველივე გამოვლინდა ოპოზიციური ახალგაზრდობის ჩემთან შეხვედრისას 1991 წლის შემოდგომაზე. მაგრამ განვლილმა ერთმა წელმა კარგად დაანახა ჩვენს ახალგაზრდობას, თუ ვინ არის ის პიროვნება, ვის ჩამოსაყვანადაც მათ ზურგი აქციეს კანონიერ ხელისუფლებას და იდეური პლატფორმა გაუმარგეს პუტჩისტებს. ახლა, ვგონებ, ყველასათვის ნათელია, თუ რა მისიით იქნა იგი მოვლენილი საქართველოში და რას უქადის ჩვენს ქვეყანას მისი შემდგომი საქმიანობა პოლიტიკურ ასპარეზზე: დაქცეული საქართველო, დანგრეული და იავარქმნილი თბილისი, დაკარგული სამაჩაბლო და აფხაზეთი. კატასტროფის პირას მისური ეკონომიკა, ცრუ არჩევნები, ხელისუფლებაში დაბრუნებული ნომენკლატურულ-კომუნისტური მაფია კარგად მეტყველებენ მის როლზე და ამოცანებზე. დღეს მის გვერდით მხოლოდ დოლარებზე გაყიდული „პოლიტიკოსები" და პარტოკრატი მაფიოზები დგანან.

უკანასკნელ ხანებში სანუგეშო ძვრებს ვხედავ ჩვენი ახალგაზრდობის აზროვნებაში ამ მიმართულებით და იმედი მაქვს, რომ სტუდენტობა საბოლოოდ გაარჩევს თეთრს და შავს, დაუბრუნდება ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას და იხსნას საქართველო დაღუპვისაგან.

მსურს, აგრეთვე, ყველას ვამცნო, რომ ჩვენი მიზანია არა თანამდებობის დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის, კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. მჯერა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ჯანსაღი ნაწილი კვლავ მხარში ამოგვიდგება საქართველოს ხსნისათვის ბრძოლაში.

# ზვიად გამსახურდიას მიმართვა ქართველ ახალგაზრდებს

„მეგობრებო, ძალზე მძიმე მდგომარეობაა ზნეობის თვალსაზრისით. 107 მკვლელობაა ამ უკანასკნელ ხანში თბილისში და ამას სჩადიან უმთავრესად ახალგაზრდა ადამიანები. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვახცადოთ ასეთი ადამიანები ერის მოღალატეებად, ეროვნული მოძრაობის მოღალატეებად და მათი ფოტო ბრალდებებით და ბიოგრაფიებით უკვდავვყოთ ისინი, როგორც ერის მოღალატეები. სხვა გამოსავალი არ არის. თან გვაქვს მონაცემები, რომ ჩვენი მოსისხლე მტერი ფარულად წარმართავს ყოველივეს. ძალიან გთხოვთ, აი ამაში ამოგვიდგეთ მხარში. ჩვენ პოლიტიკური თეორიების შექმნაში მოხმარება არ გვჭირდება. კი ბატონო, თქვენც შექმენით, მაგრამ მოდით, ზნეობის საკითხებში უფრო მეტად დავუჭიროთ მხარი ერთმანეთს, რათა არ დავღუპოთ ერი, მეგობრებო!

მინდა კიდევ გისურვოთ, რომ ახალგაზრდობა უფრო ინტენსიურად ჩაებას რელიგიურ ცხოვრებაში. ღვთისმეტყველების და რელიგიის გარეშე არ არსებობს არავითარი განათლება. ეს კომუნისტებმა შემოიღეს ანტირელიგიური განათლება. მოვექცეთ რწმენაზე საქმით, პრაქტიკულად. ვინაიდან „სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს", (რწმენა საქმის გარეშე მკვდარია) როგორც არის ნათქვამი ბიბლიაში. ესაა ჩვენი სურვილები.

ისევ ზნეობას დავუბრუნდეთ – საშინელი მდგომარეობაა სკოლებში ზნეობის მხრივ. რა მეტყველებაა? რა მეტყველებაა სკოლებში?! რა ენაზე მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობა?! დაივიწყა წინაპრების ენა, წინაპართა სარწმუნეობა, გადავიდა საშინელ მეტყველებაზე, რომელიც ყურით არ მოისმინება. აი, რას უნდა ვებრძოლოთ პირველ რიგში და მერე ვიმსჯელოთ მაღალ პოლიტიკურ საკითხებზე და მერე გავარჩიოთ მსოფლიო პოლიტიკის და თუნდაც შიდა პოლიტიკის საკითხები.

შეძრული ვარ, ისეთი სიტყვები მესმის, როდესაც დავდივარ სკოლებში. მეტყველება სულის ანარეკლია მეგობრებო! ის სულის გამოხატულებაა. ეს ამ კომუნისტურმა წყობამ გადააგვარა ასე ადამიანები. კომუნისტურმა წყობამ წაართვა რელიგია, ზნეობა. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ყოველივე ამას, თუ გვინდა, რომ მართლაც ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი ერი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი, თუ ზნეობრივად არ ამაღლდა! რელიგიურად არ ამაღლდა.

ესეც უნდა გვახსოვდეს მეგობრებო, რამეთუ ისტორიამ იცის სასჯელები. მე დიდ დავით გურამიშვილს გაგახსენებთ. როგორ უკავშირებს ის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და მის უბედურებას რელიგიის დაკარგვას და ზნეობის დაცემას. ხომ გვახსოვს ყველას „ქართლის ჭირი"? მე კიდევ ვიმეორებ და გთხოვთ, რომ ჩვენს მეგობრებს, ნაცნობებს, ყველას მოვუწოდოთ, რომ აღარ მოხდეს ჩვენს თბილისში, მთელს საქართველოში ის მახინჯი მოვლენები, რომლებმაც ჩვენს ახალგაზდობას სახელი გაუტეხა. აი, ეს არის ჩემი უპირველესი სურვილი!"

(შენიშვნა: ეს არის ფრაგმენტი მთლიანი გამოსვლიდან)

# ამასობაში კი, ე. შევარდნაძე თავის პოლიტიკურ მაქინაციებს ატრიალებდა და ყიდდა საქართველოს ტერიტორიებს (საიდუმლო წერილი ვაჟა ლორთქიფანიძეს ე. შევარდნაძისაგან)

[illegible]
საქართველოს ტერიტორიის

საქართველოს პრეზიდენტი

ბ-ნო ვაჟა!

გადმოგცემთ ჩემი გულწრფელი მოკითხვა და დიდი მადლობა ბ-ნ ბერეზოვსკის მისი კეთილი ინიციატივისათვის. მჯერა, რომ იგი მომავალი საუკუნის პოლიტიკაში ერთ-ერთი დიდი ფიგურა იქნება.

რაც შეეხება ბათუმის, გალისა და კოდორის საკითხებს განვიხილოთ უფრო გვიან. მას შემდეგ, რაც ავტონომიებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე. სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის. ასეთია ჩვენი პოზიცია. გამომდინარე „გერმანული" ვარიანტიდან. ამასთან უნდა დარწმუნდნენ ჩვენი მეგობრები, რომ სამოკავშირეო (ხელშეკრულებაზე) ურთიერთობებზე უარს ვერ ვიტყვით. მაგრამ ხალხის შემზადებას დრო სჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩეჩნეთის ფაქტორსაც. დადებითი საერთაშორისო რეზონანსის (ამ ვარიანტით) უზრუნველსაყოფად იცი რომ კარგა ხანია მუშაობენ: დასავლეთთან სიონისტური მიმართულებით ნ. ლეკიშვილი და ე. რჩეულიშვილი, გრიგორიანული მიმართულებით ზ. ჟვანია, ი. სარიშვილი და ქუონია, კავკასიელებთან ი. ბათიაშვილი, შ. ნათელაშვილი და მ. არეშიძე. საჭიროა მათი დაკავშირება ბერეზოვსკისთან.

ბ-ნ სერგეისა და ლუდვიგს თქვენთან ერთად გააცანით ჩემი პოზიცია. სასურველია მასპინძელმა მხარემ ნაკლებად იცოდნენ ამ შეთანხმებათა შესახებ, მ. შ. განსაკუთრებით ჩვენმა „მხატვარმა".

ე. შევარდნაძე

# წერილი პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი




## მოწყალეო ბატონებო!

მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულითადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არ დამსახურებულ პატივისცემისათვის.

ხოლოღ ის-კი მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა. ერთის მხრით ყოვლად პატიოსანი გულთა-ძგერა თქვენი დამიდგა თვალ წინ, გულთა-ძგერა საქვეყნო, გულთა-ძგერა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი  უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილობით აღსავსემ გულთა-ძგერამ აღმოგიშობათ სურვილი  ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი დაუდვიათ ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძგერას, და გასამხნევებლად, თუ გული არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისადმი თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს [და მინდობიან] ძლიერებას გულისას.

კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება.

მე არ ვეჭობ, რომ მოვა დრო, და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა, წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად მხსნელი ღონე და

სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება ამაზედ უდიდესი მაგალითი?! არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართველს სტუდენტობას გული ანთებიათ თანაგრძნობით და კვნესით შეჭნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა-ძგერისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ, მაგრამ რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლია ამ ცივს ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთა ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად.

ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, - რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისა-ღა იმედზედ დარჩეს? აშკარაა იგი, რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.

გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიტყდა და ამ დროს რამე მიზეზი რომ მივცეთ, მთავრობა ჩვენზედ ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპება. თქვენ მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია, განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი, და მაშასადამე თქვენი ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მათ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის გარედ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა. კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა, არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ებრძოდეს, არ ერჩოდეს ყოველი პატიოსნურ საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისათვის ვერ გავწირავთ ვერას, ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ.

ნუ მაწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც იქით გადიხედავთ, ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმლით მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმითი კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი, თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი.

იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ და, რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც-კი, რაც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი, იმიტომ, რომ თვალწინ მიდგას ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანგამოცლილი.

უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდგან მაგ პატიოსან გულთა-თქმას, შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

1897 წ., აპრილი

## გავიხსენოთ „თერგდალეულთა" გამონათქვამები-დარიგებები შთამომავლობას

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ–სულ და ერთ–ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება–დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთსწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა, ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი. აი, საფრთხე სწორედ აქ არის. აი, აქედამ მოველით იმ მტვერ–ბუქსა, იმ კუდიან ქარსა, რომლის აყენებას არ მოერიდება იგი ერთგვარი გუნდი, რომ კაცს თვალები დაახუჭვინოს, თვალები აუბას”.

„ქართველმა თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც, ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა; სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი–აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებას”.

„ენა, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედველად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზემოქმედება, მისი წარმატება და მისის კეთილ–მდგომარეობისათვის სარგოიანი მოღვაწეობა”.

„ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული-ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერთვიოს,-მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს”.

„ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, ემორეს მხრით-რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უუარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლიებინა ჩვენს ისტორიას”.

„გვეყო ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავალის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ”.

„ერთხელ და უკანასკნელ საცოდნელად საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრივ და ყოვლისფრით სულ სხვაა. იმის ცხოვრებას, მოქალაქურს თუ ეკონომიურს, თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, თავსი საკუთარი დედა, თომელსაც შეუდედებია მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდედოს მისი მომავალი. ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად და ეკონომიურად. ეს წესნი ისე გამჯდარია ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტკიცესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა ზემოქმედება ისეთი ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგანაც უნიადაგოა და ფეხმოუკიდებელი; მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჰაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, ისე არ იხეირებს არარა ფიქრი, არარა მეცადინეობა, არარა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი დედა არა აქვს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ”.

„აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განწრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა”.

„უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიკურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ”.

„ყველამ ერთად და თვითოეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძიებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე”.

„წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისა და მარტო იმისი”.

„გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი-პოლიტიკისათვისაო”.

„სხვადასხვაობა სარწმუნოებისა სრულიად არაფერს უშლის ერთობას და ძლიერებას სახელმწიფოისას”.

„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა,-შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვეღარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ”.

„იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა?! აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა? ჰღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანეთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულობა? სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თავის ღირსებად, თავის ბედნიერებად, თავის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა? სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?”

„ჭკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავის ქერქშია,- რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება ... სულ სხვაა უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელი აქვს აშლილი. ...რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუშლის!...”

ილია ჭავჭავაძე

„ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე... ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოსძებნით ისეთ მაგალითსა, რომ ერს ეღალატნოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს”.

„ ... ძალ-ღონე ყოვლის ერისა უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნულის, მამულიშვილურის გრძნობის განვითარება-გაღონიერებაზე. სადაც ეს ცენტრალური გრძნობა სუსტია, იქ ხალხიც უძლურია”.

„განცალკევება საქართველოს კუთხეებისა ნამდვილი შხამი იყო ჩვენი ერისათვის, ერთობა კი – უებარი წამალი”.

„არცერთი სიტყვა სახელისათვის, ყოველი სტრიქონი ქვეყნის სიკეთისა და ქართველთა გაუკეთესოებისათვის. აი, პრინციპი, რომელიც უნდა თვალწინ ედგას ჩვენში ყველას, ვინც კი საზოგადოებას ემსახურება თავისი კალმით”.

ქართველობა არას დროს არ ყოფილა გამსჭვალული ნაციონალური ვიწრო ეგოიზმით, შოვინიზმით. ჩვენს სამეფოში, წარსულს საუკუნოებში, ყველა არა ქართველი გათანოსწორებული იყვნენ ქართველებთან ყოველი უფლებით, არავითარ შევიწროებას არ განიცდიდნენ არც სარწმუნოების და არც ენის შესახებ და ყოველს თანამდებოობაზე ისევე მწესდებოდნენ, როგორც თვით ქართველები”.

„ღრმად მორწმუნე კაცი არასოდეს არ ყოფილა სულმდაბალი, ეგოისტი და ვერც იქნება. იგი ახორციელებს თავის ცხოვრებაში მაღალს სწავლას სახარებისას და ჰფენს სითბოს, სიკეთეს თავისს გარშემო. წინააღმდეგ ამისა, თვით პირველი მსწავლული, სარწმუნოებას მოკლებული, შეიძლება იყვეს სულმდაბალი, არამზადა, მონა თავისი სიამოვნებისა, მავნე მოყვასისა”.

„სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგას, დროებითს ფორმებს ეკლესიისას და ივიწყებს შინაგანს მხარეს, ცხოველმყოფელს ზნეობრივს პრინციპებს, დედააზრებს სახარებისას”.

იაკობ გოგებაშვილი

„ჩვენი საქართველო: ეს არის ჩონგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვა... თვითეულს ამათგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოთ თავის-თავად არც ერთს არ აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ, და შეთანხმებით კი გაკეთილ-ხმოვანდებიან”

„გამოჩენილი კაცები იმით უფრო არიან შესანიშნავნი, რომ მათი არათუ სიცოცხლე, სიკვდილიც კი სამოძღვრო და საგულისხმოა ქვეყნისათვის!”

„მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის იყოს წყეული... ის იყოს კრული, ვინც მხოლოდ სიტყვით გაიძახოდეს: „ძმობა, ერთობა და სიყვარული”.

აკაკი წერეთელი

„მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა.

...მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, რომელნი ფიქრობენ, რომ შენთვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით...

...მეც ისე მიმაჩნია, რომ ქართულ ენაზე გემსახუროს შენ კაცმა, გინდა თათრულზე, ოღონდ კი შენი უფლებები დაიცვას, შენი მდგომარეობა გააუმჯობესოს, შენი ძალა აღადგინოს და შენს მტერს მეხი დასცეს, – სულ ერთია”.

„ჯერ არსად, არცერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა თავისი საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადოებას. კაცისათვის და ქვეყნისათვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავის საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია... ნაპოვნი და ნაწყალობევი კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნი იყო...”

„ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი; თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება...”

„რასაც პეტრე პირველმა – გენიოსმა – რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, რაც ჩვენში ერმოლოვმა – დიდმა და ჭკუიანმა ერმოლოვმა – ვერ მოახერხა, ის რუსებს ეკატერინემ და ქართველებს ვორონცოვმა ალერსით, თუ ოსტატობით შეაპარა. შეაპარა ბრმა, მაიმუნური გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრების”.

„ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცემს, ქართველს ვერაკაცი ვერ გაარუსებს... როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუსზავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს, ან ქართველმა რუსსავით გეყმოს, მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ”.

„თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალური მხრით – სამრთლიანად ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით – მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით.

... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ – მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც”.

„დროა, ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, სიზმრის თვალთმაქცობისაგან თავი ვიხსნათ, იმის გარჩევა ვისწავლოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია”.

„ქვეყნის პოლიტიკას, როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს –ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს (ქართული გეოპოლიტიკური ტრადიციის სათავე – კონსტანტინე ვეკუა). პოლიტიკა ახალ მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა–პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთითი ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსეთი, ბევრიც რომ ვიაწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს. ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდათ? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა, საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ?... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს...”

„ელაპარაკეთ რომელიც გნებავთ ღარიბს და უმტკიცეთ მას, თუნდაც ერთი წელიწადი, რომ იმისი ფარღალალა ქოხი ვერ გაუძლებს ვერც არქიტექტორულ და ვერც ჰიგიენურ კრიტიკას. ვერავითარი არგუმენტით ვერ დაუმტკიცებთ მას, რომ უმჯობესია მიატოვოს ქოხი და იცხოვროს ღია ცის ქვეშ. მაგრამ აუხსენით ამ ღატაკს, რომ იმ მასალებიდან, რომლებიც მას გააჩნია, შესაძლებელია ახალი ქოხის აგება, დაუმტკიცეთ მას, რომ ეს შესაძლებელია და სასარგებლოა, ასწავლეთ მას, როგორ ააგოს და რა აკეთოს და იმ წუთშივე გაგიგებთ. მაგრამ ის მაშინაც არ დაანგრევს თავის ქოხს, თუ სულელი არაა... ის ჯერ ააგებს ახალ სახლს, ხოლო შემდეგ კი, თუ მისი ქოხი არ გამოადგა ბოსლად, ან ძველმანთან შესანახ საკუჭნაოდ, დაანგრევს მას და მთელი თვის განმავლობაში გამოიყენებს ახალი სახლის გასათბობ შეშად. ეს ტრივიალური მაგალითი შეადგენს გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ გარდაქმნათა ფილოსოფიას”

ნიკო ნიკოლაძე



## ვახტანგ ბახტაძე

**ჟურნალისტი, პუბლიცისტი**

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის ზვიად გამსახურდიას პრეს-სპიკერი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი**

# მთარგმნელის წინათქმა

## „მხოლოდ შეშლილს შეიძლება სწამდეს წარსულში დაბრუნების შესაძლებლობა"

## ალექსანდრე სოლჟენიცინი

*ალექსანდრე სოლჟენიცინი* - ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი დისიდენტური მოძრაობისა, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, ავტორი ტრილოგიისა არქიპელაგი



*გამოჩენილი რუსი ინტელექტუალი, ანტიკომუნისტი, მწერალი დოკუმენტალისტი ალექსანდრე სოლჟენიცინი, ორწელიწადნახევრის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულეს და საბჭოთა კავშირიდან იძულებით გაასახლეს 1974 წელს, ჯერ ევროპაში იყო, ხოლო 1976 წელს მეუღლესთან - ნატალია სვეტლოვასთან და ოთხ ვაჟიშვილთან ერთად, აშშ-ში, კერძოდ, კავენდიშში ჩავიდა.*

*ელექსანდრე სოლჟენიცინი ავტორია მსოფლიოში გახმაურებული წიგნებისა:* ***„კიბოს კორპუსი“, „პირველ წრეში“, „წითელი ბორბალი“;*** *უფრო ადრე* ***„გულაგის არქიპელაგი“, „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“*** *და სხვა.*

*ამერიკაში ყოფნისას ისინი თავს არიდებდნენ ჟურნალისტებს და მისი ბედით დაინტერესებულ ადამიანებს, რომლებსაც უნივერმაღის კარის გვერდით ჩამოკიდებული განცხადება ხვდებოდათ: „ცნობებს იმის თაობაზე, სად ცხოვრობენ სოლჟენიცინები, არ ვიძლევით...“*

*დევნილი ანტიკომუნისტი მწერალი 1979 წელს ვრცლად ესაუბრა დევიდ ეიკმანს საკუთარ მსოფლმხედველობაზე, წარსულსა და სამშობლოზე. „ტაიმსის“ კორესპონდენტის კითხვაზე: „თქვენ ახალგაზრდობაში კომკავშირელი და კომუნისტი იყავით. როგორ მოხდა, რომ თქვენი იდეები შეიცვალა და მორწმუნე, ქრისტიანი გახდით?“ სოლჟენიცინი პასუხობს:*

*„ ჩემმა მშობლებმა ქრისტიანული სულისკვეთებით გამზარდეს და მოწაფეობისას, 17 თუ 18 წლამდე, საბჭოურ აღზრდას ვეწინააღმდეგებოდი. ამის სხვათაგან დამალვა მიხდებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ზემოქმედების ისეთი ძლიერი ხერხები აქვთ, რომ ახალგაზრდა კაცის ტვინში იჭრება და თანდათან ეუფლება მას.17-18 წლისა, მე შინაგანად შევიცვალე. იმ მომენტიდან მარქსისტი, ლენინელი გავხდი და ყველაფერს ამ საზომით ვზომავდი. ასეთი ვიყავი უნივერსიტეტში სწავლისას, ომის წლებშიც და თითქმის პატიმრობამდე, მაგრამ ციხეში სხვადასხვაგვარ ხალხს შევხვდი, და მე დავინახე, რომ ჩემს შეხედულებებს არ ჰქონდა მყარი საფუძველი, რომ ისინი საკამათო იყო. და მათზე უარის თქმა მომიხდა.“*

*ულიანოვ-ლენინის რუსული კულტურისადმი დამოკიდებულებაზე სოლჟენიცინს საკმაოდ მკაცრად ჩამოყალიბებული შეხედულება გააჩნდა: „ლენინს რუსულ კულტურასთან ცოტა რამ ჰქონდა საერთო. რასაკვირველია, მან რუსული გიმნაზია დაამთავრა, უეჭველად წაკითხული ჰქონდა რუსი კლასიკოსები, მაგრამ ის ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. თვითონ არცერთს არ ეკუთვნოდა. ის იყო „ინტერ“-ნაციონალურ-ერებს-შორის მოვლენა.“ ინტერვიუში სოლჟენიცინი ამბობს, რომ მასზე შეთხზულ ცილისწამებებსა და ბრალდებებს თავადაც განუცვიფრებია. ერთ-ერთ ასეთ ბრალდებად იგი „ნაციონალისტად“ გამოცხადებას მიიჩნევს: „...თითქოს ნაციონალისტი ვარ, მე პატრიოტი გახლავართ, მიყვარს ჩემი სამშობლო, მინდა, რომ ჩემი ქვეყანა, რომელიც ავადაა, რომელსაც 70 წელი სპობდნენ და რომელიც სიკვდილის პირასაა, აღორძინდეს. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს, ნაციონალისტი ვიყო. ყოველ ქვეყანას ჰყავს მისი მწარე ხვედრით დამწუხრებული პატრიოტები!“*

*ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პერიოდში, კრემლმა შეცვალა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მწერლის მიმართ.*

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სოლჟენიცინი რუსეთში ჩამოვიდა, მაგრამ გამოჩენილმა რუსმა დოკუმენტალისტმა მწერალმა ალექსანდრე სოლჟენიცინმა არ მიიღო პრეზიდენტ ელცინის მიერ მინიჭებული ქვეყნის უმაღლესი ჯილდო.*

*ამის მიზეზი ის იყო, რომ, როგორც მისი ოთხმოცდამეხუთე წლისთავზე გადაღებული დოკუმენტურ ფილმში დასმულ კითხვაზე, რას იტყვით დღევანდელ რუსეთზეო, სოლჟენიცინი პასუხობს: საბჭოთა კაავშირის ფორმა შეიცვალა, არსი კი იგივე დარჩაო.*

*ალექსანდრე სოლჟენიცინი ჯერ კიდევ 70-იან წლებში კრიზისში მყოფ ქვეყანას გადარჩენის საკუთარ გეგმას სთავაზობდა.*

*მაგრამ სულ ამაოდ.*

*მკითხველის წინაშეა მის მიერ 1974 წლის 12 თებერვალს დაწერილი მიმართვა (ერთგვარი პროგრამული განცხადება), რომელიც მალე გავრცელდა მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის დისიდენტურ წრეებში. როგორც ამბობდნენ, სწორედ ეს მიმართვა იქცა საბჭოთა კავშირიდაან მისი გაძევების ერთ-ერთ წინაპირობად.*

*აი, ეს ფრიად ცნობილი მიმართვა.*

**ვახტანგ ბახტაძე**

## ალექსანდრე სოლჟენიცინი

# ვიცხოვროთ სიცრუის გარეშე!



იყო დრო, როდესაც წიგნის გადაფურცვლასაც ვერ ვბედავდით. ახლა კი ვწერთ და ვკითხულობთ „თვითგამოცემას“, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების „კურილკებში“, ან სუფრასთან რომ მოვიყრით თავს, მათი მისამართით ვვიშვიშებთ: რაებს მიედებ-მოედებიან! ღმერთმა უწყის, საით გვექაჩებიან! კოსმიური მიღწევებით ბაქიბუქობენ, სახლებში კი სიღატაკე სუფევს; სადღაც, ცხრა მთას იქით ველურ რეჟიმებს ამკვიდრებენ, სამოქალაქო ომს აჩაღებენ; განუსჯელად გამოზარდეს მაო ძედუნი (ჩვენს ხარჯზე) - ახლა კი ჩვენვე გვაქეზებენ მის წინააღმდეგ, და მოგვიწევს კიდეც წასვლა, ან რა უნდა გავაწყოთ? ვისაც

სურთ, იმას ასამართლებენ, ჯანმრთელი კაცს შეშლილად აცხადებენ. „მათი“ განმკითხავი არავინ არის, ჩვენ კი უსუსურები ვართ.

გამოვიფიტეთ, ყველას დაგვეწყო საერთო სულიერი კვდომა, ჩვენც და ჩვენს შვილებსაც სადაცაა დაგვწვავენ და დაგვფერფლავენ. ჩვენ კი ძველებურად, შეშინებულნი ვიღიმებით და დამფრთხალნი ვბლუკენებთ:

- რისი იმედით აღვუდგეთ წინ? ჩვენ უკვე ქანცგამოლეულნი ვართ.

ჩვენ ისე უიმედოთ დავკარგეთ ადამიანური სახე, რომ მზადა ვართ, დღევანდელი საცოდავი ლუკმაპურის შესანარჩუნებლად დავთმოთ პრინციპები, საკუთარი სული, წინაპართა ღვაწლი, მომავალ თაობებს წინასწარვე წავართვით შანსი - ოღონდ შევინარჩუნოთ ჩვენი უბადრუკი არსებობა.

აღარც სიმხნევე შეგვრჩა, აღარც - სიამაყე, აღარც გულმხურვალება. აღარ გვეშინია თვით საყოველთაო ატომური კატასტროფისაც კი, აღარც მესამე მსოფლიო ომისა (მივიმალებით მივარდნილ ნაპრალებში), მაგრამ გვეშინია მოქალაქეობრივი მამაცობის გამოვლენისა! მთავარია, ფარას არ მოვწყდეთ, საკუთარი ნებით არ გადავდგათ ნაბიჯი, რათა უცებ არ დავრჩეთ უფუნთუშოდ, ბუნებრივი აირის „კალონკის“ გარეშე, მოსკოვში ჩაუწერლად...

პოლიტწრეებზე ტვინი ტყუილად არ უჭყლეტიათ ჩვენთვის. ღრმად ჩაგვინერგეს, თუ რამდენად მოსახერხებელია უზრუნველი ცხოვრება: არსებული გარემოდან და სოციალური პირობებიდან ვერ ამოვარდები, ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას... ჩვენ რაღა შუაში ვართ? ჩვენ არაფერი შეგვიძლია.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი შეგვიძლია! შეგვიძლია, მაგრამ თავს ვიტყუებთ, რომ თავი დავიმშვიდოთ. არაა ყველაფერი „მათი“ ბრალი. ყველაფერში ჩვენა ვართ დამნაშავენი, მხოლოდ ჩვენ! შეგვეკამათებიან: კი მაგრამ, ჩვენ რა უნდა ვქნათ? ჩვენ ხომ ხმა გაგვაკმედინეს! არც გვისმენენ და არც გვეკითხებიან. რით ვაიძულოთ ისინი, რომ დაგვიჯერონ? მათი გადარწმუნება შეუძლებელია.

ბუნებრივი იქნებოდა, ისინი გადაგვეყენებინა! მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება.

დასავლეთში ხალხს შეუძლია გაიფიცოს, მოაწყოს საპროტესტო დემონსტრაციები. ჩვენ კი დაბეჩავებულნი ვართ. ჩვენ ეს გვაშინებს: როგორ თუ? უცებ უარი ვთქვათ სამუშაოზე? ქუჩაში გამოვიდეთ?

ყველა საბედისწერო გზა მოსინჯულია რუსეთის მწარე ისტორიაში. მართალი რომ ითქვას - არცა გვჭირდება! ახლა, როცა ყველა საყრდენი ტოტი ჩვენვე მოვჭერით, და ის მოვიმკეთ, რაც დავთესეთ, დავინახეთ, როგორ დაბნეულან,

როგორ გაამპარტავებულან და გზას ამცდარან ის ახალგაზრდები, რომელთაც ეგონათ, რომ ტერორით, სისხლითა და სამოქალაქო ომით ააშენებდნენ სამართლიანსა და ბედნიერ ქვეყანას. არა, გმადლობთ, განმანათლებელნო მამანო! კარგად ვხედავთ, რომ ბინძური მეთოდები, საბოლოო ჯამში, მწარე ნაყოფს იძლევა. დაე, ამიერიდან ჩვენი ხელები სუფთა იყოს!

მაგრამ ნუთუ წრე შეიკრა? ნუთუ მართლა აღარაა გამოსავალი? ნუთუ გულხელდაკრეფილნი უნდა ველოდოთ, რომ თავისთავად მოხდება რამე?..

მაგრამ ბოროტებას ვერასდროს მოვწყდებით, თუკი ჩვენ ყველანი ყოველდღე დავიწყებთ მის ქებას, აღიარებას, გაძლიერებას, თუკი არ უკუვაგდებთ მის ყველაზე სუსტ ადგილს - სიცრუეს.

როდესაც საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაშია დამკვიდრებული ძალადობა, იგი გათავხედებულ ადამიანს ემსგავსება, რომელიც გაჰყვირის: „მე ვარ ძალადობა! გააიფანტეთ, გამეცალეთ, გაგსრესთ!“

მაგრამ ძალადობას მალე ეცლება ძალა და საკუთარი თავის რწმენაც ეკარგება, და რომ თავი მყარად იგრძნოს და მედიდურად გამოიყურებოდეს, აუცილებლად სიცრუეს უხმობს საშველად. რადგანაც: ძალადობას ვერაფერი დაფარავს სიცრუის გარდა, სიცრუე კი მხოლოდ

ძალადობას შეიძლება ეყრდნობოდეს. მაგრამ ძალადობა ყველას და ყოველდღიურად კი არ თრგუნავს თავის მძიმე ტორებით, არამედ მათგან მორჩილებას, სიცრუეში ყოველდღიურ ცხოვრებას,ერთგულ ქვეშევრდომობას მოითხოვს.

ჩვენი თავისუფლების ყველაზე მარტივი, ყველაზე ხელმისაწვდომი, მაგრამ ჩვენგანვე უგულებელყოფილი გზა - ესაა სიცრუეში პიროვნული თანამონაწილეობის უარყოფა! (ხაზგასმა ჩემია - ვ. ზ.). დაე, სიცრუემ ყოველივე გადაფაროს, ყველაფერი შთანთქას, მაგრამ ჩვენ ყველაზე მცირე რამ უნდა გავაკეთოთ შეუპოვრად - სიცრუემ ჩვენს გარეშე იბოგინოს!

სწორედ ამ გზით შეიძლება, თითქოსდა ჩაკეტილი წრის გარღვევა, ჩვენი უმოქმედობის გამართლებისათვის რომ წარმოგვისახავს. ასეთი მოქმედება ჩვენთვის ყველაზე ადვილია, სიცრუისათვის კი - ყველაზე დამანგრეველი. ვინაიდან როდესაც ადამიანები გაემიჯნებიან სიცრუეს, იგი არსებობას შეწყვეტს. სიცრუე გადამდებ სენს წააგავს - მხოლოდ ადამიანთა შორის ვრცელდება.

არავის მოვუწოდებთ, რომ მოედანზე გამოვიდეთ და ხმამაღლა ვილაპარაკოთ ის, რასაც ვფიქრობთ, ეს არაა აუცილებელი, ეს საშიშია. მაგრამ იმას მაინც ნუ ვილაპარაკებთ, რასაც არ ვფიქრობთ!

ჩვენი გზა სხვაა - ყველაზე ადვილი და ხელმისაწვდომი ჩვენი ორგანული სიმხდალის გადასალახავად, იმაზე ადვილი, ვიდრე განდის სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზაა. ჩვენი გზაა: გადავდგათ მცირე ნაბიჯი. იმას მაინც ნუ ვიტყვით, რასაც არ ვფიქრობთ!

სწორედ ეს არის ყველაზე იოლი და ხელმისაწვდომი გზა, რომელიც ჩვენში ორგანულად შეზრდილ სიმხდალეს შეეფერება. ეს გაცილებით ადვილად გასაგებია, ვიდრე (საშინლად გამოსათქმელი) განდისეული მოქალაქეობრივი დაუმარჩილებლობა.

ჩვენი გზა: სიცრუეს შეგნებულად არაფერში დავუჭიროთ მხარი! კარგად გავიაზროთ, სად გადის სიცრუის ზღვარი (თითოეული ჩვენთაგანისთვის იგი სხვადასხვაგვარად მოსჩანს), - უარი ვთქვათ ამ განგრენულ ზღვარზე!

ნუღარ ვცემთ თაყვანს მკვდარი იდეოლოგიის ძვლებსა და ჩლიქებს, ნუღარ დავკემსავთ დამპალ ძონძებს, და ჩვენ განცვიფრებულნი დავრჩებით, რა სწრაფად გახდება უმწეო სიცრუე, რა სწრაფად დაუძლურდება. და ის, რაც შიშველი უნდა იყოს - გახდება შიშველი.

და, აი, დადგა არჩევანის დრო. ყველამ საკუთარი გაუბედაობის მიხედვით უნდა აირჩიოს: რჩება თუ არა სიცრუის შეგნებულ მსახურად (ცხადია, არა იმიტომ, რომ სიცრუისადმია მიდრეკილი, არამედ იმიტომ, რომ თუნდაც ოჯახის გამოკვების მიზნით აღზარდოს შვილები სიცრუეში), თუ მოვიდა დრო, რომ სიმართლისკენ გადადგას ნაბიჯი და თავისი შვილებისა და თანამედროვეთა პატივისცემის ღირსი გახდეს.

ამიტომ მან დღეიდან:

- აღარ დაწეროს, ხელი აღარ მოაწეროს, აღარ დაბეჭდოს არანაირი გზით, მისი აზრით, არც ერთი ფრაზა, რაც სიმართლის გამამრუდებელი იქნება;

- ასეთი ფრაზები არა თქვას არც კერძო საუბარში და არც საჯაროდ, გინდ საკუთარი მოსაზრებით, გინდ მასწავლებლის, აღმზრდელის, აგიტატორის კარნახით, გინდ თეატრალურ როლის შესრულებისას;

- ფერწერაში, ქანდაკებაში, ფოტოგრაფიულად ან ტექნიკურად ასახვისას, რეპორტაჟისას, მუსიკალური თანხლებისას, არ დაუშვებს არავითარ სიცრუეს, ოდნავადაც არ დაამახინჯებს ჭეშმარიტებას;

- გინდ წერილობითი სახით, გინდ ზეპირად არ მოახდენს „სახელმძღვანელო“ აზრის ციტირებას ვინმეს საამებლად, თავის დაზღვევის, ან წარმატების მიღწევის მიზნით, თუკი ასეთ აზრს მთლიანად არ იზიარებს, ან უადგილოდ მიიჩნევს;

- საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ, სხვისი დაძალებით, არ დაესწრება დემონსტრაციას თუ მიტინგს. ხელში არ აიღებს ტრანსპარანტს, ან ლოზუნგს, რომელსაც მთელი შეგნებით არ იზიარებს;

- ხელის აწევით ხმას არ მისცემს ისეთ წინადადებას, რომელსაც გულწრფელად არ თანაუგრძნობს; არც ფარულად, არც აშკარად ხმას არ მისცემს პიროვნებას, რომელსაც საეჭვოდ, ან უღირსად მიიჩნევს;

- თავს აარიდებს შეკრებას, რომელზედაც მოსალოდნელია საკითხის იძულებითი, არასწორი განხილვა;

- დაუყოვნებლივ დატოვებს კრებას, სხდომას, ლექციას, სპექტაკლს, კინოსეანსს, თუკი იქ ორატორისაგან გაიგონებს სიცრუეს, ადეოლოგიურ მონაჭორს, ან უსირცხვილო პროპაგანდას;

- არ შეიძენს და არ გამოიწერს იმ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც მახინჯდება ინფორმაცია და ადგილი აქვს ფაქტების მიჩქმალვას.

ცხადია, ჩვენთვის ამით არ ამოიწურება ყველა ის შესაძლო და აუცილებელი შემთხვევა, სადაც საჭიროა სიცრუისაგან გამიჯვნა. მაგრამ ის, ვინც დაიწყებს განწმენდას - განწმენდილი მზერით სწორად მოიქცევა სხვა შემთხვევებშიც.

დიახ, თავიდან ყველას ერთნაირი დამოკიდებულება არ ექნება. ზოგს დროებით სამსახურს დაატოვებინებენ. ახალგაზრდებს, რომლებიც სიმართლეში სურთ იცხოვრონ, თავიდან ძალიან გაურთულდებათ ცხოვრება: სასკოლო გაკვეთილები ხომ გაჯერებულია სიცრუით და მათ უნდა განარჩიონ სიმართლე. ხოლო მათ, ვისაც სურთ იყვნენ პატიოსნები, არ დარჩებათ გამოსავალი: არც ერთს დღეს ვერც ერთ ჩვენთაგანს, თვით ისეთ უსაფრთხო საქმეშიც, როგორიცაა ტექნიკური მეცნიერებანი, ვერავინ გვაიძულებს, ვიაროთ სიმართლისკენ თუ სიცრუისკენ, სულიერი თავისუფლებისკენ თუ სულიერი მონობისკენ. ხოლო მას, ვისაც არ ეყოფა გამბედაობა საკუთარი ზნეობრივი უმწიკვლობის დასაცავად, - დაე, თავისი „მოწინავე“ აზრებით ნუღა იამაყებს, ნუ იყოყოჩებს აკადემიკოსობით, სახალხო არტისტობით, დამსახურებული მოღვაწეობით, გენერლობით, - ის უნდა გამოუტყდეს საკუთარ თავს, - მე მხდალი ვარ, ჩემთვის მთავარია ვიყო მაძღარი და არ მციოდეს.

წინააღმდეგობის გაწევის თვით ეს ყველაზე ზომიერი გზაც კი, ჩვენთვის, უმოქმედობას მიჩვეულთათვის, მაინც არ იქნება ადვილი. იგი ვერ გაუტოლდება პროტესტის ისეთ ფორმებს, როგორიცაა თვითდაწვა, შიმშილობა. შენს სხეულს ცეცხლის ალი არ დასწვავს, მხურვალებისაგან არც თვალები დაგევსება, შესაძლებლობა გექნება, შავი პურითა და სასმელი წყლით უზრუნველყო ოჯახი.

ჩვენმა ერთგულმა, მაგრამ ჩვენგან მუხანათურად მოტყუებულმა, ევროპის დიდმა ხალხმა - ჩეხოსლოვაკელებმა - არ დაგვიმტკიცეს, რომ დაუცველ მკერდსაც ვერას დააკლებს ტანკები, თუკი ამ მკერდქვეშ ღირსეული ადამიანის გული ძგერს?

ეს გზა არაა ადვილი?

მაგრამ ეს ხომ შესაძლებელთაგან ყველაზე ადვილი გზაა?

არაა ადვილი არჩევანი სხეულისათვის, მაგრამ ერთადერთი არჩევანია სულისათვის. არაა ადვილი გზა, მაგრამ ჩვენს შორის არის ათეულობით ადამიანი, რომლებიც წლების მანძილზე იქცევიან ისე, როგორც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ცხოვრობენ სიმართლით.

მაშ ასე: ჩვენ პირველნი არ ვდგებით ამ გზაზე - ჩვენ ვუერთდებით მათ! რაც უფრო ადვილად და სწრაფად დავადგებით ამ გზას, მით უფრო შეთანხმებულად და მტკიცედ ვივლით. ჩვენ ათასები გავხდებით და ვერაფერს დაგვაკლებენ! გავხდებით ათიათასები და უკვე ჩვენს ქვეყანასაც ველარ ვიცნობთ!

უკეთუ ვიმხდალეთ, წუწუნსაც თავი დავანებოთ: ვითომ ვიღაც ამოსუნთქვის საშუალებას არ

გვაძლევდეს, - არა, ამას ჩვენ თვითონვე ჩავდივართ! კიდევ უფრო მოვიხრებით წელში, დაველოდებით, ხოლო ჩვენი ძმანი ბიოლოგნი ჩვენი აზრების ამოკითხვას დააჩქარებენ და გენებს გადაგვისხვაფერებენ.

თუ ამ მცირეოდენსაც ვერ გავბედავთ, მაშინ მართლაც უსაშველო ყოფილა ჩვენი საქმე და საკუთარ თავზეც უნდა მივიღოთ პუშკინის მიერ ზიზღით ნათქვამი:

**რად უნდა ჯოგს თავისუფლება?**
**ექვნიანი უღელი და მათრახია მისი ხვედრი.**

**1974 წელი, 12 თებერვალი**
რუსულიდან თარგმნა **ვახტანგ ბახტაძემ**

## ნაწყვეტები ალექსანდრე სოლჟენიცინის ნაზრევიდან

*(წიგნიდან: ჟორეს მედვედევი, როი მედმედევი, „სოლჟენიცინი და სახაროვი - ორი წინასწარმეტყველი“. მოსკოვი, 2005, სერია „დიალოგი“):*

●

„1998 წლის გაზაფხულიდან სოლჟენიცინმა განაახლა რუსეთის პროვინციების მონახულება...

...ამ დროისთვის სოლჟენიცინის გამოსვლები უკიდურესად პესიმისტური იყო. „თუ ხვალ რუსეთში პრეზიდენტი შეიცვლება, - ამბობდა მწერალი, - არ შეიცვლება არაფერი, რადგან ჩვენ გვმართავს არა პრეზიდენტი, არამედ ოლიგარქია. ეს ორასი ადამიანი ჩრდილშია, რომელთაგან ზოგიერთებს მილიარდები აქვთ, ზოგიერთებს კი მნიშვნელოვანი თანამდებობანი უჭირავთ, რომლებიც ერთმანეთთან გარიგებაში შედიან და ჩვენ პრეზიდენტად იმის არჩევას გვაიძულებენ, ვინც არ გვინდა. ჩვენ ახლა ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და ფინანსური ოლიგარქიის ხელში ვართ. და სანამ თავს არ დავიხსნით მათი უღლისაგან და ჩვენს ხელში არ ავიღებთ მართვას, არაფერი შეიცვლება. ლოცვა საჭიროა ღმერთის, და არა მიწიერი კერპებისა და კანდიდატების მიმართ... თავი არ უნდა მოვიტყუოთ იმით, რომ რწმენა გაგვაჩნია პოლიტიკური პარტიებისა და ცალკეული კანდიდატების მიმართ“. *(ა. სოლჟენიცინი, „რუსული საკითხი მეოცე საუკუნის დასასრულს“, მ.1999, გვ. 7).* ამ საკითხის შესახებ ასეთი სახის შეხედულება თუ პროგრამა ცოტა ვინმეს თუ აღელვებს და იტაცებს.“

●

„სოლჟენიცინისათვის საერთოდ არავითარი განსხვავება არ არსებობს სოციალიზმის იდეებსა და მათ რეალურ განხორციელებას შორის. მისთვის სოციალიზმი და კომუნიზმი ყველა ფორმასა და გამოვლინებაში არის აბსოლუტური ბოროტება.“

...„კომუნიზმი შეიძლება მხოლოდ ძალის გამოყენებით დაინგრეს, ამიტომ სწორედ ამის დაუყოვნებელი აღსრულებისკენაა მიმართული სოლჟენიცინის მოწოდება, სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა გააჩნიათ რუსეთზე.“

●

„თვით სოლჟენიცინმა არაერთხელ განსაზღვრა თავისი იდეოლოგია, არა როგორც

ნაციონალიზმი, არამედ როგორც ნაციონალური პატრიოტიზმი.“

●

ამ მოძრაობის წინამძღოლნიც - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მსოფლიო პროცესები საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის მოერგოთ და მათ შორის, მეცხრამეტე საუკუნეში განუხორციელებელი ამოცანა - რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ გაუქმებული საქართველოს სამეფო ტახტის აღდგინებისა, მეოცე საუკუნის ეროვნული მოძრაობით განეხორციელებინათ. ამ თვალსაზრისით, ქ-ნმა დ ე ნ ი ზ ა ს უ მ ბ ა ძ ე მ ეროვნული მოძრაობის წამყვანი პოლიტიკური ბლოგის - „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ სტრუქტურაში მოქცეული და საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩენილი, ზვიად გამსახურდიასვე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის: „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ე ფ ო ლ ი გ ი ს “ არსებობა გამოამზეურა, მისი მნიშვნელობა ამოსწია და მისი იდეოლოგიურ-თეორიული მიმართულების დადგინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნია. ყოველივე ამ საკითხების კონტექსტში კი საქართველოს ეროვნული მოძრაობის დამახასიათებელი სტატუსის ახალი ფორმულირება მოგვაწოდა: მეოცე საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობა წარმოსდგაო არა როგორც სარწმუნოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მხოლოდ, არამედ როგორც ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ო ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი მოძრაობაც. უფრო მეტიც: ე. წ. „ვარდების რევოლუციით“ მოყვანილი ხელისუფლების, ანუ, როგორც დღეს ვუწოდებთ, „ნაცების“ დროს ოფიციალურად რეგისტრირებულ ე. წ. „ ქ ა რ თ ვ ე ლ ტ ა მ პ ლ ი ე რ თ ა “, ა ნ უ „ ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ტ ა ძ - ძ რ ე ლ თ ა “ წ ე ს დ ე ბ ა შ ი, რომლითაც ისინი, ე.წ. „ქართველი ტამპლიერები“ თავის მისიად აცხადებენ საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობას, ქ - ნ მ ა დ ე ნ ი ზ ა მ ა მ ო ი კ ი თ ხ ა ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს შ ე დ გ ე ნ ი ლ ი „ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა-
მ ე ფ ო ლ ი გ ი ს“ წ ე ს დ ე ბ ი ს ტ ე ქ ს ტ ი ს გ ა დ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი ვ ა-

რ ი ა ნ ტ ი ც . ალბათ ერთგვარად ნიშანდობლივია ისიც, რომ სრულიად საქართველოს სარწმუნოებრივ--პოლიტიკურ მოძრაობას: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ სახელწოდებით, დღეს, სხვა წამყვან ლიდერებთან ერთად წარმართავს ბატონი მ ა ლ ხ ა ზ მ უ ს ე რ ი ძ ე ც, პოლიტიკური პარტიის: „ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ე ფ ო ლ ი გ ი ს “ ერთ-ერთი პირველი ლიდერის, ბატონი მ ო რ ი ს მ უ ს ე რ ი ძ ი ს ვაჟიშვილი - ბატონი მ ა ლ ხ ა ზ მ უ ს ე რ ი ძ ე .

წინამდებარე წერილის მიზანი არ გახლავთ ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ საზოგადოებრივ სივრცეში წამოყენებული ყველა იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემის თუნდაც ზედაპირული მიმოხილვა. ჩვენი წინამდებარე წერილის მიზანი პირადად ჩემი, როგორც „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ვეტერანი წევრისა, გამოხმაურება გახლავთ ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ ა. წ.-ის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 11-13 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ აშშ-ს პრეზიდენტისადმი - ბატონი ტრამპისადმი სამადლობელ წერილზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ელჩისადმი, ბატონი კ ა ხ ა ი მ ნ ა ძ ი ს ა დ მ ი მ ი მ ა რ თ ვ ა ზ ე . მინდა ამავდროულად ვისარგებლო იმითაც, რომ შესაძლებლობა მაქვს ეროვნულ საკითხებზე ქ-ნ დენიზასთან პირადი საუბრებისა და მის თვალსაზრისებში ჩაღრმავების და განვაცხადო, რომ საქართველო მისთვის არ არის პოლიტიკა. საქართველო მისი შემეცნებითი აზროვნებისა და პირადი ცხოვრების ერთდროული თემაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ელჩისადმი, ბატონი კ ა ხ ა ი მ ნ ა ძ ი ს ა დ მ ი ქალბატონ დენიზა სუმბაძისეული მიმართვის ძირითადი საკითხია 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციისა და მსოფლიოს ახალი წესრიგის პოლიტიკურ იდეოლოგიათა შეჯერება, ამ ურთიერთმიმართების ანალიზი და პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი შეფასება. ქ-ნი დენიზა სუმბაძე საქართველოს ელჩს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშუალოდ ქართველი ხალხის სახელით ავალებს და სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დააყენოს საკითხი ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობისა, დეკლარაციაში ასახული გარანტიების შეუსრულებლობის გამო. სამწუხაროდ ელჩისგან ჯერჯერობით არაფერი ისმის. თუმცა მისი დუმილიც არ არის გასაკვირი, ისევე, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი ა რ ჩ ი ლ თ ა ლ ა კ ვ ა ძ ი ს დუმილი, რომელმაც ვერაფერი უპასუხა ქალბატონ დენიზა სუმბაძის თხოვნას: საქართველოს პარლამენტს განეხილა და შეფასება მიეცა მისი ღია წერილისათვის ამერიკის პრეზიდენტის, მ ი ს ი ა ღ მ ა ტ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ბ ა ტ ო ნ ი დ ო ნ ა ლ დ ტ რ ა მ პ ი ს ა დ მ ი . საკითხი იმდენად გლობალურია, რომ, ბუნებრივია, საქართველოს ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე საკითხს ვერ დაძრავს. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ქალბატონი დ ე ნ ი ზ ა ს უ მ ბ ა ძ ე განმარტავს, ჯ ო რ ჯ ს ო რ ო ს ი ს ა და ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ი ს იდეოლოგიის
გამტარებელია დღესაც. სწორედ ამიტომ მიმართა ამ საკითხზე ქ-ნმა დენიზამ ამერიკის პრეზიდენტს, რომელიც თავისი ახალი მსოფლმხედველობით დაუპირისპირდა ბატონი სოროსის თეორიით დამკვიდრებულ ანტიეროვნულ სახელმწიფო იდეოლოგიას: ერების გარდაქმნისას ღია სამოქალაქო საზოგადოებებად.

საკითხის წინამდებარე დაყენება ქ-ნ დ ე ნ ი ზ ა ს უ მ ბ ა ძ ე ს აშშ-ს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბ ა ტ ო ნ ი დ ო ნ ა ლ დ ტ რ ა მ პ ი ს ახალი მსოფლმხედველობის კონტექსტში აქვს წარმოდგენილი, რასაც იგი სიღრმისეული ანალიტიკით წარმოგვიდგენს წიგნად გამოცემულ თავის ღია წერილში ამერიკის პრეზიდენტისადმი. წიგნი გამოცემულია სათაურით: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ (2017-2018 წ. წ.).

ქართული საზოგადოებრიობა და საერთოდ ჩვენი, ქართველი ხალხი, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მიზანმიმართულად, ნაკლებად არის ინფორმირებული ქ-ნ დენიზა სუმბაძის ნაღვაწით. შეუძლებელია, თვალში მოსახვედრი არ იყოს ფაქტობრივი რეალობა იმისაც, რომ გარკვეული ძალები საკმაოდ ინტენსიურად ზრუნავენ მისი ნაღვაწისა და ნააზრევის მიჩქმალვისა და გაუფასურებისათვისაც კი ქართველი ხალხის ცნობიერებაში ... საბედნიეროდ ქართველი ხალხი მხოლოდ იმ სამსახურების აუდიტორიას არ წარმოადგენს, რომელიც „ინფორმაციას და საგანგებო დეზინფორმაციას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს (როგორც ამას განმარტავს ქ-ნი ელჩი აშშ-ისა კელი დეგნანი.).

ქ-ნ დენიზა სუმბაძის პოლიტიკური დევნის დამადასტურებელსა და ელემენტარულად ცხადმყოფელ მაგალითს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღევანდელი ადმინისტრაციის პოზიციაც, სადაც ავტორმა ვერ მიიღო წიგნად გამოცემული, ამერიკის პრეზიდენტისადმი ღია წერილის პრეზენტაციის უფლებაც კი, რაც აშკარად მეტყველებს აღნიშნული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან გარკვეული პოლიტიკური მიკერძოების გამოვლინებაზე და შემოქმედი მეცნიერისათვის თავისუფალი აზროვნების უფლებისადმი დრომოჭმული აღმკვეთი მეთოდების გამოყენებაზე.

ქართულმა საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სასიქადულოდაც უნდა ითქვას, რომ ქალბატონ დენიზა სუმბაძის მიერ წიგნად გამოცემული ამერიკის პრეზიდენტისადმი ღია წერილი, სათაურით: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ საპრეზენტაციოდ წარდგენილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და წიგნის პრეზენტაცია შესდგა 2019 წლის 13 თებერვალს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ გაფართოვებულ სხდომაზე, რომელსაც ქართული საზოგადოებრიობის ღირსეულ წარმომადგენლობასთან და აღნიშნული „კომისიის“ წევრებთან ერთად, ესწრებოდნენ საქართველოს ცნობილი მეცნიერები: აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, მსოფლიო რანგის ენათმეცნიერი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ბატონი როინ მეტრეველი, აკადემიის „ ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ თავმჯდომარე, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, ცნობილი მწერლები: ბატონი გურამ პეტრიაშვილი - ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ბატონი თემურ ჩალაბაშვილი - ცნობილი პოეტი, ამ დროისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და სხვები... საგანგებოდ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სასიქადულოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქ-ნ დენიზა სუმბაძის საპრეზენტაციო წიგნით: აშშ-ს პრეზიდენტისადმი, ბატონი დონალდ ტრამპისადმი მიწერილი ღია წერილით გამოხატულ პოზიციებს სრულიად გამოკვეთილად მტკიცე და ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლობამ.

როგორც საქართველოს ჰელსინკის კავშირის ვეტერანი წევრი, თავს უფლებას ვაძლევ და ვალდებულადაც ვთვლი თავს, განვაცხადო, რომ ჰელსინკის 1975 წლის საერთაშორისო დეკლარაციით დაწყებული, საქართველოს დისიდენტური მოძრაობით აღმოცენებული ეროვნული მოძრაობისა, თავად ჰელსინკის დეკლარაციის მნიშვნელობისა და მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიური საფუძვლებისა და მათი ურთიერთმიმართების ესოდენ სიღრმისეული ანალიზი, უსათუოდ არის და უნდა შეფასდეს, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნების მონაპოვარი, საჭირო და აუცილებელი კაცობრიობის მომავლისა და პერსპექტივის სწორი განსაზღვრისათვის.

ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ წარმოაჩინა და შეიძლება ითქვას, აღმოაჩინა და მსოფლმხედველობრივად გაშიფრა ქართველი ხალხის გაუბედურების მიზეზი და საფუძველი, როგორც გამომდინარე შედეგი მეოცე საუკუნის ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიის პროცესუალური გამრუდებისა: ეს გახლავთ პროცესი ჰელსინკის დეკლარაციით გარანტირებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობების გაუცნობიერებელი შეცვლისა „ერების“ გარდასახვით „მოქალაქეთა კავშირებად“, ანუ ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო საზოდოებებად“, რაც ვირტუოზული ცბიერებით, სახელმწიფო იდეოლოგიად დანერგა და დაამკვიდრა საქართველოში ედუარდ შევარდნაძემ.

როგორც ქალბატონი დენიზა მოიხსენიბს მას - შევარდნაძეს მისი ოფიციალური რეგალიით: „მსოფლიოს ახალი, ანუ სიონისტური წესრიგის ერთერთმა არქიტექტორმა და ჯორჯ სოროსის სიონისტურ - მასონური ლოჟის - „მაგისტერიუმის“ თანამოაზრემ და „თანალოჟელმა“ მიმდევარმა.

ქ-ნი დენიზა სუმბაძე ქართველი ერის მთავარ სადღეისო ამოცანას ხედავს ქვეყნის განთავისუფლებაში სწორედ ამ მსოფლიოს ახალი წესრიგის სოროსისტულ- შევარდნაძისტული იდეოლოგიისაგან.

ამერიკის პრეზიდენტის, ბატონი ტრამპის პიროვნება და მისი ახალი მსოფლმხედველობა ქ-ნ დენიზა სუმბაძის ინტერპრეტაციით, სასწაულებრივი ძალით დაუპირისპირდა სოროსის უეროვნებო კაცობრიობის იდეას, რითაც მსოფლიოს ახალ წესრიგს გამოაცალა თეორიული საფუძველი მისი იდეოლოგიური მომავლისთვის. ამერიკის პრეზიდენტის, ბატონი ტრამპის სწორედ ეს ახალი აზროვნება მოევლინა ქართულ ცნობიერებას მხარდამჭერ ძალად საკუთარი მშობლიური ქვეყნის დაბრუნებისა და ქართველი ერის გადარჩენის გზად, ხსნად სოროსის სამოქალაქო საზოგადოების დამღუპველი იდეოლოგიისა და მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიიდან გამომდინარე დამღუპველი სახელმწიფო კანონმდებლობისაგან.

ასეთია ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ დახატული ანალიტიკიური სურათი საქართველოს გადარჩენისა მსოფლიო სახელმწიფოთა მხარდაჭერითა და სამართლიანობის მოპოვების მშვიდობიანი გზით, კაცობრიობისა და ჩვენი ერის მართალი გონებითა და სინდისის გზით!

ქალბატონი დენიზა სუმბაძე ჩემი მეგობარი გახლავთ და ჩემი ინიციატივით იყო წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ქართველ ხალხს რომ ამაში გარკვევა და ამ ძალის მოკრება შესძლებოდა, დღეს ჩვენ სრულიად სხვა საქართველო გვექნებოდა!

ბატონი ლაზარე ზაქარიაძე, რომელიც გამოეხმაურა ჩვენს წარდგინებას ტელევიზია ობიექტივის ეთერში, ჟურნალისტ ნინო რატიშვილთან საუბრის პროცესში, მართალი იყო, როდესაც განაცხადა, რომ საქართველოს საზოგადოება არ არისო მზად ქ-ნ დენიზა სუმბაძის შეფასებისათვის, მაგრამ მოუმზადებლობის აღნიშვნა არ ნიშნავს მხოლოდ მოუმზადებლობას,

მოუმზადებლობა ნიშნავს მომზადების საჭიროებასაც! და არა მხოლოდ! საზოგადოების მოუმზადებლობა პიროვნების ნააზრევთა ათვისების საქმეში შესაძლოა ნიშნავდეს იმასაც, რომ პიროვნებამ ჭარბად გადაასწრო საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების დონეს, ხოლო საზოგადოებამ ვერ მოასწრო მისი ნააზრევის ათვისება. ყველაფერ ამას სერიოზული მამულიშვილური პატრონობა ესაჭიროება. 2018 წელს, თავისი პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი პლატფორმა ამომრჩეველი საზოგადოებისათვის ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ თავისი არაორდინალური და ზეპოლიტიკური გულწრფელობით ასე წარმოადგინა თავისი კანდიდატურის გასაცნობ ბიულეტენში:

„ჩემი ამოცანაა შევცვალო სახელმწიფოებრივი აზროვნება და სახელმწიფოებრივი იდეოლოგია“. ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისი მსოფლმხედველობით იგი მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონი დონალდ ტრამპის ახალ მსოფლმხედველობას, მის საკაცობრიო პრინციპებს.

მე ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ ქრისტესშემდგომი მეორე ათასწლეულის დასასრულს, 1999 წელს, თავისი თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის: „ერის უფლებისა და ღირსების“ დაფუძნებით, არა მხოლოდ აზრობრივად გადაუკეტა გზა სოროსის „სამოქალაქო საზოგადოებასა“ და შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირს“ და არა მხოლოდ, გონითად შეაჩერა მსოფლიოს სიონისტური მოძრაობით დაგეგმილი მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგია, არამედ გონითად შეაჩერა შურისძიება და შეთქმულებაც ქრისტიანული მსოფლიოს მიმართ და მწვანე შუქი აუნთო თვით ქართველი ერის სულიერი მისიის აღსრულებას.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ქ-ნ დენიზა სუმბაძის წიგნი - „ღია წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი", სათაურით: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“, ეს გახლავთ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონი ტრამპის ახალი მსოფლმხედველობის მხარდაჭერით წარმოდგენილი, ე. წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ ერთპიროვნული, სრულიად უპრეცენდენტო, მშვიდობიანი და გონითი, ლოგიკური თანმიმდევრობით დასაბუთებული ინტელექტუალური გადატრიალება, ჯორჯ სოროსისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ საქართველოში დანერგილი სახელმწიფო იდოლოგიისა, რომლის საფუძველზეც სამი ათეული წელია, თავად საქართველოს ე. წ. „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ ანგრევს ქართველი ერის არსებობისა და თვითმყოფადი განვითარების უფლებას საკუთარივე სახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და პოლიტიკით. ამ ფუნდამენტური ბრალდების დადასტურებას ქ-ნი დენიზა სუმბაძე, ამჯერად, ჩვენი სახელმწიფოს წარმმართველი პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან ერთდროულად ითხოვს. ეყოფა საქართველოს ხელისუფლებასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დიდსულოვნება, თვალი გაუსწოროს ქ-ნ დენიზა სუმბაძის სიმართლეს, რომელიც ემსახურება ქართველი ერისა და საერთოდ მთელი კაცობრიული სიცოცხლის ღირსეულ მომავალს?! ჩემს გამოხმაურებებს დავასრულებ და შევავსებ ქალბატონ დენიზა სუმბაძისადმი ისევ გაზეთ „ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნებული არაორდინალური გამოხმაურების სტრიქონებით, ლექსიდან: „ქალბატონ დენიზა სუმბაძის ლექცია ბათუმში“, რომელიც ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და ღირსეულ მწერალს, უამრავი მაღალი რანგის პრემიის ლაურეატს, ბ ა ტ ო ნ შ ო თ ა ზ ო ი ძ ე ს ეკუთვნის: „...ღვთივკურთხეული დოქტორი-თეოლოგი, თვალსაჩინო პროფესორი, რომლის ლექცია და ლექციების ბლოგი, აჭარბებს ძვირად ღირებულ აქციებს. ... პროფესორი იკვლევს ბიბლიას და პერგამოსს, ფეხშიშველი დადის ანტიკურ წვიმაში, თავდახრილი ვდგავარ მისი ნიჭის გამო, როგორც მოწაფე მოძღვრის წინაშე.“

ნიგორზღვა, 2020 წელი, აგვისტო



საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ვეტერან-გვარდიელი

ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირის" „ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის" წევრი

ბატონი **რატი სულაძე**

# დედამიწის წონასწორობის - მთვარემზე პრეცესიის სპირალის კალკულაცია



Earth And Sun in
The Celestial Sphere







დედამიწის ღერძი, ჩრდილოეთ და სამხრეთ დაბოლოებებით დაახლოებით ასეთ სპირალს შემოწერს. ამ ტიპის სპირალის რადიუსი არ იცვლება, ხოლო დედამიწის წონასწორობის – მთვარემზე პრეცესიის სპირალის რადიუსი კი მარადიულად და სინქრონულად ცვალებადია, რადგან დედამიწის ღერძის გადახრის კუთხე, ასევე მარადიულად და სინქრონულად ცვალებადია. დედამიწის წონასწორობის სპირალის რადიუსი, დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მაქსიმუმის კუთხიდან, ძალიან დიდი სხვაობით არა, მაგრამ კლებადია კუთხის მინიმუმამდე და შემდეგ, მინიმუმიდან ზრდადია მაქსიმუმამდე და ეს ცვლილება მარადიულად გრძელდება!!! აქედან გამომდინარე, დედამიწის წონასწორობის სპირალის სექტორის რკალების სიგრძე, თუმცა დიდი სხვაობით არა, სპირალის რადიუსის საპირისპიროდ, მაქსიმუმიდან მინიმუმისაკენ ზრდადია და კლებადია მინიმუმიდან მაქსიმუმამდე!!! ეს პროცესიც შესაბამისად ასევე უსასრულოდ გრძელდება. რ.ს.

აქ, დედამიწის წონასწორობის – მთვარემზე პრეცესიის სპირალის ტიპის აღწერაა მოცემული, რათა გონებანათელი მკითხველის თვალისათვის ადვილად აღსაქმელი გახდეს, თუ რა ასტროფიზიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, თუ როგორ იხატება და რა ფორმისაა სპირალი. ის, სურათზე მოცემული სპირალივითაა, ოღონდ დედამიწის ღერძის

გადახრის კუთხის მაქსიმუმიდან მინიმუმამდე იკუმშება. თუმცა წმიდა და უკვდავი ასომთავრულის მონაცემების მიხედვით, მოცემულ პროცესში, სპირალის სექტორის 2048 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობის რკალების - ეპოქების გასავლელი მანძილი დედამიწის ღერძის მიერ, სპირალის რადიუსის საპირისპიროდ იზრდება, დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მინიმუმამდე და პირიქით. ასომთავრულის მიხედვით, დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მარადიული ცვლილებისას შემოწერილ და შემოსაწერ სპირალს ორი თანაბარი, 20 480 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობის ციკლი გააჩნია, რაც ერთ მთლიან 40 960 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობის ციკლის წარმოადგენს!!! წინა სურათებზე დედამიწის თავზე მოცემული წრე, პლანეტის წონასწორობის სპირალს აღწერს. ამ ტიპის სპირალს არ ასწავლიან პლანეტის უმაღლეს სასწავლებლებშიც კი, რადგან დასახაზად ძალიან რთულია. ხოლო მომდევნო სურათზე კი, სულ სხვა ტიპის, პლანეტის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის ცნობილი, მარადიულად ზრდადი - ოქროს სპირალია.












$\alpha = 90° - \beta$

$\sin(\alpha) = \frac{a}{c} = \cos(\beta)$

$\cos(\alpha) = \frac{b}{c} = \sin(\beta)$

$\tan(\alpha) = \frac{a}{b} = \frac{1}{\tan(\beta)}$

$\cot(\alpha) = \frac{b}{a} = \frac{1}{\cot(\beta)}$

**Relations**

$\sin(\varphi)^2 + \cos(\varphi)^2 = 1$

$\tan(\varphi) = \frac{\sin(\varphi)}{\cos(\varphi)}$

$1 + \tan(\varphi)^2 = \frac{1}{\cos(\varphi)^2}$

$-\sin(\varphi) = \sin(-\varphi)$

$\cos(-\varphi) = \cos(\varphi)$

დედამიწის პოლუსებს შორის რადიუსი 6356,752 კმ
დედამიწის ეკვატორული რადიუსი 6378,137 კმ
პოლუსებს შორის დიამეტრი კი იქნება 2 * 6356,752 კმ =12713,504 კმ
ეკვატორის დიამეტრი კი 2 * 6378,137 კმ = 12756,274 კმ

სურათზე მოცემული სამკუთხედის მიხედვით, დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის განხილვისას, მართკუთხედის c გვერდს, თუ დედამიწის პოლუსებს შორის მანძილად – წრეწირის (დედამიწის) დიამეტრად ჩავთვლით, რაც 12713,504 კმ–ია, მაშინ დედამიწის წონასწორობის სპირალის რადიუსი r , მოცემული მართკუთხა სამკუთხედის b გვერდი იქნება. ამ დაშვებების საფუძველზე, სამკუთხედის a გვერდი, დედამიწის ღერძის მიმართ წარმოსახვითი მართობი – პერპენდიკულარია, რასთან მიმართებაშიც ხდება დედამიწის ღერძის გადახრის კუთხეების მარადიული ცვლილებების გაზომვა.

უკვდავი ასომთავრულის მიხედვით დედამიწის ღერძის გადახრის კუთხეების, მაქსიმუმი და მინიმუმი 24,6 და 22,4 გრადუსია. შუა კუთხე კი 23,5 გრადუსია.

ტრიგონომეტრიული ცხრილის მიხედვით :
sin β (22,4 გრადუსი) = 0,38265
sin β (23,5 გრადუსი) = 0,3987
sin β (24,6 გრადუსი) = 0,41465

C = პოლუსებს შორის მანძილს – წრეწირის დიამეტრს, 12713,504 კმ–ს.

დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მაქსიმუმში ანუ დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის 24,6 გრადუსზე ყოფნისას, სპირალის რადიუსის სიგრძე r იქნებოდა, r max = b = sin β (24,6 გრადუსი) * c = 0,41465 * 12713,504 კმ = 5 269,30243536 კმ

დედამიწის წონასწორობის სპირალის რადიუსი მაქსიმუმში:
r max = 5 269,302 კმ

სექტორის რკალის მინიმალური სიგრძე სპირალის მაქსიმუმთან 2048 წელიწადი ხანგრძლივობის ეპოქისას = (2 * π * r max * ϴmax ) / 360 = 2 462,0376 კმ.

დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მინიმუმში – 22,4 გრადუსზე, sin β (22,4 გრადუსი) = b / c, საიდანაც დედამიწის წონასწორობის სპირალის რადიუსის სიგრძე r min, დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის 22,4 გრადუსიან მინიმუმში ყოფნისას, იქნება r min = b = sin β (22,4 გრადუსი) * c = 0,38265 * 12713,504 კმ = 4 864,8223056 კმ.

დედამიწის წონასწორობის სპირალის რადიუსის სიგრძე მინიმუმში:
r min= 4 864,822 კმ

სექტორის რკალის მაქსიმალური სიგრძე სპირალის მინიმუმის 2048 წელიწადი ხანგრძლივობის ეპოქაში = (2 * π * r min * ϴmin) /360 = 2 576,146 კმ.

მესიის ნაწინასწარმეტყველები შობისას, სპირალის ციკლის შუაში, დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის 23,5 გრადუსზე ყოფნისას, სპირალის რადიუსის სიგრძე r იქნებოდა, r middle = b = sin β (23,5 გრადუსი) * c = 0,3987 * 12713,504 კმ = 5 068,8740448 კმ

დედამიწის წონასწორობის სპირალის რადიუსის სიგრძე სპირალის შუაში:
r middle = 5 068,874 კმ

დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მაქსიმუმთან მყოფი სექტორის, ანუ დედამიწის წონასწორობის სპირალის სექტორის საშუალო კუთხის გასაგებად, 2048 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობის სპირალის სექტორის რკალი – ეპოქა ანუ 2048 წელიწადი უნდა გავყოთ 76,5 დედამიწის წელიწადი / 1 გრადუსი.

დედამიწის ღერძის მიერ გადახრის კუთხის მაქსიმუმისას, max 77 წელიწადი / 1 გრადუსიდან 76 წელიწადი / 1 გრადუსამდე სექტორის რკალზე = დაახლ. (77+76)/2 = 76,5 დედამიწის წელიწადია საჭირო, დედამიწის ღერძის მიერ სპირალის რკალზე 1 გრადუსის შემოსაწერად. 76,5 დედამიწის წელიწადი, დედამიწის ღერძის მიერ წონასწორობის სპირალის 2048 წელიწადი ხანგრძლივობის სექტორის რკალზე 1 გრადუსის შემოსაწერი საშუალო ხანგრძლივობაა (ონი–დონი: 16*128 = 2048 დედამიწის წელიწადი, ასომთავრულში „დამარხული“ მზის კალენდრით). ე.ი. 2048 წელიწადი / 76,5 წელიწადი/1 გრადუსი = 26,77124183006536 გრადუსი. დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მაქსიმუმთან ეპოქის დროს, პირველ 2048 წელიწადში, დედამიწის წონასწორობის სპირალის პირველ სექტორზე,
დაახლ. ϴ max = 26,771 გრადუსი იწერება.
r max = 5 269,302 კმ
2 * π = 2 * 3,14159265…= 6,283185307179586

სექტორის რკალის სიგრძე სპირალის მაქსიმუმთან 2048 წელიწადიანი ეპოქისას = (2 * π * r max * ϴmax ) / 360 = 2 462,0376 კმ.

2048 დედამიწის წელიწადი / (68 წელიწადი/ 1 გრადუსი + მინიმუმი 67 წელიწადი/1 გრადუსი) / 2 = 30,34074074074074 გრადუსს. ეს სპირალის სექტორის კუთხის გრადუსია 2048 წელიწადიანი სექტორის – ეპოქის რკალისას, დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მინიმუმის ბოლო 2048 წელიწადიან სექტორში…
ϴmin = 30,34074074074074 გრადუსი.
r min= 4 864,822 კმ
2 * π = 2 * 3,14159265…= 6,283185307179586

სექტორის რკალის სიგრძე სპირალის მინიმუმის 2048 წელიწადიან ეპოქაში =
(2 * π * r min * ϴmin) /360 = 2 576,146 კმ.

დედამიწის ღერძი, წონასწორობის სპირალის მთლიანი ციკლის დროს, (ასომთავრულით 40 960 წელიწადი) 20 სექტორის რკალებს ხატავს. სპირალის შემადგენელი 20–ვე სექტორის რკალის საშუალო სიგრძეა:

(2 462,0376 კმ. max + 2 576,146 კმ. min) / 2 = 2 519,091კმ.
სპირალზე 20–ვე სექტორის რკალების – ეპოქების საშუალო სიგრძე დაახლოებით 2500 კმ–ია.

დედამიწის წონასწორობის სპირალის საშუალო რადიუსი –
r საშ. = (r min 4 864,822 კმ + r max 5 269,302 კმ) / 2 = 5067,062 კმ.
2 * π = 2 * 3,14159265…= 6,283185307179586

ϴ საშ. /360 = სექტორის რკალის საშუალო სიგრძე 2048 დედამიწის წელიწადში / 2 π * r საშ.
ϴ საშ. = სექტორის რკალის საშუალო სიგრძე 2048 დედამიწის წელიწადში * 360 / 2 π * r საშ.
ϴ საშ. = 2 519,091კმ. * 360 / (2* 3,14159265…= 6,283185307179586) * 5067 კმ. = 906 872,76 / 31 836,87306 = 28,48498212405788 გრადუსი.

28,48498212405788 გრადუსი - დედამიწის წონასწორობის სპირალის 20-ვე სექტორის, ანუ დედამიწის 20-ვე 2048 წელიწადის ხანგრძლივობის სექტორის საშუალო გრადუსია ანუ დაახლ. ათი 4096 წლიანი სექტორის 2 * 28,48498212405788 = 56,9699642481 1576 საშ. გრადუსია ≈ **უდრის 60 გრადუსს.**

ესეიგი, დედამიწის ღერძის მიერ შემოწერილი, დედამიწის წონასწორობის სპირალის სექტორის – 2048 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობის 20-ვე რკალის – ეპოქის სიგრძე, ერთი სრული ციკლის დროს (ასომთავრულის მიხედვით 40 960 დედამიწის წელიწადი), დაახლ. 2500 კმ. – ია!!! ხოლო, დედამიწის წონასწორობის სპირალის ერთი სრული ციკლის დროს, მთლიანი ციკლის სპირალს r საშ. ≈ 5000 კმ. სიგრძის, საშუალო რადიუსი შემოწერს!!!

აქედან გამომდინარე, სპირალის 2 ეპოქას თუ გავაერთიანებთ, (2048 წ. + 2048 წ. = 4096 წ.), მაშინ სპირალის რადიუსი და მის მიერ სექტორზე შემოწერილი რკალი დაახლ. 5000 კმ – ია.

ამ დროს დედამიწის წონასწორობის სპირალზე 4096 წლის ხანგრძლივობის რკალი დაახლ. სპირალის რადიუსის ტოლია. 4096 წლის ხანგრძლივობის სექტორი, ერთი გვერდით ოდნავ შემორკალული ტოლგვერდა სამკუთხედია დაახლ. 5000 კმ. სიგრძის გვერდებით და მისი თითოეული კუთხე დაახლ. 60 გრადუსი იქნება. მაშასადამე, დედამიწის წონასწორობის - მთვარემზე პრეცესიის 40 960 წლის ხანგრძლივობის სპირალზე, ვღებულობთ ათ 4096 წელიწადის სიგრძის ეპოქებს, 10 - დაახლეობით ტოლგვერდა სამკუთხედს.

ძველი ეგვიპტური იეროგლიფური სიმბოლოები:












ძვ.წ. 1600 წლის ძველეგვიპტურ პაპირუსზე გამოსახული 10-იანი

ქართული ასომთავრული ანბანის 25-ე ასონიშანი ღან-ია .

დედამიწის წონასწორობის სპირალზეც ათი 4096 სექტორი – ეპოქაა. გრაფიკულად ეს ასონიშანი ორი სარკისებურად გაერთიანებული ასომთავრულის ასონიშანი ინ-ებია 

და ორი სარკისებურად გაერთიანებული ნარმერის მესამე იეროგლიფი . რ.ს.

პლანეტის ჯერჯერობით უძველესი, ეგვიპტის ძვ.წ. 3200 წლის ნარმერის იეროგლიფური დამწერლობის და 1 საუკუნის 25 დეკემბერს მზის ამოსვლისას მესიის შობის შემდეგ, კიდევ 7 000 წელიწადი ისევ იქნება ორიონის სარტყელის გარე ვარსკვლავების ფორმა  გრაფიკის, ესეიგი 10 000 დედამიწის წელიწადი. რ.ს.















ასომთავრულში მე - 10 - ე ასონიშანი ინ-ია 

. ასონიშანი ძვ.წ. 3200 წლის ეგვიპტის პირველ იეროგლიფურ დამწერლობაშია ასახული და მესამე ადგილზეა ჩასმული .

ეს ორიონის სარტყელის მიმდებარე ვარსკვლავების გრაფიკაა მესიის შობისას. (იხ. ძვ.წ. 3200 წლის დროინდელი, ჯერჯერობით პლანეტაზე პირველი, ნარმერის ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა.) რ.ს.

აი ასეთი ერთ-ერთი საოცრებაა „დამარხული“ ასომთავრულში:

ასომთავრულის მეათე ასონიშანი ინ-ი 

შედგება = ბგერა ი-სა 

+ ბგერა ნ-საგან 

. მათი რიგითი მნიშვნელობები = ი 10 + ნ 14 = 24 ანუ 24 საათი. რიცხვითი მნიშვნელობებით კი ი 10 + ნ 50 = 60. 60 წამი წუთში და 60 წუთი საათში!!! (მისი რიგითი მნიშვნელობების ჯამი უდრის 24-ს. ესეიგი წელიწადში 365 ან 366 დღეღამის ანგარიშისას, დღეღამის საზომად 24 საათი უნდა ჩავთვალოთ!!!.

ასომთავრულის ასონიშანი ინ-ი 

და ნარმერის მესამე იეროგლიფი  აჩვენებენ დროს! პლანეტაზე მესიის შობის დროს, ორიონის სარტყელში გარე ვარსკვლავები ნარმერის ძვ.წ. 3200 წლის ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის მესამე იეროგლიფის ფორმას იღებს და 30 – 50 000 წლის შემდეგ ასომთავრული ანბანის მეათე ასონიშნის ინ-ის ფორმას მიიღებს!!! რ.ს.






ასევე ასონიშანი ინ-ი სამყაროს და სახარებისეულ ციფრ 144 - ლაზარესაც მიგვანიშნებს. ინ-ი 

შედგება = ბგერა ი-სა 

+ ბგერა ნ-საგან 

და მათი ჯამი, რიგითი 24 და რიცხვითი 60-ია. 24 * 60 = 144(0). ხოლო დედამიწის ძალიან დატვირთულ სიმბოლო, ასომთავრულის 24-ე ასონიშან ქან-ში 

  უძლერესი საიდუმლოებებია „დამარხული“!!! მისი რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობების ნამრავლი 24*6(00)=144(00) ლაზარეზე მიგვითითებს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება რომ ასომთავრული მიწიერი ლაზარეა!!!

განვიხილოთ ანბანის მეექვსე ასონიშანი ვინ-ი 

!!!







... როგორც დადგინდა, ასონიშანი ინ-ის რიგითი მნიშვნელობის ჯამია 24 (საათების რაოდენობა დედამიწის ერთ დღეღამეში) და რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი კი 60-ია (60 წუთი და წამი). ასონიშანი ვინ-ის 

რიგითსა და რიცხვით მნიშვნელობა 6-ს თუ გავამრავლებთ ამ რიცხვებზე, 144 რიგითსა და 360 რიცხვით მნიშვნელობებს მივიღებთ!!! ეს კი ბიბლიური და სახარებისეული რიცხვი 144-ია (ასევე სიტყვა ლაზარეს რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი) და ასონიშანი ლას-ის 

რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობების ნამრავლი 360, რომელი რიცხვიც არის სხვაობა დედამიწის მთვარემზე პრეცესიის სპირალის ეპოქებს შორის. რიცხვი 360 ასევე წრის გრადუსების რიცხვია, რომელიც შუმერთა ცივილიზაციამაც იცოდა.

6 * 24




= 144 და 360!!!

6 * 60




სიტყვა ლაზარეს რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი (30+1+7+1+100+5 = 144)სახარებისეული 144-ია., ხოლო რიგითი მნიშვნელობა (12+1+7+1+19+5 = 45). 45 გამრავლებული 8-ზე 360-ს იძლევა!!!

ასე, რომ ასომთავრული ანბანის ერთ ასონიშან ვინ-ში  ორივე წმიდათაწმიდა რიცხვია მოცემული. ასომთავრული ანბანის მე-6-ე ასონიშანი ვინ-ით, მტკიცდება ლაზარესა (144) და ასომთავრული ანბანის მე-12-ე ასონიშანი ლას-ის  12 * 30 = 360 წმიდათაწმიდა კავშირი!!!

მზე დონ- ისა  და მთვარე ან-ის  კალენდრების „ძველეგვიპტურად ღმერთი მზე“ რაე-ს  19 წელიწადიანი ციკლი, 2*(12*12 = 144)*19 = 5472 წელიწადში და დამატებით 25 დღეღამე * (2*12 საათი=24 საათი) = 600 საათი, ასონიშანი ლას-ის  რიგითი მნიშვნელობით 12 და ლაზარე - 144- ით სწორდება.

მზისა და მთვარის კალენდრების გასწორების საიდუმლოება ასომთავრულის ასონიშან ნარ-შია  „დამარხული“ და ისინი მხოლოდ ყოველ 5472 წელიწადში ერთხელ სწორდებიან, თან მხოლოდ მაშინ, თუ ეს დრო მხოლოდდამხოლოდ მზის 128 დედამიწის წელიწადი ხნოვანების კალენდრითაა დათვლილი. ანუ, ადამიანებისათვის ცნობილი, დედამიწის კალენდრის ათვლის დროიდან (ძვ.წ. 5604 წელიწადს + უბრალო ადამიანის თვალისათვის ასომთავრულის ანბანის ასონიშანში დამალული 28 წელიწადი, პლანეტაზე მესიის შობის უზუსტეს დრომდე მზის კალენდრის 44 ციკლის გასასწორებლად = 5632 წელიწადი) ისინი მხოლოდ ძვ.წ.160 წელს გასწორდებოდნენ წამების სხვაობით!!!

2*144*19 წელიწადი = 5472 წელიწადში 67 680 მთვარის თვეს, 24 დღეღამე +24 საათი (1 დღეღამე) = 25 დღეღამე ანუ 25*(2*12 საათი) = 600 საათი დააკლდება. (408 წამი = 6,8 წუთი ზედმეტი)

სახარებისეული ლაზარე - 144, ლას-ი 

ასწორებს ნარ-ის 

 ცდომილებას!!!

ასონიშანი ღან-ის 

რიგითი მნიშვნელობა 25 გამრავლებული ასონიშან ქან-ის 

   რიგით მნიშვნელობაზე 24 = ქან-ის რიცხვით მნიშვნელობა 600 საათს!!! (ცდომილება 6,8 წუთით ზედმეტი. ასონიშანი ღან-ის რიცხვითი მნიშვნელობა 700 – 7 წუთი!!!). (იხ. ამ ასონიშნების გადაბმა დავათის სტელაზე )

ეს უფლის ანგელოზ თოთის ლოგიკაა ასომთავრულის ასონიშნებში და რიცხვებში გადმოცემული, რომელიც „დამარხული“ იყო!!!

ეს თოთის, ოსირისისა და ისიდას ინტელექტია. რატი სულაძე

ასონიშანი ჭარ-ის 

რიცხვითი მნიშვნელობა 5000 - ია და ასევე დედამიწის ღერძის მიერ, 40 960 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობის სპირალის ერთი მთლიანი ციკლის მოხატვისას - დედამიწის წონასწორობის სპირალის საშუალო რადიუსი, r საშ. რადიუსი დაახლ 5000 კმ-ია. მთლიანობაში, მთვარე ან-ისა 

და მზე რაე-ს 

მიერ გაწონასწორებული დედამიწა, დაახლ. 5000 კილომეტრი სიგრძის რადიუსის, დედამიწის გადახრის კუთხის ცვლილებისას, მთლიანი ციკლის მთვარემზე პრეცესიის სპირალს შემოწერს. ასომთავრული ანბანის ასონიშანი 

ჭარ-ი ხომ მთვარე ან-ისა და მზე რაე-საგან შედგება.

ასონიშანი ჯარ-ის 

რიცხვითი მნიშვნელობა 32-ია, 2 * 16 = 32. წმიდა და უკვდავ ასომთავრულში 2048 წელიწადი ხანგრძლივობის სპირალის ერთი რკალი - ეპოქა კი ასომთავრულის ასონიშნების ონი-დონი კომბინაციით აითვლება ( 

ონ-ი და 

 დონ-ი.) და ის უდრის 16 * 128 წელიწადს (მზის კალენდრის ხანგრძლივობა) = 2048 წელიწადს.. ორი 2048 წლის ხანგრძლივობის რკალის - ეპოქის გაერთიანებისას დაახლ. 5000 კმ სიგრძის ერთ გაერთიანებულ რკალს ვღებულობთ!!! ესეიგი ასონიშანი ჯარ-ის რიცხვითი მნიშვნელობა 5000 გვიჩვენებს, რომ სპირალზე 2 ეპოქის რკალების გაერთიანებისას, დაახლ. ტოლგვერდა სამკუთხედს ვღებულობთ (ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდების სიგრძე ≈ 5000 კმ.-ია). მაშასადამე, ამ სახეობის სპირალის, ათ, 4096 დედამიწის წელიწადი ხანგრძლივობის სექტორს ვღებულობთ!!! ეს დაახლ. ტოლგვერდა სამკუთხედია, რომლის ყოველი კუთხე ≈ 60 გრადუსია და სამკუთხედის ყოველი გვერდი ≈ 5000 კმ. სიგრძისაა. ეს, უფლისა და უფლის მთავარანგელოზთა მიერ, უნივერსალურად გაწონასწორებული პლანეტის სპირალის გეომეტრიული - პლანიმეტრიული სახეა.

დედამიწის ღერძის გადახრის კუთხის მარადიული ცვლილებისას, დედამიწის წონასწორობის - მთვარემზე პრეცესიის სპირალი ( სრული ციკლი ყოველ 40 960 წელიწადში ერთხელ, მარადიულად ახლიდან იწყება), დედამიწის ღერძის მიერ მარადიულად იხატება კოსმოსში და ამასთან ერთად, ეს სპირალი, უმაღლესად ლამაზად და სასწაულებრივად პროპორციულად, დაახლ. ტოლგვერდა სამკუთხედებითაა აწყობილი. ეს საკრალური საიდუმლოებანი ქართული ასომთავრულის ასონიშნებშია „დამარხული“ და ეგვიპტის პირველი მეფე - ფარაონების შემდეგ, რაც დაახლ. 5200 წელიწადია, ტალახისაგან გაწმენდასა და მზესავით ამობრწყინებას უცდის!!!

პლანეტის ნათელი გონებებისა და მესიის გარდა, მესიის შობამდე და შობის შემდგომ, ადამიანების უმრავლესობისათვის ეს ცოდნა არ არსებობს ან დროთა განმავლობაში დავიწყებულია, „დამარხულია“. რ.ს.

ქართული ასომთავრული უზადო ალმასის ცოდნის კრისტალს წარმოადგენს მთელი პლანეტის ნათელი გონებებისათვის. ჩვენს სამოთხის სადარ პლანეტაზე, ათასობით წლით ნალოდინები მესიის სასიკვდილო დევნის შედეგია ქართული ასომთავრულის „დამარხვა“ !!!

ასომთავრულის წმიდა და უკვდავი ცოდნა, პლანეტის ნათელ გონებებთან ერთად დაიმარხა.

თუმცა, სინას წმიდა მთაზე, წმიდა ეკატერინეს ტაძარში, სასწაულებრივად იქნა შემონახული და შემდეგ, ქართველი არქეოლოგების მიერ იქნა ნაპოვნი - უფლის სახარება. ის 977 წელს, ქართველი შავი ბერების მიერ ასომთავრულითაა შესრულებული და მონოგრაფიის წერის პროცესში, ჩემს მიერ სინას წმიდა მთის სახარების თავფურცელზე დახატული ჯვრის გაშიფვრის შემდეგ, აშკარად ვხედავ, რომ გარკვეული ცოდნა ჰქონდათ შემორჩენილი ქართველ, საიდუმლო შავ ბერებს.

რა თქმა უნდა, უძველესი ბიბლიოთეკები საიდუმლოდ დახურულ კლდეებში გველოდება !!! 😊

ქართული ასომთავრული ანბანი, მზის უნიკალური კალენდრის საშუალებით მესიის შობის უზუსტესი დროის წინასწარმეტყველებას, დედამიწის წონასწორობის სპირალის (სიცოცხლის უპირობო გარანტი პლანეტაზე. რ.ს.) შესახებ სასწაულებრივ ასტროფიზიკურ ცოდნას, პლანეტაზე 100 000 - ბით წელიწადის 0 წამის ცდომილებით ათვლის ისეთ უნიკალურ ცოდნას ინახავს, რომ ნათელი გონების გარეშე, მისი შეცნობა აბსოლუტურად შეუძლებელია.

ეს უფლის ანგელოზის – თოთის ინტელექტია, რომელსაც „ღმერთის“ სახელი მიაკერა ოსირისსა და ისიდასთან ერთად, წარღვნის შემდგომ გადარჩენილმა და შემდგომ გაველურებულმა კაცობრიობამ. უზარმაზარი სიკეთეების გამო, რაც მათ ადამიანებს გაუკეთეს და ასწავლეს, „ღმერთების“ სახელით იწოდებოდნენ მადლიერი ადამიანების მიერ, რაც არასწორია. რ.ს.

მამა ღმერთი, ძე მისი და სულიწმიდა. ეს წმიდა სამებაა უკიდეგანო სამყაროს მფარველი მთავარანგელოზ-ანგელოზეთა წმიდა იერარქიულ დასთან ერთად.

დავათის მთავარანგელოზთა ასომთავრულის სტელაზე (ძვ.წ. მესამე საუკუნე. რ.ს.), გაშიფვრის შემდეგ, ასონიშან ჭარ-ს  

ოქროს გასაღები ვუწოდე. (იხ. დავათის სტელა). ის მზის კალენდარს აღწერს. გრაფიკულად ჭარ-ი საათის ისრის საწინააღმდეგოდ ბრუნავს. მზის სისტემაში: მზე, დედამიწა და მთვარე, საკუთარი ღერძის გარშემო, ზუსტად ასევე ამ მიმართულებით ბრუნავენ.

მზის სისტემაში ყველა პლანეტა, ამ მიმართულებით ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო, ვენერასა და ურანის გარდა (საკუთარი ღერძის გარშემო საათის ისრის მიმართულებით ბრუნავენ.). ხოლო, მზის გარშემო ორბიტაზე, ისინი უკლებლივ ყველა, საათის ისრის საწინააღმდეგოდ ბრუნავენ.

დედამიწაზე მესიის ნაწინასწარმეტყველებ შობამდე, ანუ ძვ.წ. პირველი საუკუნის 25 დეკემბრის აისამდე, 44 *128 წელიწადი (მზის კალენდარი) = 5632 წელიწადი, ანუ 44 მზის კალენდარი შესრულდა 0 წამის სიზუსტით, წამის მეათედებსა და მეასედებს თუ არ ჩავთვლით!!!

პლანეტაზე წარღვნისშემდგომი კალენდრის ათვლის საწყისად, ქართულ – შუმერული და ბიბლიური ძვ.წ. 5604 წელიწადი ითვლება!!! , ხოლო მზის 128 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობის კალენდრის უზარმაზარი და განმეორებადი 44 ციკლის გასასწორებლად, ასონიშანი ჩინ-ია აუცილებელი. ამას მიგვანიშნებს ასომთავრული ანბანის 28-ე ასონიშანი ჩინ-ი 

, მაშასადამე აქ აბსოლუტურად იკვეთება წმიდათაწმიდა რიცხვი 28!!! 5604 წელს + 28 = 5632 წელიწადი!!!

თვალის ჩინი გაგიუმჯობესოთ უფალმა და მისმა ანგელოზმა თოთმა!!! 😊

(რიგითი 28 და რიცხვითი 1000!!! აქაც ჩანს ასომთავრულის კოდი: 1000 წელიწადი ვითარცა ერთი წელიწადი – დავით წინასწარმეტყველი, დავით მეფსალმუნე; ებრ. דָוִד; დაბ. დაახლ. ძვ.წ. 1035 წელი, ბეთლემი – გარდ. ძვ.წ. 962 წელი, იერუსალიმი; ისრაელის სამეფოს მეორე მეფე, იესეი ბეთლემელის უმცროსი ვაჟი. მეფობდა 40 წელიწადს (დაახლ. 1005 – 965 წლებში); შვიდი წელი და 6 თვე იყო იუდეის მეფე, დანარჩენი 33 წელი კი ისრაელის მეფე.)

დავით წინასწარმეტყველის სახელში דָוִד, ასომთავრულის 2 ასონიშან ინ-ის 

გრაფიკების შუაში, მოსჩანს ნარმერის ძვ.წ. 3200 წლის პირველი ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის მესამე იეროგლიფი  !!!!!!, ხოლო მათი მნიშვნელობების ახსნა ჩემს წინამდებარე მონოგრაფიაშია. რატი სულაძე)

ანუ, ძვ.წ. 5633 წლის 25 დეკემბრის მზის ამოსვლიდან იწყება მზის აისების თვლა პლანეტა დედამიწაზე, წარღვნისშემდგომი გონებანათელი ადამიანების მიერ. მესიის შობამდე 28 + 16 = 44 მზის 128 წლის ხანგრძლივობის კალენდარია, ხოლო შობის შემდგომ, 16 მზის კალენდარი 2049 წლის 11 იანვრის აისისას შესრულდება!!! ეს კი, პლანეტის ბუნებრივი დროით 2048 წლის 25 დეკემბრის აისია.

პლანეტის ბუნებრივი დრო გასასწორებელია 2049 წლის 11 იანვრის აისისას!!!

მესიის შობის, ძვ.წ. პირველი საუკუნის 25 დეკემბრის აისის შემდეგ, პლანეტის კალენდრის ცდომილება 2049 წლის 11 იანვრის აისისას 16 დღეღამე იქნება, 0 წამის სიზუსტით. რატი სულაძე

დედამიწის წონასწორობის სპირალის რადიუსის საშუალო მნიშვნელობის დადგენის შემდეგ, თამამად შემიძლია დავწერო, რომ დედამიწის ღერძის მიერ, 1 წელიწადში დაახლოებით 1,2300 კმ / 1 წელიწადი იწერება დედამიწის წონასწორობის სპირალის სექტორების რკალებზე... ((2 * 2519,091 კმ) ≈ 5000 კმ. / 4096 წელიწადი (2 * 2048 წელიწადი) ხანგრძლივობის სპირალის სექტორის რკალი ≈ სექტორის რკალზე 1,2300 კილომეტრი 1 დედამიწის წელიწადში. აგრეთვე ეს რიცხვიც, წმიდა და უკვდავი ასომთავრული ანბანის „დამარხული“ საიდუმლოებების ლოგიკის ნაყოფია. რ.ს.)

დედამიწის წონასწორობის – მთვარემზე პრეცესიის სპირალზე, დედამიწის 2048 წელიწადის ხანგრძლივობის 20 ეპოქაა – სექტორია და ეს საიდუმლო ასომთავრულის ასონიშან სან–შია 

„დამარხული“.

ეს ასონიშანი ძვ.წ. 3200 წლის ეგვიპტის პირველ იეროგლიფურ დამწერლობაშია ასახული და მეთორმეტე ადგილზეა მოთავსებული . ქართული ასომთავრულის ასონიშანი სან–ი 

სარკისებურად, 180 გრადუსით, ვერტიკალურადა, მაღლაა ატრიალებული და შემდეგ ასევე 180 გრადუსით მარცხნივაა გადმობრუნებული.

ასომთავრულის მიხედვით დადგენილი, ანბანში „დამარხული“ მესიის შობის უზუსტესი დროის წინასწარმეტყველების საიდუმლოება, ასონიშანისა და იეროგლიფის ამ შედარების დაწერის უფლებას მაძლევს და ეს საიდუმლოება, დედამიწაზე მოგვიანებით შექმნილი, რამოდენიმე უძველესი ანბანის ქვაკუთხედია. ზუსტად ეს არის ამ მონოგრაფიის მთავარი ხერხემალი. რ.ს.

სპირალს ორი 20 480 წელიწადი ხანგრძლივობის ციკლი გააჩნია და მთლიანობაში, ასომთავრულის მიხედვით დახატული დედამიწის წონასწორობის სპირალის ერთი სრული ციკლი, 40 960 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობისაა.

უფლის მიერ შექმნილ სამყაროში, ეს ციკლი მარადიულად მეორდება...

უფლის მიერ შექმნილ სამყაროს ვაკუუმში, დედამიწის ღერძი, დედამიწის წონასწორობის სპირალზე, რომლის ერთი სრული ციკლი 40 960 დედამიწის წელიწადის ხანგრძლივობისაა, დაახლ. 40 960 წელიწადი * 1,23 კმ/1 წელიწადი = 50 381,82 კმ სიგრძის რკალს ხატავს – წერს. რ.ს.

სპირალის ერთი მთლიანი 360 გრადუსიანი რკალი ≈ 6 სექტორი * ≈ 60 გრადუსი ≈ 360 გრადუსი, პლიუს დედამიწის წონასწორობის – მთვარემზე პრეცესიის სპირალის სრული ციკლის შესასრულებლად 4 სექტორი * 60 გრადუსი ≈ 240 გრადუსი. ესეიგი, ასომთავრულის „დამარხული“ წმიდა საიდუმლოს მიხედვით, დედამიწის წონასწორობის

სრული ციკლის სპირალი დაახლ. სპირალის ერთი სრული წრე და პლიუს სპირალის სრული წრის ნახევარზე მეტი რკალია!!!

იხილეთ ქართული ასომთავრული ანბანის რიგითი მნიშვნელობით 31 და რიცხვითი




მნიშვნელობით 4000, 31–ე ასონიშანი წილ–ი !!! წრეწირის სიგრძის შეფარდება თავისივე დიამეტრთან. უნიკალური მუდმივა!!! ასონიშანის გრაფიკაც თვალში საცემია. ეს უნიკალური აღმოჩენა – უნიკალური მუდმივა π – პი ასომთავრულში, აწ უკვე ცხონებული, პლანეტის ნათელი გონებებისათვის ცოდნის გადაცემის გამო რეპრესირებულის, აკადემიკოს რამაზ პატარიძის მიგნებაა და იგი სულ ცოტა 40 წლისაა!!! და მართლაც და რა საოცარია ეს უდიდესი მსგავსება, წმიდა და უკვდავი ქართული ანბანის ასონიშან წილ–




სა და π – პი–ს შორის. 40 წლის შემდეგ, ასომთავრულში დედამიწის წონასწორობის სპირალის მონაცემების არსებობის აღმოჩენისა და კლებადი–ზრდადი–კლებადი–ზრდადი რადიუსების მქონე რკალებისა და მთლიანობაში ურთულესი ხასიათის მქონე სპირალის ბოლომდე შესწავლის შემდეგ (მაშინ, როდესაც შედარებით ბევრად პრიმიტიული ოქროს სპირალის რკალები მარადიულად ზრდადია. რ.ს.), ჩემგან უხილავად მომეცა უფლება და საბოლოოდ ავხსენი ეს ულამაზესი და „დამარხული“ ასონიშანიც!!! რ.ს.




ასონიშანი წილ–ი რიგითი 31, რიცხვითი 4000; ე.ი. 3,14000 !!! უფლის მიერ შექმნილი სამყაროს უნიკალური მუდმივა π – პი: 3,14159 26535 8979323846 2643383279 5028841971 6939937510 5820974944 5923078164 0628620899 8628034825 3421170679

ჭერჭერობით კაცობრიობისათვის ცნობილი ყველაზე ადრეული ჩანაწერების მიხედვით, ზუსტი π , თარიღდება დაახლოებით ჩვ.წ.–მდე 1900 წლით. ესაა 25/8 = 3,125 (სუზის თიხის ფირფიტა, ძველბაბილონური სამეფო) და ჩვ.წ. – მდე 1550 წლის π = 256/81 = 16*16 ან 2*128 (მზის კალენდრის რიცხვი. რ.ს.) / 9*9 = 3,160493827160494 (აჰმესის იგივე რინდის ეგვიპტური პაპირუსი.). ორივე მათგანი π –ს ნამდვილი მნიშვნელობისაგან განსხვავდება არა უმეტეს 1%–სა.

სასწაულებრივად, ხეოფსის პირამიდაშიც იქნა აღმოჩენილი π რიცხვის არსებობა. თუ პირამიდის ფუძის პერიმეტრს გავყოფთ გაორკეცებულ სიმაღლეზე, მივიღებთ π –ს მნიშვნელობას 0,01 სიზუსტით!!!

სიმაღლე 146,6 მ. ამჟამად მისი სიმაღლე შემცირებულია 138 მეტრამდე.
კუთხე: 51 ° 50 " ; გვერდითი კიდის სიგრძე (ამჟამად): დაახლოებით 225 მ ;
პირამიდის ფუძის გვერდების სიგრძე: სამხრეთი – 230,454 მ; ჩრდილოეთი – 230,253 მ; დასავლეთი – 230,357 მ; აღმოსავლეთი – 230,394 მ.

P ფუძ. = 230,454 + 230,253 + 230,357 + 230,394 = 921,458 მ.
P ფუძ. / 2h = 921,458 მ. / 2 * 146,6 მ ≈ 3,14 = π = 3,142762619372442

π = 3,14000 ანუ ასომთავრულის ასონიშან წილ-ში 

„დამარხული“ რიცხვი რომ მივიღოთ, პირამიდის სიმაღლე უნდა იყოს 146,7289 მ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე V–VI საუკუნეების „ჯაინიზმის“ წმინდა წიგნებში „შათაბასტა-ბრახმანის“ ტექსტი კი თვლის, რომ π არის მიახლოებით 339 / 108 ≈ 3,139 = 3,138888888888889

π განსაზღვრა ძველი საბერძნეთის მათემატიკოსმა, ფიზიკოსმა, სამხედრო ინჟინერმა არქიმედემ (ძვ.წ. 287–212), ითვლიდა რა წრეწირის სიგრძისა და მისი დიამეტრის შეფარდებას, პირველმა წამოაყენა წინადადება, ეს სიდიდე აღენიშნათ π ასოთი და საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა მისი რიცხვითი მნიშვნელობა – აჩვენა, რომ π მოთავსებულია 223 / 71 და 22 / 7 რიცხვებს შორის, ე.ი. არქიმედემ არა მარტო დაადგინა π -ს მიახლოებითი მნიშვნელობა, არამედ იპოვა ამ მიახლოების სიზუსტე, ასევე შუალედი, რომელსაც ეკუთვნის π რიცხვის მნიშვნელობა. არქიმედემ მის ერთ ნაშრომში დაამტკიცა უტოლობათა ჯაჭვი, რომელიც თანამედროვე გაგებით ასე გამოიყურება:

3,140909 < π < 3,1428265

როგორც ვხედავთ, არქიმედემ მოძებნა π -ს მიახლოებითი მნიშვნელობა 0,002 სიზუსტით, ამიტომ გამოთვლების მოხერხებულობისათვის, მას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ რიცხვი 3,14 მიჩნეული ყოფილიყო π -ს მნიშვნელობად.











ომია!
ომი ხომ სიკვდილის სადგომია.
ამ წუთას ფეთქავდა, ამ წუთას სუნთქავდა,
თავი სიზმარში ჰგონია.
ომია!
ომი ხომ სიკვდილის სადგომია,
დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ მამაკაცს
თვალებში სიკვდილი ჩასდგომია.
ომია!
უნდა იცოდეთ, რომ მაქ ჯუნგლის კანონია
და ვინც მას ადგენს სავარძელში ზის
და ეს დემოკრატია ჰგონია!
შეწყვიტეთ! . . . შეწყვიტეთ! . . . შეწყვიტეთ! . . .









განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია!?
ათასს ცოცხალსა ბევრჭელა
ათჭერ სჯობს ერთი მკვდარია.
მინდა, რომ დიდხანს ნახარში
და გულში ნადუღარია
გაგიზიარო ვარამი,
მდიოდეს ცრემლის ღვარია.

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

**სარედაქციო კოლეგია:** ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; მალხაზ მუსერიძე - კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; თორნიკე ამაშუკელი - პასუხისმგებელი საგამომცემლო რედაქტორი; თამარ (თამუნა) რაზმაძე - პასუხისმგებელი მდივანი.